

ათასწლეულების სენსაცია

*გულს აქვს გონება, რომლის
შესახებ გონებამ არაფერი არ იცის.*

/ბლეს პასკალი/

ჟურნალ მედეას მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულია განკურნებული ექიმი ქალბატონის წერილი...

მისი სენსაციური წერილის გამო გადავწყვიტეთ ამ ინფორმაციის გამოქვეყნება რათა მეცნიერული შუქი მოვფინოთ ამ მოვლენას.

ღიას! სხენებული ქალბატონი – ექიმია, მას საშვილოსნოს მესამედი ჰქონდა ამოკვეთილი თავის საკვერცხესთან ერთად. მეორე საკვერცხე დაზიანებული იყო. შვილი მაინც გააჩინა და ოქროს საწმისის მეთოდით მკურნალობის შედეგად მას... ამოუვიდა საშვილოსნო თავისსავე საკვერცხეთი და ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის შედეგად მას არანამშობიარები, სრულიად ჯანსაღი საშვილოსნო დაუდგინეს.

რა მოხდა?

რეგენერაცია!!!

კაცობრიობის ოცნება და ბიბლი-ური საიდუმლო ჭეშმარიტება ორივე ერთდროულად გამოვლინდა!!!

იცოდა ეს თუ არა საქართველომ?!

რა თქმა უნდა იცოდა. იცოდა ეს მედეამ, რომლის საიდუმლო ცოდნამაც გაბრწყინება მოუტანა საბერძნეთს და ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეთხუთმეტე საუკუნიდან ელადა ანთია კაცობრიობის სულის ბრწყინვალებად...

...იცოდა ეს ქართველმა ხალხმა, როდესაც ჩვენს მეომრებს ბრძოლის ველზე ატანდნენ: ვაზს, – თუ დაიღუპებოდა დაცემის ადგილზე დამარხულს ვაზის ლერწი მიჰყვებოდა მიწაში და იქ... ვაზი – ქრისტეს უკვდავების სიმბოლო ამოდიოდა! აი ამიტომ უმდერის ჩვენი ერი ქრისტეს ვაზს, – “შენ ხარ ვენახი...”

საგზადად მიჰქონდა ჩურჩხელები... საკვებად მასში ყველაფერიცაა და კომპაქტურიც მობილურობისათვის.

სააქიმოდ მიჰქონდა წვიმის ჭიის ფხენილი. ნებისმიერ ჭრილობაზე დააყრიდა მეომარი ამ ფხენილს და ჭრილობა სწრაფად და უკვალოდ ხორცდებოდა...

წვიმის ჭია!!! რამდენ ნაწილადაც არ უნდა დაჭრათ, იმდენ დამოუკიდებელ სრულფასოვან ჭიაყელად გადაიქცევა ერთი ჭიაყელას ყოველი ცალკეული ნაწილი.

ეს იცოდა საქართველომ და დღესაც იცის ტიბეტმა. ტიბეტში წვიმის ჭიას დედას ეძახიან, რადგან მასში დედამიწის დედობის ძალა, რეგენერაციის ძალაა ჩადებული მამადმერთისაგან და ამ ძალას, ქსოვილებში ჩადებულ ინფორმაციას, უნიკალური თვისება აქვს: ჰოლოგრაფიული უკვდავი ინფორმაცია დაზიანებულ ქსოვილებს ანიჭებს აღდგენის თვისებას და არა მხოლოდ შეხორცების უნარს.

ღიას!

ღიას!

არავის უკვირს ხვლიკის კუდის ამოზრდა, ან კიბოსა და კიბორჩხალას მოტეხილი ფეხის ხელახალი ამოსვლა: მოტეხილი ფეხი მხოლოდ ფიზიკურად აღარაა, მაგრამ მოტეხილი ფეხის აბსოლუტური ჰოლოგრაფიული კვალი არსებობს. ამის შესახებ კარგადაა ცნობილი

მედიცინაში იმ შემთხვევებში, როდესაც ამპუტირებული კიდურების ადგილზე ხეიბარს მოკვეთილი ხელი ან ფეხი “სტკივა.”

ამ ტკივილის მნიშვნელობის დადგენა და პრაქტიკულ განზომილებაში მისი გამოკვლევა და გამოყენება ახალ ეპოქას გახსნის გენეტიკასა და მსოფლიო მედიცინაში. აქ მხოლოდ ერთადერთ უმნიშვნელოვანეს იდეას გავაცხადებ: ცხოველთა სამყაროში ტკივილი განკურნების, შეხორცების და რეგენერაციის პროგრამებს მართავს.

აი ამაშია ჩადებული ღვთაებრივი საიდუმლოების უმთავრესი შინაარსი, როდესაც ტკივილი, მარტივ ორგანიზმებში, რეგენერაციის პროცესის ჩართვას და დაკარგული ნაწილის ხელახლა აღდგენას აწარმოებს.

კარგადაა ცნობილი ის მართლაც წარმოუდგენელი ფენომენი, რომ ლოკოკინას რამდენჯერაც არ უნდა მოაჭრათ **თავი (!!!)**, იმდენჯერვე, მოჭრილი თავის ადგილას ამოებურცება ქსოვილი, გაიზრდება, შემდეგ გასკდება **და ახალი თავიც მზად არის.**

ეს ბუნებაში, იქ სადაც სიცოცხლე თავისი მარადისობის სადარაჯოხუა ქვეცნობიერ მექანიზმებში ჩადებული და... **ადამიანში?!**

მითუმეტეს, ადამიანში ყველა ეს მექანიზმი ღვთის შვილის უფლებითაა ჩადებული გაჩენისთანავე და ქვეცნობიერში არ მუშაობს იმიტომ, რომ როგორც სიცოცხლის ევოლუციის უზენაეს წარმომადგენელს, მან ეს თვისება უნდა გამოამჟღავნოს როგორც უზენაესმა არსებამ ცნობიერ განზომილებაში არა მხოლოდ რეგენერაციის გამოვლინებისათვის, არამედ რეგენერაციის თვისებათა იმ უკიდვანო შემოქმედებამდე განვითარებისათვის, რომელსაც **ტრანსმუტაცია** ჰქვია, ბიბლიურად კი ეს **დავით მეფესალმუნის მიერ ნახსენები უკვდავებაა.** ის თუ რატომ დავითის, ამაზე მომდევნო ნომრებში... თუმცა მოუთმენელ მკითხველს ვთავაზობთ დავითის 102 პსალმუნს.

ამ ფენომენის მაგალითი კაცობრიობამ უკვე მიიღო ფილიპინელთა ქრისტიან-ქილერების მაგალითზე, როდესაც ისინი იმდენად ააქტიურდნენ პროცესებს, რომ ლოკოკინას მოჭრილი და ჩვენს თვალწინ ამოზრდილი ახალი თავის მსგავსად, ქილერების ავადმყოფების ჭრილობებიც ყველას თვალწინ ხორცდებოდა. მაგრამ... მაგრამ მოხდა ამ ფაქტის მიჩუმათება...

რატომ?

იმიტომ, რომ არსებობს როგორც მიზეზი ასე შესაბამისი პრეცედენტი ამ მაგალითისა, რომელსაც ახლა მოგახსენებთ.

თუმცა, როგორც თქვენ თვითონ მიხვდებით ისტორია არაფერს არ ივიწყებს...

ეს მოხდა დიდი ხნის წინ. გენეტიკური კოდის შეცვლის ერთ-ერთ ექსპერიმენტში, ულაყი ზებრა ანაყოფიერებდა ფაშატ ცხენებს, მაგრამ ნაყოფი ზებრისა და ცხენის შეჯვარებით არ ჩნდებოდა (???)...

ექსპერიმენტი შეწყდა და იგი მიივიწყეს კიდევ.

...მაგრამ!

მაგრამ გავიდა ხანი, ფაშატი ცხენები დაუბრუნდნენ თავიანთ ჯოგებს და ცოტა ხანში საკუთარ ულაყებთან შეჯვარებისას გააჩინეს... ზოლიანი კვიცები!!!

ატყდა ერთი ამბავი...

ამ მოვლენას გენეტიკოსებმა “ტელეგენეზისი” დაარქვეს... შემდეგ მიაჩუმათესეს ფაქტი და ენციკლოპედიაში ურცხვად შეიტანეს ბოროტებით სავსე ინფორმაცია: “ტელეგენეზისი” არ დადასტურდა...

ცოტა თავიდან დავიწყოთ...

...ნირენბერგის ნობელის პრემიები გენეტიკური კოდის აღმოჩენისათვის...

ასევე კრიკისა და უოტსონის პრემიები **დ.ნ.შ.**-ის ორმაგი სპირალის აღმოჩენისათვის...

გენეტიკური მეცნიერება მეტად განვითარდა და გენის სასწაული მეტად გაფერმკრთალდა. ეგონათ რომ გენი პირწმინდად მატერიალური ნაწილაკია, რომელსაც ორგანიზმის განვითარების პროგრამა მოაქვს და უჯრედებს კარნახობს იმას, თუ როგორ ააშენოს ორგანიზმი: უჯრედები ლაგდებიან გარკვეული წესით და სხეულის ამა თუ იმ ორგანოს ჰქმნიან. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა სურათი აღმოჩნდა და გაცილებით ეფრო რთული ვიდრე მანამდე ეგონათ.

ვიდრე ემბრიონის გენი “მშენებლობას” შეუდგება, ისინი გარეშე სივრციდან ღებულობენ პროგრამას მთელი იმ საჭირო იმფორმაციით რაც ორგანიზმის “მშენებლობას” სჭირდება. გამოდის, რომ გენი მხოლოდ “ვიდაცის” ბრძანებასა და შეკვეთებს ასრულებს.

ღიას!

ვისი?!

ეს აგნი-იოგამ დანამდვილებით იცის. ისიც იცის, რომ გენი მარტო ფიზიკური, ანუ მატერიალური ქმნილება როდია, არამედ ისინი სულსაც ატარებენ, რასაც გენეტიკოსები დღეს ველს ეძახიან (მესამე-ცენტრალური სპირალი).

გასაოცარია ის, რომ, ზოგი გენეტიკოსი კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ გენი ტალღაა, ანუ ველი ან ველთა სიმრავლე ერთდროულად.

ის რომ გენს არ გააჩნია შთამომავლობის სრული ინფორმაცია, რომელსაც ის სადღაც სხვა მისამართიდან ღებულობს, ამის შესახებ უკვე ხვდებოდნენ გასული საუკუნის ოციან წლებში. იმ დროისათვის ეს დიდი და გაბედული აზროვნების ნაყოფი იყო. მაშინდელ მეცნიერებს არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ ჰოლოგრამაზე, რომელიც, ამ შემთხვევაში, იმ ზეციური არქიტექტორის პროექტებია, რომელთა მიხედვითაც შენდებოდა ორგანიზმი. როდესაც ჰოლოგრამები აღმოაჩინეს ბუნებრივად გაჩნდა კითხვა, – ვინ ჰქმნის მათ? ვისი კარნახით ჩნდებიან ჰოლოგრამები, როგორც გენერალური პროგრამები გენებისათვის, რათა ესა თუ ის ორგანიზმი აშენდეს?

ღმერთი?

უზენაესი გონი?

რა, განა ეს ერთი და იგივე არაა!!!

აგნი-იოგა ამ ინფორმაციას ფლობს... ჩვენ ფეხშიძივე ქალებს უკვე ვთავაზობთ იმ უნიკალურ რჩევებს, რომლებსაც შეიძლება დავარქვათ XXI საუკუნის კალიპედია,* ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია არ დაინახო, რომ უჯრედები, განსაკუთრებით გენები სწავლობენ!!!

სწავლის პროცესი ტოტალური პროცესია, ინფორმაცია იმდენად ღირებულია სამყაროში, რომ თვით ბუნება მუდმივად და სათუთად უნახავს სამყაროს მის ცოდნას, და ზრუნავს როგორც არსებული ინფორმაციის შენახვის პროცესებზე, ასევე ევოლუციისათვის საჭირო ახალი ინფორმაციის მოპოვებაზეც. ბუნება ამას ძალზედ ნელა აკეთებს, თითქოს ეუბნება ადამიანს: დაინახე, აი მე როგორ ნელა ვაკეთებ ამას, ამიტომ დააკვირდი ყოველივეს, ისწავლე და შენ კი სწრაფად გააკეთე!

...როგორ არ დაუბრუნდეთ ეპიგრაფში მოყვანილი გენიალური გამონათქვამის ავტორს. ამ შემთხვევაში მისი სხვა გენიალური გამონათქვამი გამოგვადგება, რომელიც მან მის გონებაში გაჩენილი ჰოლოგრაფიდან ამოიღო და კაცობრიობას გაუმხილა: “კაცობრიობა, ვით ერთიანი პიროვნება მარადიულად სწავლობს...”

აქ აზრთა და იდეათა ოკეანეა, აქ ის აზრიცაა რომ კაცობრიობა გამთლიანდება, ომი და იარაღი წავა; ისიც რომ *ჩვენ და-ძმანი ვართ, შვილნი ერთი უფლისა*; ისიც რომ ჩვენი მომავალი უსაზღვრო ბედნიერებითაა აღვსილი, რადგან არსებობს მარადიული სწავლა და ჩვენ ვსწავლობთ! ვსწავლობთ!!!

...სწავლამ მოიტანა ის, რომ აღმოვაჩინეთ ლაზერული სხივი, რომლის მეშვეობითაც ჰოლოგრაფებს ვაშენებთ.

კი მაგრამ თუ ტექნიკაში გასაგებია რომ ამას ტექნიკური საშუალებებით ვღებულობთ და ორგანიზმში?

ორგანიზმში ამას ქრომოსომები აკეთებენ.

ტალღური გენების ავტორები **დ.ნ.მ-ის** მოლეკულებზე აგებული ლაზერები არიან.

მიაქციეთ ყურადღება შემდეგ ინფორმაციას:

1. გენი-ტალღა ქმნის ორგანიზმის აშენების “ტექნოლოგიას.”

2. გენი-ნაწილაკი ასრულებს მშენებლობას მოცემული “ტექნოლოგიით.”

3. ქრომოსომები ხელმძღვანელობენ “მშენებლობას,” ურთიერთობენ, “თათბი-რობენ” ერთმანეთში, რისთვისაც იყენებენ როგორც ელექტრომაგნიტურ, ასე აკუსტიკურ ვიბრაციებსაც.

ჩვენ აღვნიშნეთ უნიკალური, ფენომენალური მნიშვნელობა წვიმის ჭიის უჯრედებში ჩადებული ინფორმაციისა და მექანიზმებისა. ახლა აღვნიშნოთ მეორე არსება რომელიც მისტიციზმში უკვდავების, ფილოსოფიისა და ყოველგვარი ინფორმაციის წყაროდ მოიაზრება.

ეს არის ფუტკარი!!!

იგი თაფლს, ანუ ნახშირწყალს აწარმოებს, რომლის გარეშე უჯრედები ვერ მუშაობენ...

...ამ აღმოჩენის პირველობა ამერიკელ ბიოლოგებს ეკუთვნით. მათ, ბაქტერიას მოაცილეს ის გენი, რომელიც ლაქტოზის შაქრის გადამშუშავების პასუხისმგებელი მექანიზმია და... ბაქტერია დაიდუპა!!! ამის შემდეგ ბაქტერია მოათავსეს იმავე გარემოში, რომელიც მხოლოდ ნახშირქწყლებს შეიცავდა და მოხდა სასწაული, ბაქტერია გაცოცხლდა და აღადგინა დაკარგული გენი(!!!)...

...რა თქმა უნდა, თუ მეცნიერულ სითამამეს ვუღალატებთ, ჩვენ ვერ დავინახავთ ამ აღმოჩენაში ქრისტეს ბიბლიურ ფენომენს, – ლაზარეს აღდგინებას და... აუცილებელია ვადიაროთ მეცნიერება XXI საუკუნის იმ ძირითად მოვლენად, როგორაც იგი ყოველი დროის უდიდესმა მეცნიერმა ალბერტ აინშტაინმა დაასახელა: **“მეცნიერება რელიგიის გარეშე კოჭლია და რელიგია მეცნიერების გერეშე ბრმა”**...

მეცნიერება უკვე კოჭლობს, იკლებს მითოლოგიასთან და რელიგიასთან კავშირს და რელიგია ცდილობს გახდეს მეცნიერული... რელიგიაში მოდიან ექიმები, ფიზიკოსები, ფილოსოფოსები და სხვა. ეს დიდებულია, დიდებული და იმიტომ, რომ ეკლესიაში მისული მეცნიერები იმ ფაქტსაც გააუღერებენ, რაც ლაზარეს აღდგინების მეცნიერულ ფენომენშია ჩადებული და ეკლესიასტეს უდიდეს მეცნიერულ-რელიგიურ ფენომენსაც დაუბრუნებენ კაცობრიობას.

...ეკლესიასტე მოუწოდებს ადამიანებს: “რატომ უნდა მოკვდე ისრაელის სახლო...” (10,2). ეკლესიასტეს ამ გამონათქვამში უნიკალური ინფორმაცია დევს: სულიერი და არა ფიზიკური მარჯვენა გულის არსებობა. ეს მეცნიერებაა და მარჯვენა სულიერი გულის აღმოჩენა ელოდება მეცნიერებას ისევე, როგორც უკვდავება “ისრაელის სახლისა,” ანუ ადამიანისა.

აქ ზღვა აღმოჩენები ელოდებათ მეცნიერებს... აქვე დავძენ, რომ ჩვენ იოგები მეცნიერთა მომავალ აღმოჩენათა ლოდინის გარეშე, არა მხოლოდ ვიცით ეკლესიასტეს საიდუმლოება, არამედ პრაქტიკულად ვიყენებთ მარჯვენა გულის ცემის მაღლს!!!

აი აქ იწყება გზაგასაყარიც და შეერთების წერტილიც სადაც მეცნიერება და რელიგია ან კვლავ ვერ გაუგებენ ერთმანეთს, ან ჩვენდა საბედნიეროდ ბოლოსდაბოლოს იპოვნიან ერთმანეთს, რათა ერთი არ დაკოჭლდეს და მეორემ კი თვალები გაახილოს...

...ექვსი საუკუნე სწავლობდა ევროპის ოფიციალური მედიცინა ავიცენას “მედიცინის კანონის” ფუნდამენტალურ საფუძვლებს, მაგრამ სულიერს ვერ ჩაწვდა და მხოლოდ მატერიალისტური ხედვა ამოიღო კაციბრიობის ამ გენიის სამედიცინო მოძღვრებიდან. შედეგად ამისა, თავდაპირველად მედიცინამ უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ დროთა განმავლობაში სულის უარყოფით, თვითონვე შექმნა პრობლემები კიბოს შიდსის და მრავალი ახალი დაავადებების სახით, რომელთა ჯერ სახელებიც კი ვერ მოუძებნია და სწეულებებმა პანდემიის ხასიათი მიიღეს. აი ასეთი შეუთავსებლობა ბადებს მედიცინაში გადაულახავ პრობლემებს სულისა და ღმერთის მედიცინაში დაუნახავობით. უფრო მეტიც, დღევანდელი ფანტასტიკური ქანრის ფილმებში მრავლადაა ხელოვნური ურჩხულებისა და მონსტრების საშინელებები. ამით ჩვენ გვახსენებენ წარდენამდელ იმ ტრაგედიის მიზეზს, რომელიც მეცნიერების რელიგიასთან დაცილების გამო მოხდა და მას წარდენა მოჰყვა.

ასეთი რამ დღესაც შეიძლება მოხდეს როდესაც ადამიანის ხელისა თუ ფეხის რეგენერაცია, იდეაში, გენეტიკოსებისათვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს და ისინი მხოლოდ ტექნიკურ საშუალებათა განვითარებას ელოდებიან და ასევე ქრომოსომების ენის გაშიფვრას და როდესაც ქრომოსომების ენას ისწავლიან... ადამიანსაც აღუდგენენ დაკარგულ კიდურებსა თუ ორგანოებს და ... ურჩხულებსაც შექმნიან სამხედრო უწყებები... ჰოდა ახალი კატასტროფაც გარდაუვალია.


ამიტომაც საჭირო რელიგია, მისი მორალური კოდექსი და მისტიურ საიდუმლოებათა ის პროცესები რომლებსაც არ ჭირდებათ არანაირი აპარატურა, საჭიროა მხოლოდ ის ენა, რომელსაც ქრომოსომებთან ურთი-ერთობა მოაქვს და ეს ენა რელიგიამ დიდი ხანია იცის, – ამ ენას ლოცვები, გულით ლოცვები ჰქვიან და ჩვენ იოგები დიდი ხანია ვფლობთ განსაკუთრებულ ლოცვათა განსა-კუთრებულ ენას, რომლის მეშვეობით ამ წერილის დასაწყისში დასახელებული ქალბა-ტონის ორგანოთა რეგენერაცია მოვახდინეთ და სხვა “სასწაულებსაც” მრავლად ვაწარმოებთ.

საჭიროა რელიგიისა და მეცნიერების სიმბიოზი: მეცნიერება უნდა გახდეს რელიგიური და რელიგია მეცნიერული და ეს პროცესი, საბედნიეროდ მიმდინარეობს, – ეკლესიებში მეცნიერები მიდიან მოძღვრებად და მეცნიერებაში მოდიან მაღალი ზნეობისა და ჰუმანიზმის მქონე ღვთის მორწმუნე ადამიანები.

დავასრულებთ ამ ნარკვევს იმ აზრით, რომ მეცნიერებაში და რელიგიაში ისევე როგორც ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, მეექვსე რასის, ინდიგოს რასის ადამიანთათვის შემოდის მისტიური აზროვნების ფენომენი და ეს ყველაფერი, უკვე სხვა მეცნიერმა და მისტიკოსმა ერთდროულად, ელენე ბლავატსკაიამ გაახმოვანა: “მომავალმა ჩვენს წინ ყველაზე გრანდიოზული პერსპექტივები გადაგვიშალა, რამეთუ უკვე ამუშავდა მისტიური აზროვნებისაკენ შემობრუნების დიადი ციკლი. ყოველი მხრიდან ჩვენ გარს გვარტყია უნივერსალური მეცნიერების ოკეანის წყლები, – მარადიული ცხოვრების ის მეცნიერული წყლები, რომლებსაც თავის სიღრმეში ჩვენთვის შემოუნახავთ გარდასულ თაობათა ჩაძირული და დავიწყებული სულიერი განძეულობანი.”

თ. თავაძე

ენავ ქართულო!..



“თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი” (წმ. იოანე).

როგორც იქნა დავიწყე ჩვენი, ქართული ენის მისტიური შინაარსის განმარტება. რა არ და ვის არ უთქვამს მასზე: მსოფლიოს უდიდესი მათემაკოსი ლაიბნიცი განცვიფრებული იყო ქართული ენის გრამატიკის დროთა ფორმების სიმრავლით; ლოსევი თავის მეცნიერულ ნაშრომში, ერგატული ფორმების განხილვისას, ვერ შეიკავებს აღტაცებას და იქვე, თავის კაპიტალურ ნაშრომში ოდას უმღერს ქართულ ენას და ყველა ქართველურ ენებს; ნიკო მარი და მსოფლიოს ყველა გამოჩენილი ლინგვისტი, რათქმაუნდა ეკლესიური მოღვაწენი და მათ შორის ბერი ზოსიმეს საქვეყნოდ ცნობილი გამონათქვამი, რომ ქართულ ენაზე მეტყველებს ყველა...

არ შემიძლია არ აღვნიშნო თანამედროვე, უდიდესი ღვაწლის მქონე ადამიანი, შალვა კაჭარავა და მისი ამ საკითხში მნიშვნელოვანი აღმოჩენები... რათქმაუნდა პოეზია და ირაკლი აბაშიძის, – ენავ ქართულო...

რადგან სულმნათმა იაკობმა, თვით დედა ენაში ჩადო ებრაულის პარალელი, ჩვენ ებრაული ენის ვრცლად უნდა გამოვიყენოთ, თუმცა ბერი ზოსიმეს მინიშნების თანახმად, თუკი ქართული ყველა ენაშია, ჩვენ ყველა ენას მივმართავთ შეძლებისდაგვარად...

მაშ ასე, სიხარული განსაკუთრებული სიბრძნეა, ამბობს მაიტრეა ბუდა და ებრაულად **ევ** – ნიშნავს სიხარულს. განსაკუთრებული სიბრძნე თავის მხრივ **ხატია**, რამეთუ მასში უფლისა და წმინდანთა, მოციქულთა სიბრძნეა ჩადებული განსაკუთრებული სიბრძნის, ანუ **სიხარულის** სახით, – ამიტომ არიან ხატები სასწაულმოქმედნი, – და სიხარული, და მისი სასწაულმოქმედება სიცოცხლის შინაარსიცაა და მისი მომნიჭებელიც, რასაც, ებრაულად, ჰქვიან

ხაი – სიცოცხლე. აქვე განვმარტავ ასობგერა **ტ**-ს როგორც საიდუმლოების აღმნიშვნელ სიმბოლოს და სრულ საიდუმლოებათა შემცველ ნიშანს. **ტ** – ნიშნავს საიდუმლოებას – და მთელი საიდუმლოება, – ადამიანის ტანია, რამეთუ იგი მიკროკოსმოსია და ებრაული კაბალის თანახმად სილამაზე – **ტანია**. მედეას წინა ნომერში მოცემულია ალფავიტის ყველა საწყისი ასობგერას მნიშვნელობა. ებრაულში ესაა **ალფუ**, რაც ნიშნავს **ისწავლე**. აქვე შევახსენებ მკითხველს იმას, რომ როდესაც მსგავსი ამოცანის წინაშე დადგა ბერძნული ენა, მათ მოძებნეს **ა-ზე** დაწყებული ისეთი სიტყვა, რომელიც ცოდნასთანაა დაკავშირებული და ასეთი სიტყვა აღმოჩნდა **ალფა** – ანუ **ეძიე**, საძებარი კი მხოლოდ ერთია, – ცოდნა და სიბრძნე და ბერძნული ალფავიტის **ა**-თი იწყება. რუსებმა ძალიან გვიან, მაგრამ მაინც შექმნეს თავიანთი ალფავიტი და იმდენად მოხდენილი ალფავიტი შექმნეს, რომ ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი “ალფა” მოძებნეს თავიანთი ანბანის დასაწყისად: მათ **აზი** – ანუ დიდი **მე** ჩადეს თავიანთი ალფავიტის საწყისად ... ანუ სიბრძნის შეძენა საკუთარი თავის შეცნობის გზით აღნიშნეს... დამეთანხმებით რომ **აზი** შეიცავს **ალფუ**-საც და **ალფა**-საც. გასაგებია რომ კირილემ და მეფოდიმ მოახდინეს ენათა შინაარსის სინთეზი.

ქართული?!

ქართული იმდენად ტყვადია, რომ თავად განსაჯეთ: სრულიად საკაცობრიო განზომილების სიბრძნის საერთო სიმბოლოდ მიჩნეულია მთვარე, და ჩინეთი თავის სახელწოდებას დიდი სიბრძნის, დიდი მთვარის შინაარსს ატარებს თავის დასახელებაში: **კი** – მთვარე; **ტაი** – უდიდესი, – ანუ უდიდესი მთვარის – უდიდესი სიბრძნის ქვეყანა, რაც ალბათ ასეცაა თუ ჩვენ ოდნავ მაინც ვიცით ჩინეთის ისტორია, თუ არა და **ლაო-ძი** და **კონ-ფუ-ცი** ის საკმარისი სახელებია, რომლებიც ამ ქვეყნის სიბრძნეს ადასტურებენ. ქართულად ეს ყველაფერი, კიდევ უფრო უკეთესად ჟღერს: ჩინეთი **ჩი** – ნეთი და “ჩი” ნიშნავს მზეს...

ქართული?!

კი ბატონო!

ქართული ასომთავრული **Ⴀ** “ანი” ნიშნავს მთვარეს და ისიც ბოლო ფაზაში – 28 დღის განღეულ მთვარეს, ანუ 28 დღის სრული გამოცდილება სიბრძნის წიაღში, მთვარეში, რომელიც სულხან საბას ლექსიკონით იკითხება არა როგორც **მთვარე**, – არამედ **მთოვარი** – ზამთარი, თმა-წვერ-ულვაშ დათოვლილი ბერი – ბრძენი. მთვარე სიბრძნეა უხსოვარ დროთა და ყოველ ერთა წიაღში და გამოსატულია სიბრძნის ქაღალმერთის, **ისიდას** ატრიბუტიკაში როგორც **მთვარე**, რომელიც პირველია ჟამთა დინებაში, კრონოსის, დროის შვილი და ქმნილება. ამაზე პირველი არა შექმნილა რა. ასეთნაირად ქართული ალფავიტი იწყება საკაცობრიო სიბრძნის სიმბოლიკით. ეს რა თქმა უნდა ჩვენი ანბანის უხსოვარ დროთა დასაწყისზე მეტყველებს და არ უნდა დავივიწყოთ ეს, რადგან ქრისტეს შობამდეა შექმნილი და ეს უკვე იმას გვეუბნება, რომ ქართული ანბანი ახალი წელთ-აღრიცხვით არ თარიღდება.

მაგრამ...

მაგრამ მთავარი ისაა, რომ თუ ალფავიტები მიანიშნებენ, რომ ცოდნა უნდა დაიწყო **სწავლით**, (ალფუ), და მისი **ძებნით** (ალფა), ისიც მხოლოდ დიდ **მე**-ში (“აზ”) (ებრაული, ბერძნული და რუსული ალფავიტები), ქართული კი პირდაპირ გვეუბნება სად უნდა **ვეძებოთ**, **ვისწავლოთ** და **შევიმეცნოთ**. ჩვენ ხომ დავინახეთ, რომ **ტ** – საიდუმლოების მატარებელი სიმბოლოა?!

კი ეს ნათელია, მაგრამ რათა ერთხელ და სამუდამოდ გავაშუქოთ ეს საკითხი, ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ალქიმიური ელემენტი “აზოტი”, ამ სიმბოლოს, ანუ **ტ** – ს

მედია

შინაარსითაა შექმნილი შემდეგნაირად: ეზოთერიზმში მიღებულია, რომ ძიება მიდის საიდუმლოებად და თუ საიდუმლოება მიგნებულია, შემდეგი ძიება უაზრობაა, ასე რომ **ჯ** – დან დაწყებული, ძიება მხოლოდ საიდუმლოებად გრძელდება, და **აზოტ-ი** ამ ალქიმიური საიდუმლობის შინაარსს შეიცავს შემდეგნაირად.

სამი ანბანი: ებრაული, ლათინური და ბერძნული. სამივე იწყება **ა**-თი და **აზოტ-ი** იწყება **ა**-თი.

“ა”

ლათინური მთავრდება “**Z**” –ით საიდუმლოებით, **ზერო** – ნულია – სივრცე **0**, და ამაზე მეტი საიდუმლოება არც არსებობს. მიუწეროთ **ა**-ს – “**ზ**”

აზ...

ბერძნული მთავრდება ომეგათი, ანუ **ო**-თი, რაც იგივეს, საიდუმლოებას ნიშნავს, მხოლოდ კონკრეტულ ადგილას. აქაც მიუწეროთ **ო**.

აზო...

ებრაული ანბანი მთავრდება **ტ**-თი, რაც ჯვარცმისა და აღდგომის საიდუმლოებას ნიშნავს. მიუწეროთ ეს ნიშანიც.

აზოტ-ი

ასე რომ ქართულ ენაშიც “**ტ**”- უნდა მივიღოთ როგორც საიდუმლოებათა სიმბოლო და, აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება რომ **ჯ** “ანი” სიბრძნეა და მისი ადგილ-სამყოფელი **ტ** – ანია... ნახეთ რა განუმეორებელ მისტიურ კავშირს ქმნიან ეს ორი ქართული ასო და სიმბოლო ერთდროულად, “**ტ**” “**ჯ**”, ანუ **ტანი!!!**. აქვე შეგახსენებთ იმას, რომ ებრაულ კაბალაში სილამაზის სიმბოლო ადამიანის **ტანი** -ა. ერთი შეხედვით ჩვენ ოდნავ გადაუხვიეთ საკითხს მაგრამ მკითხველი დაინახავს რომ თხრობა გაგრძელდება უწყვეტად, უბრალოდ დროდადრო დაგვჭირდება ამდაგვარი ჩანართები...

ეე – სიხარულია ებრაულად.

ხატი – ხატებაა სიხარულისა, სიცოცხლის სულის ჩამდგმელი და რადგან **ტ** საიდუმლოებაა, მაშინ იგი ხან უნდა ჩავრთოთ სიტყვაში და ხანაც უნდა ამოვკვეთოთ სიტყვიდან, რათა გავხსნათ დაფარული. აქ კი დაფარული თვით უსასრულობაა...
ენახოთ.

ხატი – **ხა(ტ)ი**. აქ ამოვკვეთოთ **ტ**, და დაგვრჩება **ხაი** – რაც ებრაულად ნიშნავს **სიცოცხლეს**. გამოდის რომ **ეე-ხაი** ნიშნავს სიხარულით სიცოცხლეს და თვითონ ხატი სიცოცხლის მომნიჭებელი არაა?!

კიდევ რა, თუკი აქ უსასრულობაა?!

მელეა

კი ბატონო. წავიკითხოთ **ეგზი** ისე როგორც ამას ებრაელები კითხულობენ, მარჯვნიდან მარცხნივ. გამოვა **იახვე** ანუ **IHVH** რაც ქრისტეს ჯვარცმის უკიდვანო საიდუმლებას ნიშნავს. საიდუმლოების ერთი მხარე ის გახლავთ, რომ ჩვენ გვავიწყდება ერთი, მეტად მნიშვნელოვანი რამ, – ებრაელები ხომ პირიქით წერენ მარჯვნიდან მარცხნივ, ამიტომ ჩვენ... თურმე უკუდმა გვესმის ამ სახელის სიბრძნე, მაგრამ ენა ქართული უტყუარ ჭეშმარიტებებს იტევს და ქართულის ცოდნა სამყაროს ცოდნას შეიცავს.

აბა ვნახოთ.

პირველი რაც იბადება ეს არის წერტილი და **წერტილი ტ**-ს შეიცავს. ასე რომ აქაც საიდუმლოება უნდა ვეძიოთ?! რა საიდუმლოება?

ამოვიღოთ სიტყვა წერტილიდან **ტ**, რის შემდეგაც ჩვენ დაგვრჩება სიტყვა **წერილი!!!** დიას წმინდა წერილი წერტილში და ახლა უკვე ბერძნულად იგი **ალფა**, ანუ უნდა ვეძიოთ ის რაც უნდა ვისწავლოთ და წერტილში წავიკითხოთ სივრცეში მოცემული წერილი. ავდგეთ და ჩვენც წავიკითხოთ იგი... ჩანასახის პროცესში!

დავსვათ წერტილი, ამ შემთხვევაში უკვე **ალფი** და, რადგან პირველი რაც ადამიანის ჩანასახში ვითარდება გულია, ჩვენც ჩავხაზოთ საიდუმლოების პირველი წრე ისე, რომ მოხაზულობა საათის საპირისპირო მიმართულებით ვაწარმოოთ



ჩანასახის გულის განვითარებას მოჰყვება თავის განვითარება და ჩვენც გავაგრძელოთ ჩანატვის პროცესი (დაიჭიროთ სიტყვა **ჩახატვაში ხატი**, ანუ ბავშვი რომელიც ხატია და მსგავსება უფლისა!) ასევე ხელის აუღებლად, უკვე საათის ისრის მიმართულებით და... მივიღებთ რვიანს

8

ამის შემდეგ ვითარდება ტანი და თუ ასობგერას მოხაზულობა ასევე ხელის აუღებლად გავაგრძელოთ და წრეს შემოვხაზავთ ისე, რომ გული ტანში დარჩეს და თავი კი ტანს ზემოთ... აიკრიბა საბოლოო სიმბოლო, – მხედრული ასო

ტ – არი

სიმბოლურად ეს ასე იკითხება: ადამიანი “ტარი,” ტ – არი!!!

ტანი შედგენილი სიტყვაა და მისი გაჩენის შემოქმედებაში განსაკუთრებულ როლს ორი ასობგერა თამაშობს “ტ” და “ა” ეს ზემოთ მოყვანილ ილუსტრაციაზე ნაჩვენები.

იოლი მისახვედრია, რომ ასე მარტივი არაა ტანის განვითარება. გული მზეა, ლოგოსი, – ქრისტე და იგი აყალიბებს ყველა ორგანოს (ადამიანს შეიძლია ორგანო აქვს: გული, ელენთა, ორი ფილტვი, ორი თირკმელი, ღვიძლი – (სულ შეიძლი).

შეიძლია “პი”, 7 ნახევარწრე წრე და... აი სასწაულთ-საწაული ენისა ქართულისა **ბ**, – იგი შენიღბულად, სრულიად შეუმჩნეველად დაასრულებს ღვთის ხატებას – ბავშვს და ჭიპლარიდან აღის ბ ასობგერის მოხაზულობით ბავშვის თავის ტვინში, გირჩისებრ ჯირკვალში როგორც გეგმა, მიზანი, როგორც საკუთარი თავის შეცნობისა და სრულყოფილების უტყუარი გეგმა – მზისწნულიდან, მისტიურად კი წმინდა მარიამიდან, ყველა ორგანოსა და მთელი სხეულის

აღმშენებლობის გზით **ქრისტეს ცნობიერებამდე... აქ მხოლოდ ამას დაეყაბულდეთ, შემდეგ ნომერში დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს.**

ასეთია ჩვენი დალოცვილი ენა... მართალია ბერი ზოსიმე... სწორია ყველა, ვინც ქართულ ენაში რაღაც ღვთიურს ხედავს... თუმცა დადგა დრო, როდესაც უკვე ყველას შეუძლიან დაინახოს ეს ღვთიური, თუკი თვალი დამტვერილი არაა უმეცრებითა და მიუღებლობით...

სვანეთმა გასულ საუკუნეში გააუღერა თავის განდობილთა პირველი გზავნილი მთელი მსოფლიოსადმი და აჩუქა მას, მსოფლიოს, პირველი შვიდი არკანი...

არკანების გაშუქება ჩვენ უკვე დავიწყეთ და დეტალურად სვანურ არკანებზე ამევე ნომრის “არკანოლოგიის” რუბრიკაში მოგახსენებთ, ახლა კი ენობრივი ფენომენის კუთხით გავშიფროთ ზოგი რამ.

სვანეთი, – სვანი! სანსკრიტულად ეს ნიშნავს **მზის შვილს, მზის შვილების ქვეყანას.** როგორ შეიძლება ამ ქვეყანაში, რომელიც უხსოვარი დროიდან ქალღვევლთა საიდუმლოებებს ფლობდეს და იქ ამის შესახებ მინიშნებაც კი არ იყოს?!

არის ასეთი მინიშნება! ჩვენ ხომ დავინახეთ რომ “**ტ**” მისტიური გასაღებია და ჩვენც გამოვიყენოთ იგი.

მესტია – მეს(ტ)ია და ტ – ს ამოკვეთის შემდეგ მივიღებთ

მესია!!!



და ეს მესიანური პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა შვიდი არკანის ნობა-თის სახით... განა თვითონ არკანი არ არსებობს სვანეთში ასევე მისტიურად? რათქმაუნდა რომ კი: არკანი, არკან – ი, და ეს რომ მარცხნიდან წავიკითხოვდ გამოვა ნაკრა, – ანუ სოფელი სვანეთში... ბოლოსდაბოლოს იმასაც გავიგებთ, თუ რა დაუბარა რაჭველებს წერეთელმა...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მზითევი

ენები განუმარტავად არ აშენებენ

5. მე მსურს, რომ თქვენ ყველანი უფრო მეტად, რომ წინასწარმეტყველებდეთ, ვინაიდან, ის, ვინც წინასწარმეტყველებს, ენებით მოლაპარაკებე მეტია, თუ განმარტავს კიდევ, რათა ეკლესია აშენდეს.

9. ასევე თქვენც თუ ერთი გაურკვეველ სიტყვებს წარმოთქვამთ, როგორ გაიგება ნალაპარაკევი? ჰაერში ილაპარაკებთ.

10. მაგალითად, რამდენი განსხვავებული სიტყვაა წუთისოფელში და მათგან არცერთი არ არის უმნიშვნელო.

13. ამიტომ ილოცოს ერთი მოლაპარაკემ, რათა განმარტოს კიდევ.

16. ვინაიდან, თუ სულით აკურთხებ, როგორ იტყვის ამინს შენს მადლობაზე, ადგილზე მდგომი უმეცარი მრევლი თუ არ იცის, რას ამბობ შენ?

18. ვმადლობ ჩემს ღმერთს, რომ ყველა თქვენთაგანზე მეტს ვლაპარაკობ ენებით.

19. მაგრამ მირჩევნია ეკლესიაში ხუთი სიტყვა ვთქვა ჩემი გონებით, რათა სხვებსაც ვასწავლო, ვიდრე ათი ათასი სიტყვა ენებით (პავლე მოციქული)

საქართველოში ქალის მზითევს “ვეფხისტყაოსანი” და ჭადრაკი წარმოადგენდა.

ყველამ იცის, რომ ევა – ქალია და სიხარული ერთდროულად. აბა, კარგად ჩაუკვირდეთ რას ნიშნავს მზითევი: ანუ **მზით, ევი**, – მზით გახარება. ასეა თუ ისეა გასაგებია, რომ “ვეფხისტყაოსანი” “**მზით გახარებაა**”, მაგრამ ჭადრაკს კი ესაჭიროება გახსნა, განმარტება, ანუ საჭიროა გაკვეთილი, ჭადრაკის ფილო-სოფიური არსის გახსნისა. ამას ჩვენ ორ მოკლე განხილვაში გავაკეთებთ. ეს პირველი განხილვაა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ გაკვეთილი **გაკვეთას** ნიშნავს და იმაში, რაც გაიკვეთება ჩახედვა შეიძლება და იმის დანახვა, რაც გაკვეთამდე არ ჩანდა და დაფარული იყო გარსით. ჩვენც ავღვეთ და გავკვეთოთ სიტყვა ჭადრაკი. აი თურმე რა საოცარი სიღრმისეული შინაარსი ჰქონია ამ ერთი შეხედვით თითქოსდა ასე ნაცნობ სიტყვას – **გაკვეთილი!!!**

დავმარცვლოთ სიტყვა ჭადრაკი:

ჭად-რა-კი.

რა – არის მზე;

კი – არის მთვარე;

რა – მზე – ანუ თეთრი ფიგურები;

კი – მთვარე – ანუ ღამე, შავი ფიგურები.

ასევე მარტივია დავინახოთ ფიგურათა ნაირსახეობის რაოდენობა: სულ ხუთი ფიგურაა. **5** – ხუთი მიკროკოსმოსია, ანუ ადამიანი და ძველად იცოდნენ, რომ არსებობს მხოლოდ ერთი მეცნიერება – ადამიანის მეცნიერება. აქედან გამომთქმაც: შეიცან თავი შენი და შეიცნობ სამყაროს. გამოდის, რომ არ არსებობს არანაირი მეცნიერება, გარდა **ადამიანისმცოდნეობისა...**

გავაგრძელოთ ჭადრაკის საიდუმლო არსში ჩახედვა, რადგან უკვე **გავკვეთეთ** იგი და ჩვენც ჩავიხედოთ ამ გაკვეთილში.



პირდაპირ და დაუფარავად ქართული ენა ამბობს რომ “ტურა” – ეგვიპტური მითოლოგიით სიბრძნის



მელეა

დმერთი “ტოტი”, - არის ეტლი. ეტლი კი აღმოსავლურ ფილოსოფიაში – სხეულს ნიშნავს. ტანი სულის ადგილსამყოფელს წარმოადგენს. ტანი სულის ადგილსამყოფელიცაა და მისი ციხეც, სადაც სული დატყვევებულია, ვიდრე სული არ განავითარებს სხეულს სრულყოფილებამდე, ანუ ვიდრე არ სრულყოფს მას. გამოდის, რომ ჩვენი სხეული ჩვენი ჯვარია, რომელსაც სიკვდილამდე ვატარებთ. “შვილი მოგხედების კეთილსა ეტლზედან დაბადებული...”(ქაიხოსრო)

განვიხილოთ ეს საკითხი უშუალოდ ჭადრაკის დაფაზე. ეტლი, თუ ჭადრაკის დაფის ცენტრშია მოთავსებული, თავისი სვლებით ჯვარს ქმნის. თუ სხეული მოგვერია, მთელი სიცოცხლე მძიმე ჯვარი უნდა ვზიდოთ და თუ სხეულს ვსრულყოფთ, ანუ მოვერევით მას, მაშინ იგი სამოთხეა. აბა დააკვირდით ჯვრის ქიმებს! სამი უჯრედი ზევით, ოთხი უჯრედი ქვევით, (სამოთხე). ასევეა ჯვრის მეორე ფრთაც.



მათი გადაკვეთა არის გული, რაზედაც დგას მთელი სხეული. როგორც კი ეტლს ერთი უჯრედით დაბლა გადმოვანაცვლებთ, უკვე ზემოთ იქნება ოთხი უჯრედი და ქვემოთ კი სამი, ანუ სამოთხე გადაყირავდა და ჯოჯოხეთად მოგვევლინა... შევის-წავლოთ ეტლი რიცხობრივად. სადაც არ უნდა მოათავსო ეტლი, უჯრედების რაოდენობა, რომელთაც ის აკონტროლებს უდრის 15-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ მონადა 1 მოთავსებულია მიკრო-კოსმოსში 5-ში, ადამიანში და მათი მისტიური ჯამი უდრის 6 – გულს. ამ რიცხვის ასეთი კუთხით განმარტება უხსოვარ დროთა წიაღშია განმარტებული: წმინდანის გული ანათებს და მოციქულის სხეული მთლიანად წმინდანის გულივით ხდება.

ვინც ბემბოს ფირის საიდუმლოებას წაიკითხავს, ის დაინახავს, რომ 6 არის ასო ბგერა ვინი. ასე რომ ეტლის, ანუ სხეულის კვინტესენცია არის გული და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ეტლი ჯვარია, გამოდის რომ ჯვარი სიყვარულია. მიუხედავად იმისა, რომ ეტლის შესახებ სათქმელი ბევრია, განვიხილოთ სხვა ფიგურებიც.


რიგით მეორე ფიგურა – ცხენია. ცხენი დასავლურ და აღმოსავლურ მითოლოგიებში – გრძნობებია, ადამიანის ემოციები: ბერძნულში – კენტავრი, ინდურში – კრიშნას ხუთი ცხენი, ხუთი გრძნობა.

არაფერია ისეთი უცნაური და ცვალებადი, როგორც ემოციები. ცხენიც ასევე ყველაზე უცნაური ფიგურაა ჭადრაკის დაფაზე თავისი განუმეორებელი და უცნაური ნახტომებით.

მედეა

ცხენი იწყებს ყველაზე მცირე 3 უჯრის კონტროლით თუ იგი კუთხეშია მოთავსებული, შემდეგ ოთხი, ექვსი და რვა უჯრედის კონტროლს. ემოციები ასტრალური სხეულია, ანუ ადამიანის მეორე, ემოციური სხეული, რომელიც ფიზიკურ სხეულშია ჩადებული, ამიტომ იგი მეორეა ეტლის შემდეგ.

ძალზე მნიშვნელოვანია დავინახოთ, რომ **ეტლი, მხედარი და კუ** სრულიად განსხვავებული ფიგურებია უჯრედების კონტროლის თვალსაზრისით.



კუ – საფუძვლად უდევს მთელ სამყაროს, რადგან განდობილის, უზარმაზარი ცოდნის ქურუმის სიმბოლოა (კუ-რთხეული, კუ გართხმული, რადგან მასზე დგას სამი სპილო და სპილოებზე კი დედამიწა, ანუ კუს უჭირავს მთელი სამყაროს ტვირთი). უკვე იოლი მისახვედრია რომ კუ მენტალური სხეულია, ანუ მენტალი, ინტელექტი. დიახ, ყველაზე მცირე რითაც იწყებს კუ, – ეს რვა უჯრაა. რვა კი მაგიაა. თუ გავისხენებთ, რომ ფიგურები თეთრია და შავი, მაშინ გასაგები ხდება, რომ არსებობს თეთრი და შავი მაგია, სიკეთისაკენ თუ ბოროტებისაკენ მიდრეკილი გონება. მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ კუ ქურუმი, განდობილი, ადექტი და უჯრების რიცხვთა თანმიმდევრობა, რომელთა კონტროლს აწარმოებს იგი, იმისდა შესაბამისად თუ რა პოზიციას იკავებს დაფაზე, ასეთია – 8, 10, 12, 14. თოთხმეტი ნიშნავს მონადას – 1, რომელიც ოთხი სტიქიის (წყალი, მიწა, ჰაერი და ცეცხლი) მბრძანებელია.

აი ეს არის და ეს ის პირველი სამება, რაც უნდა განავითაროს ადამიანი: სხეული, ემოციები და გონება. მაგრამ რისთვის?!



რისთვის და ყოველი მათგანი დიდი “მე“-ს გახსნას იწვევს, რადგან სამივე თავმოყრილია რიგით მეოთხე ფიგურაში – დედოფალში, ანუ ქართულად **ლაზი ერში!!!** დიახ **ლაზი ერია** ოქროს საწმისის, მისი დედოფლის – მედეას ქვეყანა, სამეგრელო, სვანეთი და იმერეთი.

ვნახოთ ეს ჭადრაკის დაფაზე.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მხედარი ლაზი ერშია თვისობრივად ჩადებული (ყურადრებიანი ადამიანი შეამჩნევს,

მედეა

რომ მეგრელები საოცრად ინტონაციურად მეტყველებენ, ისე, რომ თითქმის ყოველ სიტყვაში ხდება ინტონაციის ემოციური მოდულირება)* ემოციურობის თვალსაზრისით, გნებავთ ცხენების მიმართ სიყვარულში, რა თქმაუნდა იმ გაგებით, რომ ლაზ ერში ჭარბადაა ჩადებული ემოციური სხეული (ცხენი). მაშინ უშუალოდ დედოფლის ირგვლივ, სიმბოლურად, შეიქმნა კვადრატი ხუთი ხუთზე, სულ ოცდახუთი უჯრა. ამას ხელოვნურად ვღებულობთ ლაზიერის ირგვლივ იმ უჯრების გათვალისწინებით, რომლებსაც ლაზი-ერის ადგილზე მყოფი მხედარი შეაესებდა 25 უჯრამდე. 25 დეკემბერი!!! დედოფლის ერთადერთი მიზანია გააჩინოს სულის მეფე, რომელიც თავის მხრივ 9 უჯრას აკონტროლებს და თქვენ უკვე იცით, რომ 9 სულიწმინდის სრულყოფილებაა და მიზანიც მიღწეულია – მეხუთე ფიგურა არის **მეფე!** ანუ სრულყოფილება იშვა ლაზი ერისაგან და დედა **მედეამ** იგი საბერძნეთს გადასცა რათა მათ მსოფლიო გაენათლებინათ. დედა კი ყოველთვის გააჩენს შვილს, მეფეს...

დაფაზე ორი ფერის ფიგურაა – თეთრი და შავი, რაც უმთავრესი საკრალური შინაარსით ნიშნავს სულისა და მატერიის ორთაბრძოლას. ეს თავის მხრივ ნათელს მოჰყენს იმ გარემოებას, რომ მიმდინარეობს ბნელისა და ნათელის ორთაბრძოლა. სხვა საქმეა ბრძოლის ველი, რაზედაც მეორე ნაწილში მოგახსენებთ. ბნელეთის დრო უკვე გავიდა და მოდის ნათელი. თუ დღემდე ქალი უფლებას აძლევდა მამაკაცს, მოქცეოდა მას უხეშად, რაც



აიძულებდა მას შეექმნა “**შავი ფიგურები**” – უღირსი მამაკაცები, “**დემონები**” – დღეს იგი იბრუნებს თავის ღირსებას ამ ჟურნალში მოწოდებული ცოდნით და შექმნის ნათელი სულის მეფეებს, რომელნიც უკვდავებას დაამკვიდრებენ მთელს დედამიწაზე.

(პირველი ნაწილის დასასრული)

ქართული კაბალა



მხოლოდ კაკასიის ხაღხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას... აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით მიჰყავს მსოფლიო ისტორია.

/პეგელი/

რა საკვირველია, რომ ჭადრაკი თავისი სახელითაც და თავისი ადგილით ქართულ ეროვნულ ცხოვრებაში, წარმოადგენს მსოფლიოს უპრეცედენტო მოვლენას. თუ უცხოეთში ეს მხოლოდ სამეფო და დიდებულთა გასართობ მოვლენას წარმოადგენდა, – ეგვიპტედან და ინდოეთიდან დაწყებული და ჩინეთით დამთავრებული, – საქართველოში კი იგი ყოველი ოჯახის სულიერ საზრდოს წარმოადგენდა, და დედა, რომელსაც მზითვეში ჭადრაკი და ვეფხისტყაოსანი მიჰქონდა, თავის პირმშოს ძუძუსთან ერთად ამ საოცარ, მსოფლიოს ყველაზე საიდუმლო თამაშს აძლევდა.

ზემთ მოყვანილი პირველი ნაწილიდან თქვენ ნაწილობრივ უკვე ეზიარეთ ამ თამაშის სიმბოლურ შინაარსს და უკვე გაქვთ გარკვეული წარმოდგენა ამ უკიდებანო, სამყაროს ფილოსოფიური შინაარსის მქონე თამაშის მიმართ, რასაც ახლა გაეცნობით, კიდევ უფრო ღრმად დაგაფიქრებთ იმის შესახებ, თუ რაოდენ ღრმა გამონათქვამია მოყვანილი წიგნის ამ თავის ეპიგრაფში...

საქართველოს შვილები სპარსეთსა თუ მამულუქთა სულთანათში, რუსეთსა თუ თურქეთში, აშშ-ში (შალიკაშვილი, ქართველიშვილი...) თუ სხვაგან და სხვაგან აღიარებულ თუ გასაიდუმლოებულ ლიდერებად იყვნენ სახელმწიფო თუ მეცნიერულ, სამხედრო თუ სამოქალაქო დარგებში და ქართველთა გენიის გვირგვინს, ნათქვამის ჭრილში, ერთი ანთიმოზ ივერიელიც კი ეყოფა, როგორც სულისა და აღმშენებლობითი გენიის ბუმბერაზი ადამიანი, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ ადამიანებზე, როგორებიცაა პეტრე პირველი თუ სტალინი და მრავალი და მრავალი სხვა სულისა და გონების ბუმბერაზი შემოქმედნი. თვით საქართველოს

მედეა

ისტორიაა აღვსილი ამგვარ ცნობილ თუ უცნობ შემოქმედ ადამიანთა სახელებით: მათე მღვდელი თუ სამასი არაგველი, სვეტი ცხოველის ავტორი არსუიძე თუ ჯერის მონასტრის უცნობი ხურო... ვინ მოსთვლის იმათ ვისი დალოცვილი მარჯვენაც აშენებდა გერგეთსა თუ როშათს, ვარძიასა თუ დავით გარეჯს... ყველა ამ შემოქმედთა გენიის სულში ჭადრაკისა და ვეფხის ტყაოსნის მადლს უნდა ვეძებდეთ...

ეგვიპტეში, მეფეთა, რაც იგივეა ფარაონთა თუ ქურუმთა გზას ღმერთისაკენ “როშ” ჰქვიან იმიტომ რომ... ”შორ” სავალი გზაა, გზა უფლისაკენ მიმავალი შორ-ია!.. ებრაულად კი ეს გზა ათი სფიროტისაგან შედგება(ათი სეფიროტი) და... შევაერთებთ რა “როშ”-სა და “ათს”, გამოვა “როშათი” – მეფეთა გზა ღმერთისაკენ... აქ იგულისხმება ერთი პაწაწინა მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ქართული ეკლესია, - როშათი...

ჭადრაკის თვალსაზრისით, არც საქართველოს ფენომენია შემთხვევითი: ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე უბრწყინვალესი და შეუდარებელი ფენომენია მთელს მსოფლიოში ამ მიმდინარე, მერწყულის, ქალთა ეპოქაში. ისინი ხუთ-ხუთჯერ იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონები, ანუ განგება მიგვანიშნებს იმას, რომ კავკასია



ნახ.1

(გაიხსენეთ ჰეგელის გამონათქვამი!!!) კვლავ სთავაზობს კაცობრიობას ადამიანის, ნონასა და მაიას ხუთიანების



ნახ.2

სრულყოფილების რეალიზაციას. თუ მათ შედეგებს შევაერთებთ აშკარად გამოგვივა $5+5=10$, ანუ ამ ადამიანებმა, ღვთის განგების ძალითა და მადლით მსოფლიოს უხილავ გეგმილზე უხილავი გზა გაჭრეს, ევოლუციის გზა უფლისაკენ. არც ისაა შემთხვევითი, რომ ნონამ

სამეგრელოში აიდგა ფეხი და მაიამ ქუთაისში. ეს გზა ქალებმა, ქართველმა დედოფლებმა მოიტანეს...

დასტურისათვის გავხადოთ უხილაგი ხილული ასეთნაირად...

ჯერ თვითონ სიტყვა “ჭადრაკი” უკვე ბოლომდე გავხსნათ: ჭადრაკი, – “ჭ” – ჭარი – 5000

ხუთის მნიშვნელობა უკვე კარგად ვიცით, – ადამიანი, – საიდუმლო პენტაკლი.

სამი ნული, – სამება, რომელიც სამ არეს ქმნის თვითონ ჭადრაკის დაფაზე (ნახეთ რა გასაოცარ შინაარსს იძენს ეს ორი სიტყვა ერთად დაწერილი, – სამარე!!!)

ამ სამ არეს, ჭადრაკის დაფაზე აქვთ თავისი ადგილები: შავი ფიგურების 16 უჯრედი, – ეს შავი სივრცეა და პირველი ნული, – “0” თეთრი ფიგურების 16 უჯრა, ეს თეთრი სივრცეა და მესამე ნული “0”; ბრძოლის ველი 32 უჯრა, ეს უკვე მეორე ნულია, მეორე სივრცე, ბრძოლის ველი და, რა თქმა უნდა, იგი ბრძოლის ველზე დაღვრილი სისხლის ფერია, – წითელი.

გავაგრძელოთ “ჭადრაკის” გახსნა.

შემდეგი ასობგერა, Ⴀ-ანი-მთვარე – მთვარი (სულხან საბას ლექსიკონი), სიბრძნე, ანუ აღმოსავლურად – “ინ“-ი.

დ – დონი – მზე – “იან“-ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, – მთვარიდან მზემდე და ეს ასეთი სიმბოლოა!

ახლა სხვა მარცვლები განვიხილოთ:

რა – მზე – ლოგოსი;

კი – მთვარე – სიბრძნე.

აქ უკვე მზიდან, ლოგოსიდან მთვარემდე, მიწიერ სივრცეში მთვარესთან, “ინ“ – თან დაბრუნება და... შეიკრა მარადიულობა!

ეს ორი განსხვავებული სიმბოლო ევოლუციაც არის და ინვოლუციაც (ნახ. 1; და 2)... წარმოუდგენელია, რამდენი შინაარსი დევს ამ დალოცვილ სიტყვაში – ჭადრაკი!

ეს მხოლოდ დასაწყისია ისედაც უკვე აღმოჩენილ ინფორმაციულ ოკეანეში, მაგრამ ჩვენ მაინც უსასრულოდ გავადრმავებთ მას. ასე რომ “ჭადრაკი” ნიშნავს დაბადებას მზიდან, სიტყვიდან, ლოგოსიდან და მისიის შესრულების შემდეგ დაბრუნებას, ამადლებას მიწიდან, მთვარის სიბრძნის მადლით, ლოგოსამდე.

ეს მარადიული პროცესია, ბრძოლაა ჭადრაკის დაფაზე, რეალურ ცხოვრებაში – ანუ დაცემა ბნელში და აღდგომა ბნელეთიდან.

გასაგებია, რომ ეს უსასრულო, დაუსრულებელი ბრძოლაა ჭადრაკის დაფაზე და მთელს სამყაროში და ამაშია სიცოცხლის არსი: დაცემა, წაგება “თეთრებისა” ნიშნავს ჯოჯოხეთში ჩასვლას და გამარჯვება თეთრებისა ნიშნავს ლოგოსში, ქრისტეში ამადლებას და ასე დაუსრულებლად...

ასე რომ ჭადრაკი ნიშნავს “ანი” – დან “დონ“-ამდე მოძრაობას და პირიქით. მხოლოდ კი ერთი რამ უნდა გავხსნათ, – ბნელი, – პატარა “მე“-ა, ადამიანური უმეცრება, – შმაგი ეგოიზმი, – შავი ფიგურები და პირიქით, – დიდი “მე” – დეოსი – ღმერთი (მე დეოსი, – მედეა) ალთრუიზმი, ქრისტიანობა. ეს ყველაფერი გაუთავებელი, დაუსრულებელი ბრძოლაა, – რაც უკვე კარგად ვიცით, ბრძოლა რომელიც ადამიანს ეკუთვნის და ისიც მხოლოდ საკუთარ თავთან. ყოველივე ეს “ჭ“-არი-ს შინაარსითაა გადმოცემული: “ჭ“-არის რიცხვითი მნიშვნელობა ხომ 5 000 და “ხუთი”, როგორც უკვე ვთქვით, ადამიანია, საიდუმლო პენტაკლი.

სამება, სამი ნული, – სამი არეა და უხსოვარ დროთა წიაღიდან ვიცით, რომ ატლანტები სამი ფერის ქვით აშენებდნენ თავიანთ ტაძრებს: შავი, წითელი და თეთრი ქვებით. ეს ცოდნა ლემურიელთაგან ჰქონდათ მიღებული...

შავი ხანა – ლემურია, შავი რასა;

წითელი ხანა – ატლანტიდა, წითელი რასა;
თეთრი ხანა – ჩვენი ეპოქა, თეთრი რასა.

წინა ორი რასა გარდასულია. ეხლა თეთრი ხანაა. წითელ ხანაში გაკეთდა გამარჯვების წინასწარმეტყველება; აცტეკებმა 2012 წელი მიანიშნეს უამთა დასასრულად და არა სიცოცხლის დასასრულად. ყველაფერი ეს მარტივად იხსნება შემდეგნაირად.

აცტეკების წინასწარმეტყველების თანახმად 2012 წელს იწყება ახალი ეპოქა და არა ახალი წელთაღრიცხვა. დღეს, 2010 წელს დაიწყო ეპოქათა მონაცვლეობის პროცესი. 2010 წელი საკრალური რიცხვია. მასში, რიცხვი 201 წარმოადგენს 21 ძირითად არკანს და უმთავრეს ნულოვან არკანს “0”, ანუ ყველაფერი ევოლუციური შესდგა და დაიწყო ახალი “0” ნულოვანი არკანითვე. სამების წესის თანახმად, ყველაფერი იწყება “0” ნულით, ნულოვანი არკანით. მას მოყვება პირველი არკანი “1”, მონადა, რომლის გარეშე სივრცე “0” ნულოვანი არკანი უაზრობაა. შემდეგ მოდის “2” ჭეშმარიტება და სამებაც შესდგა, რაც ფაქტობრივად 2010 წელს დაიწყო და დასრულდება 2012 წელს. დააკვირდით ამ რიცხვს: მეორე ეტაპი კაცობრიობის განვითარებისა დასრულდა და ეს პირველ ციფრშია მოცემული, – 2. და იწყება მესამე ათასწლეული საკრალური რიცხვებით: “0”, “1”, “2”. თუ მაინცადა-მაინც ახირებულ მკითხველთან არ გვექნება საქმე, მაშინ ვიტყვით, რომ “0”, – ის სივრცეა, რომლის სრულყოფილების ეპოქაც მოვიდა რაზედაც რიცხვი 12 მიგვანიშნებს, – ადამიანი ხომ 12 ზოდიაქოს ნიშანია წრეში “0”, რაც იგივეა ნულში “0” ჩახაზული. ასე დასრულდება უმთავრეს არკანთა ჩამოყალიბება და ეპოქა შეუქცევადი პროცესებით გაგრძელდება, რაც ძმობის, რელიგიათა ტოლერანტობის და კაცობრიობის ომის გარეშე განვითარების უტყუარი გარანტიაა. ეს რომ ასეა ჩანს წარსულ დროთა და მიმდინარე დროის სივრცეში არსებულ ძალთა მოქმედების განსხვავებაში. ეს ძალებია: მასები; რელიგია და სახელმწიფო. ძალა–მასებია. თუ მასები გაუნათლებელია მაშინ იგი ბრბოა და დამანგრეველ ძალას წარმოადგენს. წარსული ისტორია ასეთი იყო. დღეს განათლებამ მასები შემოქმედ ძალად გარდააქცია და მიდის გასაოცარი აღმშენებლობა მთელს დედამიწაზე. რელიგია გაუნათლებელ მასებში მხოლოდ ცრუმორწუნეობას იძლეოდა, ეხლა მეცნიერებად ქცეული რელიგია სინათლეს იძლევა და შეგნებულ ადამიანთა მოთხოვნილებას წარმოადგენს. სახელმწიფო ტერორისა და ძალადობის ინსტიტუტი იყო და შიშის მექანიზმს წარმოადგენდა, დღეს ტოლერანტობა და დემოკრატია განათლებულ, განვითარებულ სახელმწიფოთა შინაარსს წარმოადგენს და ჰუმანიზმი უკვე კონსტიტუციურადაა დაფიქსირებული სახელმწიფოთა სისტემებში...

...საგულისხმოა ქართული დროშის, ამ კუთხით, ნათქვამთან დაკავშირებული სიმბოლიკა, რომელიც ჭადრაკის ფერთა ჭრილში აიხსნება. ვიდრე ხუთჯვრიან დროშას მივიღებდით, მანამაღე ჩვენი დროშა... “ჭადრაკის” ასეთი “დაფა” იყო!!!

აქვე განვიხილოთ თვით ჭადრაკის დაფა და ყოველ კითხვას გაეცემა პასუხი. შავი ფიგურების სივრცე 16 უჯრაა და დაფა აქ მთლიანად შავია, ასე ვთქვათ, – ბნელეთი, ადამიანის გაავაბული ეგოიზმი, უმძიმესი უმეცრება და სიბნელე.


თეთრი ფიგურების სივრცეც 16 უჯრედია და დაფა აქ ნათელი, თეთრი ფერისაა, – ნათელი, ადამიანის ამაღლებული ალტრუიზმი, უკიდვანო ცოდნა და სიბრძნე. (ვიდრე შოთა რუსთაველს და მის ვეფხისტყაოსანს შევეხებით, ორი სიტყვით აღვნიშოთ რიცხვი 16, – ეს ხომ ვეფხისტყაოსნის ლექსის ზომაა!!!)

ჭადრაკი ამ ორი მოვლენის, ნათლისა და ბნელის გაუთავებელი, დაუსრულებელი ბრძოლაა, სამყაროს ევოლუციის ის მიმდინარე პროცესები, რაც მოკლედ გამოიხატება ქრისტეს სიტყვებით: გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე!!!

აშკარაა, რომ დაფა სამ არედ გაიყო ისე, როგორც ეს ჭადრაკის გაშიფვრისას ასობგერა ”ჭ“-ართ მივიღეთ: ჭ – 5000.

დიას, ჭადრაკიცა და დროშაც, – ადამიანია, – ხუთი და სამი არე, რაც სამი ნულითაა მინიშნებული: პირველი ნული – შავი სივრცე და შავი ფიგურებია; მეორე ნული – ბრძოლის ველია – წითელი სივრცე; მესამე ნული – თეთრი სივრცეა, თეთრი ფიგურები.

შავ-წითელ-თეთრი დროშა წავიდა თავისი განსაცდელებითა და სიბნელით, მას სამუდამოდ გაჰყვა ქურდული კლანები თავისი მენტალიტეტით, ანუ სამუდამოდ წავიდა უმეცრება და ეგოიზმი, რადგან წარსული დროშის სანაცვლოდ მოსული ხუთჯვრიანი დროშა ასე მარტივი დროშა როდია. ახლანდელი დროშა გულია, – ძირითადი ჯვარით და ოთხი პატარა ჯვარი – გულის ოთხი კამერაა. სულ ხუთი ჯვარი, – ადამიანი, მესამე ათასწლეულში შესული, ბნელეთის, უმეცრებისა და ეგოიზმის მარწუხებს გაქცეული. საქართველო და ქართველები თავის არსს, გულს დაუბრუნდა. შემთხვევითია განა, რომ ქართულ ენაში უამრავი სიტყვაა გულზე: გული, გულადი: გულითადი; გულთბილი? და მკითხველს არ გაუჭირდება ლექსიკონის მეშვეობით ამ სიტყვათა ამოკრება და პირადად მე ყველაზე ძალიან მომწონს სიტყვა გულის ისეთი წარმოებული, როგორცაა გულადლება, რაც ეროვნული სულის ქვაკუთხედიცაა, სულის ტაძარიც და დამაგვირგვინებელი, ჩამკეტი, – სომის ქვა! გავაგრძელოთ თხრობა.



ქორდანიას შავ-წითელ-თეთრი დროშა 70 წელზე მეტხანს გვიჩვენებდა, რომ მსოფლიო ჯერ კიდევ ბნელის ხელშია და პირადად საქართველო უმეცარი კომუნიზმის მძევლად იყო აყვანილი. და რა გათავდა უღელი, – მესიანური ხანაც მოვიდა, – ჩვენს დროშაზე აღარ არის სიშავე. ეს მესიანური დროშაა რომელიც საქართველომ აღმართა ნაციონალიზმის უწმინდესი, ყველაზე ჰუმანური გაგებით და მსოფლიოს აუწყა ძმობის დასაწყისი, გაერთიანებისა და სოლიდარობის

გზით. საჭიროა დაუმტკვრელი თვალი, რაც მომავალშია შესაძლებელი, თორემ განა რა ძნელია დღესაც დავინახოთ ის, რომ საქართველომ უსწრაფესი ჯვაროსნული 5 დღიანი ომი მოიგო რუსეთთან, სიბნელის ბოლო ფორპოსტთან შერკინებაში...

... ამას იტყვიან ისტორიკოსები და ანალიტიკოსები მომავალში და ყოველი ის პიროვნება, რომელიც თავისი ფოტოსურათით გამოსახულია ჩემი წიგნის “ნოვია პოლიტოლოგია”-ს გარეკანზე მშვიდობის ნობელის პრემიის ღირსი მსოფლიოს პოლიტიკოსებია. ერთმა მათგანმა, – ბარაკ ობამამ უკვე მიიღო ხსენებული მშვიდობის ნობელის პრემია. როგორც იტყვიან, – ნავსი გატყდა...


...ღირს ორიოდ სიტყვით მსოფლიოს ევოლუციის უხილავი გეგმილის განხილვა.

ლემურიის ეპოქა და შავბნელი მაგიით აღვსილი ხანა კატასტროფით დამთავრდა.

ატლანტების ხანა, – წითელკანიანი აცტეკები, უსაზღვროდ სისხლის მღვრელი ცივილიზაცია იყო (ცნობილია, რომ ინდიელები ომს მხოლოდ იმიტომ იწყებდნენ, რომ ტყვეთა სისხლის მდინარეებით მოერწყათ თავიანთი პირამიდების კედლები) და ეს ცივილიზაციაც წავიდა, ...მაგრამ ევოლუციას მოაქვს განწმენდა და ნახეთ შავი რასის განათლებით მოპოვებული ევოლუციური ამაღლება. განწმენდა ბუნებამაც განახორციელა ჰაიტიზე: მიწისძვრამ ერთიანად შემუსრა ვუდუს, შავი მაგიის ბნელი კერა... ამით შავ რასას ჩამოსცილდა ცოდვა და ნათლისაკენ გაეხსნა გზა. მაგალითისათვის კმარა მაიკლ ჯექსონისა და ბარაკ ობამას მსოფლიო მასშტაბის შემოქმედება...

მელა

წითელი რასა განიცდის რა თეთრი რასის ზეგავლენას, ასევე შემოდის მსოფლიო ევოლუციურ პროცესებში და თავის მხრივ აქტიურად მონაწილეობს ევოლუ-ციაში: კასტანედას წიგნი წითელი რასის მისტიციზმზე... აქაც, კაცობრიობის სივრცეზე გადაშლილი სამი ფერი: შავი, წითელი და თეთრი!!!



ეს იმას გვიჩვენებს, რომ კაცობრიობის გამთლიანება ერთი ადამიანის ორგანიზმის მსგავსად განვითარდება და კაცობრიობა, ვით ერთი ორგანიზმი, ბუნებრივად განახორციელებს ყოველი რელიგიის სანუკვარ ოცნებას, – ძმობას!

კაცობრიობა სხეულია ქრისტესი და ჩვენ ერთმანეთისათვის ვცხოვრობთ!!!

ამას პავლე მოციქული ასე განმარტავს...

12. რადგან, როგორც სხეული ერთია, მაგრამ მრავალი ასო აქვს, და სხეულის ყველა ასო, თუმცა ბევრი არიან, ერთი სხეულია, ასევეა ქრისტეც...

14. ვინაიდან სხეულიც ერთი ასო კი არ არის, არამედ ბევრი...

20. აჰა, ასოები ბევრია, სხეული კი ერთი.

21. თვალი ვერ ეტყვის ხელს – არ მჭირდებათ; ვერც თავი ფეხს – არ მჭირდებათ.

22. არამედ სხეულის ის ასოები, რომლებიც ყველაზე უძლურნი ჩანან, უფრო მეტად საჭირონი არიან.

23. ხოლო რომლებიც ნაკლებად საპატიოდ გვეჩვენება სხეულში, მათ უფრო უხვად გარემოვიცავთ პატივით და ჩვენს უსახურთ უფრო უხვად აქვთ სახიერება.

24. ჩვენს სახიერებს არ სჭირდებათ ეს. მაგრამ ღმერთმა ისე შეაზავა სხეული, რომ უფრო უხვი პატივი არგუნა იმას, რომელსაც ნაკლებად აქვს.

25. რათა არ იყოს განხეთქილება სხეულში, არამედ ყველა ასო ერთნაირად ზრუნავდეს სხვაზე.

26. და თუ ერთი ასო იტანჯება, მასთან ერთად ყველა ასო იტანჯება, ხოლო თუ ერთი ასო დიდებას მოიხვეჭს, მასთან ერთად ყველა ასო ხარობს.

27. თქვენ კი ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე – მისი ასოები.

ამას ვერც ვერავინ ვერაფერს ვერ დაამატებს. ასე მოვედით კაცობრიობის გაერთიანებისა და გამთლიანების ბედნიერებასთან!

გავაგრძელოთ თხრობა.

მთელი მსოფლიო ჭადრაკის დაფაა ეგოიზმის, ალთრუიზმისა და მათ შორის ბრძოლის ველის თვალსაზრისით.

გავბედავ და მაინც ვიტყვი: შავის, ეგოიზმის დასაძლევად კაცობრიბას მათეს სახარება მიენიჭა.

ამ ბრძოლაში გამარჯვებისათვის ჩვენ მარკოზის სახარება მოგვეცა.

სრული ალთრუიზმის განვითარებისათვის მოგვეცა წმინდა იოანეს სახარება...

ნეტარ არიან მორწმუნენი...

საქართველოში სიბნელე დაძლეულია. ყველაზე დიდი ბოროტება უმეცრებაა და მიდის მასთან უშეღავათო ბრძოლა, როგორც განათლების გზით, ასევე წარსული მონური ფსიქოლოგიის განვითარებით: 70 წელზე მეტხანს ჟორდანიას დროშა გვახსენებდა ჩვენ, რომ ბნელი, უმეცარი კომუნიზმის უღელით ვიყავით დაუღლელი და გათავდა მონობა, უღელი გადავარდა და ჩვენს ახალ დროშაზე მხოლოდ ბრძოლა და შრომაა, წითელი და თეთრი ფერებით მონიშნული.

დავინახოთ ყოველივე ეს ჭადრაკში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სიტყვა ჭადრაკის გასაღებია, ასო ბგერა “ჭ”-არი, რომლის წონაც 5000-ა, 5 ხომ ადამიანია და სამი ნული დაფის სამი არეა, სამი სივრცე: 16 უჯრა შავი ფიგურების სივრცეა, ანუ პირველი ნული “0” და ეს სივრცე შავია.

მეორე ნული “0” მეორე სივრცე. ფიგურათა შორის ბრძოლის ველია 32 უჯრის რაოდენობით და ბრძოლაში დაღვრილი სისხლის ფერით.

მესამე ნული “0”, მესამე სივრცე, თეთრი ფიგურები და 16 უჯრა. დააკვირდით და აღმოაჩენთ უსაზღვრო სილამაზეს როგორც ფერთა თვალსაზრისით, ასევე შინაარსით: ჭადრაკის დაფა ტაძარია სამი ფერით ნაშენი: ეგოიზმი – შავი, აქტიური მოქმედება – წითელი და ალთრუიზმი – თეთრი ფერი. შავი სივრცე, 16 უჯრა, სადაც “P” გაბოროტებული მონადაა, რის გამოც გული გაშავდა და დაიღუპა ეგოიზმის გამო. ყველაზე დიდი ბოროტება უმეცრებაა რაც ეგოიზმით გამოიცილობა. ბრძოლის ველი წითელია, აქ ხდება ყოველგვარი აქტიურობა, ბრძოლა საკუთარ თავთან და ამადლება, ან ბრძოლა სხვებთან და დაცემა. ბრძოლის ველი სულ 32 უჯრაა, ანუ ებრაული კაბალის თანახმად 32 გზა უფლისაკენ. როდესაც სხვადასხვა არქიტექტონიკები ემთხვევა ერთმანეთს, ეს ის უტყუარი ფაქტია, რომ საქმე გვაქვს ჭეშმარიტებასთან. ვგულისხმობთ ატლანტების სამ ფერს, ჭადრაკის სამ ფერს და ინდუიზმში ასევე იმ სამ ფერს, რომლებიც ადამიანის ტანს სამ ნაწილად ჰყოფს: შავი ჭიპსკვედა სივრცე; წითელი – ჭიპიდან დიაფრაგმამდე და თეთრი – დიაფრაგმიდან მხრებამდე!!! აშკარაა ატლანტების სამი ფერი, ჭადრაკის დაფა და ინდური სიმბოლიკა – ადამიანია და მისი სხეულის სამი ნაწილი! ასე რომ ბრძოლის ველიც, ბრძოლაც და მებრძლიც, – თვითონ ადამიანია, რომელიც თუ საკუთარ თავს უცხადებს ბრძოლას იგი იმარჯვებს, თუ არადა იგი მარცხდება, რადგან ებრძვის სხვებს, – სამყაროს, ბუნებას თუ უსამართლობას... ეს უკვე სულერთია, რადგან ყველგან მარცხია გარდა საკუთარ თავთან ბრძოლისა.

ასე რომ, ეს სილამაზე – ჭადრაკია და სხეული ერთდროულად, დიდი და პატარა “მე,” ბრძოლის ველი, მარადიული გაუთავებელი კონფლიქტი ეგოსა და დიდ “მე”-ს შორის და ეს თვით სამყაროს, სიცოცხლის გაუთავებელი კონფლიქტია, რომლის შედეგადაც უფალს გამოყავს მაღალი სულები ანგელოზებიდან დაწყებული ქრისტემდე და... ყველაფერი ხელახლა იწყება იუგათა თანმიმდევრობის თანახმად: რკინის იუგა – შავი ხანა; ბრიმჯაოს იუგა – რიურაჟი; ვერცხლის ხანა – სიბრძნის ხანა და, - ოქროს ხანა – სატია, მიმდინარე იუგა...

ციკლები თანმიმდევრულად ცვლიან ერთმანეთს და მათი ძირითადი შინაარსი სიკვდილ-სიცოცხლის, ანუ მოკვდავ და უკვდავ ადამიანთა დედამიწაზე არსებობის პერიოდებია. მოდის

მედეა

დრო როდესაც ადამიანები და ღმერთები ერთად იცხოვრებენ ამ დალოცვილ დედამიწაზე. ადამიანები მიხვდებიან რომ მოსეს სკინია, კარავია და არა სახლი რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოვრება მარადიული მოგზაურობაა დროსა და სივრცეში და რომ სკინია აღმო-სავლეთით კი იყო მიმართული, მაგრამ უმთავრესი რამ, - კარავში შესასვლელი, - დასავლეთიდან ჰქონდა... დიას, დასავლეთმა შეჰქმნა სამი უმთავრესი რელიგია: იუდაიზმი; ქრისტიანობა და მაჰმადიანობა! დასავლეთი ჰაერია, ანუ ჰერმეტიზმი, ყველა საიდუმლო მისტიური მიმართულება დაწყებული მასონებითა და ალქიმიკოსებით და დამთავრებული როზენკრეციერებითა და ტამპლიერებით... დასავლეთი ჰაერია, აღმოსავლეთი კი წყალი, სიბრძნე და სიცოცხლე... ისინი ხვდებიან დღეს ერთმანეთს მოსეს სკინიაში და ორი უძლიერესი მედიატორის მეშვეობით, აღმოსავლეთის და დასავლეთის ერთიანი ძალით, მსოფლიო ერთიანდება და ბრწყინდება!!

ჭადრაკი ხომ საოცრებაა ენისა ქართულისა...

ო, ენავ ქართულო, დედაო ენავ!...

დროა გადავიდეთ რიცხვთა საოცრებებზე, კაბალა რიცხვთა გარეშე ხომ არ არსებობს. რიცხვთა პირველი შინაარსი: დაფაზე 64 უჯრას, ანუ 6 და 4: ეს ნიშნავს გულს რომელიც 4 სტიქიაზე ბატონობს. თუ მდაბიო, პატარა “მე” “დაეუფლა” ამ სამყაროსეულ ძალებს, მაშინ ადამიანი ანგრევეს თავის თავს და, უკეთეს შემთხვევაში უბრალო მოკვდავის ცხოვრებით გაივლის ამ წუთისოფელს, თუ არა და უმძაფრესი ეგოს თარეში მთელს სამყაროს შეაძრწუნებს (მაგ. ადოლფ ჰიტლერი). მაგრამ თუ ადამიანი თავის თავს მოერია უმკაცრეს, უშეღავათო ბრძოლაში ისე, როგორც მოსემ, ან ქრისტემ, მაშინ კაცობრიობა აშკარა ევოლუციას განიცდის, ჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც დიდ “მე”-ს განახორციელებენ. სხვათა შორის მისტიციზმში ცნობილია ასეთი გამონათქვამი: ადამიანი მოკვდავი ღმერთია, ღმერთი – უკვდავი ადამიანი!..

შევაფასოთ რიცხვი 64. მისი მისტიური წონა უდრის $6+4=10$, ანუ ებრაული კაბალას უნივერსალური რიცხვი, 10 სფიროტი, 10 სეფიროტი, რაც მთელი ებრაული კაბალაცაა და მისტიციზმიც, მთელი ფილოსოფიაც და პრაქტიკაც. ახლა “ავწონოთ” ფიგურებიც.

ეტილი აკონტროლებს 15 უჯრას და ნიშნავს “1”-ს, მონადას და “5”-ს, ადამიანს, მის სხეულს. 15-ის მისტიური წონა უდრის 6, გულს, გულის მატარებელ ადამიანს.

მხედარი ემოციებია, ასტრალური სხეული ადამიანისა, ანუ ხუთისა და მხედარი მართლაც ხუთ უჯრას აკონტროლებს ერთი მიმართულებით და ასევე ხუთ უჯრას მეორე მიმართუ-ლებით. მიმართულებები ნიშნავს დადებით და უარყოფით ემოციებს და ქმნიან... ბორჯღალს,



ასევე დადებითსა და უარყოფითს, ევოლუციისა და ინვოლუციის მიმართულებებით. ურიგო როდი იქნება გავისხენოთ, რომ ემოციების თვალსაზრისით არსებობს, რათქმაუნდა რომ ასევე არა შემთხვევით, ადამიანთა ოთხი ფსიქოტიპი: სანგვინიკი, ქოლერიკი, ფლეგმატიკი და მელან-ქოლიკი. ასე რომ ოთხი ფსიქოტიპი, რომელთა მხოლოდ ემოციების მიმართულებაა განსხვა-ვებული ადამიანში და სხვა არაფერი. ეს მიმართულებები ხასიათისა, საზოგადოების მიმართ ჰქმნიან ან კონფლიქტებს, ან ჰარმონიას ბორჯღალის მიმართულების შესაბამისად. აქედან შავი და თეთრი ფიგურები...

მედია

განვიხილოთ წმინდათა წმინდა ფიგურა ლაზიერი, ანუ **ლაზი ერი – მედია – მე დეოს** – ღვთაებრივი დიდი “**მე**”!!!

ლაზიერი 28 უჯრედს აკონტროლებს ანუ თვით ჭადრაკის დაფის შინაარსს, რადგან რიცხვ 28-ს მისტიური წონა გახლავთ $2+8=10$, ათი სეფიროტი... აქ კი ვეღარ დავმაღავ და გავამხელ: 28 მათეს სახარების რიცხვია. ამ რიცხვითა და ამ სახარებით იწყება ადამიანის გადარჩენა რადგან, სიშავის გარდაქმნა და მოქცევა, ადამიანის ღმერთისკენ შემობრუნება და თვით ახალი აღთქმაც მათეს სახარებით იწყება!!! ასე რომ, ლაზიერი არის სამყაროს დედა, ნაძვის აყვავების თარიღიც (ნაძვი 28 თებერვალს იწყებს ყვავილობას) და კაცობრიობის შემობრუნების ძალაც!

მეფე?! ალბათ “**მე ფა**” **ფა** როგორც ბანის გასაღები, ვითარცა მეხი, მამრი ცეცხლი, მამა ღმერთი. იგი 9 უჯრას აკონტროლებს და გვეუბნება რომ ადამიანს სულიწმინდის ცხრა მადლის მიღების უნარი გააჩნია რათა მეფედ გარდაიქცეს, იმ სიმბოლურ მეფედ, რაც ებრაულ კაბალაში კეტერის სახელითაა ცნობილი, ანუ ქართულად – **გვირგვინოსანი!**

პაიკი?! პაიკი სულ რვაა ერთ მხარეს და მას აშკარად პატარა “მე”-ს შინაარსი აქვს რომელსაც ძალუძს ნებისმიერ ფიგურად გარდასახვა, თუკი მერვე საფეხურს, ანუ ქრისტეს რიცხვს – 8-ს მიაღწევს. ამისათვის მან უნდა გადალახოს 6 უჯრა, რაც მიანიშნებს გულში შესვლის აუცილებლობაზე, მიზნის მისაღწევად. გარდასახვისაკენ მოძრაობა იწყება 2-ე რიგიდან, ანუ მატერიალური სამყაროს დუალიზმის გაცნობიერებიდან და კეთდება ერთი ან ორი ნაბიჯი. ერთი ბიჯის გაკეთებით ადამიანი შედის სამებაში $2+1=3$ და მისი მადლით აღწევს სრულყოფილებას. ორი ნაბიჯის შემთხვევაში იგი ეუფლება ოთხ სტიქიას $2+2=4$ და ასევე აღწევს უმთავრეს მიზანს.

თ. თავაძე

სიტყვისადმი ფაქიზი დამოკიდულება

მოსიყვარულე იოანე
17 ივნისი 2010 წელი

მე ვარ თქვენი მოსიყვარულე იოანე. მე მოვედი ღვთის სიტყვის შესახებ საუბრის გასაგრძელებლად.

დღეს, ეს საუბარი სიტყვის დამახინჯებას შეეხება. რატომ და რისთვის ხდება ეს. ძნელი დასაჯერებელია ის, რომ როდესაც თქვენ მეტყველებთ, თქვენ აცნობიერებთ იმას, თუ რა ვიბრაცია გააჩნია თქვენს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს და როგორ შეფერილობას ღებულობენ ისინი იმ ცნობიერების შესაბამისად რომელიც თქვენ, სიტყვის წარმოთქმის მომენტში გააჩნიათ.

საჭიროა მგრძობელობისა და ამა სოფლისაგან განდგომის გარკვეული დონე, რათა ამოიცნოთ იმ სიტყვების მიღმა, რომლებსაც თქვენ წარმოთქვამთ, თქვენი შინაგანი არსი. ფაქტიურად იმის მიხედვით თუ რას ლაპარაკობთ და როგორ ლაპარაკობთ, შესაძლებელია თქვენს შესახებ ყველაფრის ამოცნობა. თქვენი საუბრის ვიბრაციებით სრული წარმოდგენა იქმნება თქვენი გონების განვითარების შესახებ.

თქვენი მეტყველება მორჩილად ასახავს თქვენივე ოთხი მდაბალი სხეულის მდგომარეობას. ამიტომ ღვთის სიტყვის გადმოსაცემად ყოველთვის გამოიყენებოდნენ სპეციალურად მომზადებული ადამიანები, რომლებსაც გადმოსაცემ სიტყვაში მინიმალური ცდომილების შემოტანის ნიჭი გააჩნიათ. ასევე სხვადასხვა დროს სიტყვის გადმოცემის სხვადასხვა მეთოდები გამოიყენებოდა.

მაგალითად, როდესაც მე წმინდა წერის სიტყვებს ვწერდი, მე შინაგანი სიმშვიდის მდგომარეობაში შევიდი. მე ყოველთვის იმ ნეტარებას ვიხსენებდი, რომელსაც ჩემი მასწავლებლის, იესო ქრისტეს გვერდით ყოფნისას განვიცდიდი. მე ისეთ შთაგონებას მანიჭებდა იესო ქრისტეს სახეობა, რომელსაც ჩემს გონებაში აღვძრავდი, რომ სიტყვები მოედინებოდნენ ჩემი გულიდან და ქაღალდზე ლაგდებოდნენ. ყოველი სიტყვა ჩემი სიყვარულითა და ნეტარებით იყო შეფერილი.

ეს ღმერთთან და უზენაეს ძალებთან ჭეშმარიტი თანაშემოქმედების პროცესი გახლდათ. და მრავალ საიდუმლოებას მე ამ მდგომარეობათა ზემოქმედებით ვხსნიდი და ვწერდი მათ ქაღალდზე.

მომდევნო დროთა სივრცეში თარგმნასა და წმინდა წერის სიტყვათა გადაწერას, ანდობდნენ მხოლოდ განსაკუთრებულად განწმენდილ ბერებს, რომელნიც მთლიანად ღვთის მსახურებას იყვნენ ნაზიარები.

მაგრამ, რადგან ყოველი ადამიანი არასრულყოფილია, ამ წმინდა ადამიანთა მიერ დაწერილ ტექსტს მათი პირადი ვიბრაციები მიყვებოდა და ეს უკვე საწყისი ტექსტი კი აღარ იყო, არამედ სხვა.

ეხლა მსურს შევეხო თქვენს დროს. ფრიად საშიშ დროში გიწევთ ცხოვრება. და ეს იმიტომ, რომ თქვენ ვერ აცნობიერებთ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც სიტყვის გადაცემის დროს გეკისრებათ და თქვენ მაინცდამაინც არ ფიქრობთ იმაზე თუ რა ვიბრაციებს უზახვნით თქვენ თქვენს სამყაროს. რადგან თანამედროვე საშუალებანი თქვენი სიტყვების ტირაჟირების იოლ შესაძლებლობებს იძლევიან, თქვენი სიტყვის ბოროტად გამოყენების კარმა მეტად ამძიმებს თქვენს მდგომარეობას. არსი კი ისაა, რომ ამით თქვენ თქვენი და თქვენი ახლობლების მძიმე ბედისწერის წინაპირობებს ქმნით.

თუკი არაპარმონიული აზრის გამოც კი ამოიფრქვევიან ვულკანები, კლდეები კი ჩამოიშლებიან, მაშინ იოლი საწინასწარმეტყველოა, ის თუ რას მოიტანენ სიტყვები თქვენს სამყაროში.

მე ვისურვებდი, რომ სიტყვის მიმართ უფაქიზესი დამოკიდებულება დაგებრუნებინოთ თქვენს ცხოვრებაში. ამიტომაც, რომ ცოდვათა შორის ყველაზე მძიმე ცოდვა – სიტყვის დამახინჯებაა.

ცხოვრებაში ყველაფერს უნდა მოუაროთ. ჭიანჭველასაც კი არ უნდა დააბიჯოთ ფეხი. აქედან ჩანს თუ რაოდენ მძიმდება თქვენი კარმა, როდესაც თქვენ ბოროტად იყენებთ სიტყვას.

ბევრი ღუმილის აღქმას ღებულობს. და თუ კი ამ ბრძნულ რიტუალს სწორად გამოვიყენებთ, ძალიან ბევრი სულის გადარჩენაა შესაძლებელი. უმჯობესია არ ვილაპარაკოთ, ვიდრე ვთქვათ ბევრი და ყალბი.

ამიტომ, მე დღეს ვისურვებდი შეგახსენოთ თქვენ ის, რომ თქვენს სიტყვას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში როდესაც თქვენ მიზანდასახულად უგზავნით ვინმეს ენერგიებს, შეუძლია დაანგრიოს მთელი პლანეტა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ამიტომაც რომ თქვენ გონივრულად შეგიკვებოთ ენერგიათა ის ნაკადი, რომელიც ღვთაებრივი სამყაროებიდან მოედინება და განბანს თქვენს სხეულებს. ეს იძულებითი ზომა ამართლებს თავის თავს. მაგრამ აუცილებელია, რომ ღვთის სიტყვა მაინც უნდა შემოდინდეს თქვენს სამყაროში, სხვაგვარად თქვენ თქვენს ცნობიერებაში ვერ შეინარჩუნებთ სწორ გზას და დაკარგავთ განვითარების მიმართულებას.

სიტყვის გადაცემის ამგვარი ტექნიკა ადრე არასოდეს არ გამოვიყენებია. მაგრამ სიტყვა თქვენს სამყაროში აუცილებლად უნდა არსებობდეს. ამიტომ ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა გავადვილოთ თქვენი გულები.

ჩვენს ხმას ღვთაებრივი ვიბრაციები ახლავს. მაგრამ თქვენი ყური ვერ არჩევს ამ ვიბრაციებს ინფორმაციის მრავალ წყაროთა შორის, რომლებიც გაცილებით უფრო ხმამაღლა იუწყებიან.



მაგრამ იმ ადამიანებს, რომელთა ყურიც ჩვენს სიხშირეზეა აწყობილი, უნარი შესწევთ მოგვისმინონ და ჩვენი სამყაროს სიტკბო იგემონ.

მაშინ, როდესაც მე ვიწერდი ღვთის სიტყვას, საამისოდ მე სინუმესა და მარტოობაში ყოფნის საშუალება მქონდა მონიჭებული. არ იყო იმდენი ხელშემშლელი მიზეზი, როგორც თქვენს დღევანდელობაში გაქვთ თქვენ. და მაინც, ჩვენ მოვდივართ და გაწვდით ჩვენს გზავნილებს იმიტომ, რომ სამყარო ვერ იარსებებს, თუკი მას მხარს არ დაუჭერთ ჯეროვანი ვიბრაციების დონით, თუნდაც რამოდენიმე იმ ადამიანის გულში, რომლებიც განსხეულებაში იმყოფებიან ამ დედამიწაზე. და ეს გულები ის პატარა გადამცემები არიან, რომელნიც განსაკუთრებულ ტალღებზე იუწყებიან. და მრავალ სულს, რომლებიც ამ ღვთაებრივ ტალღაზე არიან აწყობილნი, უნარი შესწევთ მოისმინონ ეს ვიბრაციები. მრავალთათვის კი, ეს ჩვენს ილუზორულ სამყაროში, ის მაშველი ბაგირია, რომლის მადლით ილუზიის ოკეანედან ამოგვყავს ის სულები, რომელნიც ჩვენსკენ მოილტვიან.

არასოდეს არ დაკარგოთ იმედი. თუკი თქვენ გულწრფელნი ხართ და ერთგული ღვთისადმი, მაშინ მხოლოდ დროა საჭირო, რათა ჩვენი ძახილი ჩაგესმათ. ისმინოთ ჩვენი ძახილი და ჩვენი ვიბრაციები თქვენს სამყაროში იოლი როდია. ამიტომ თქვენი ყურები მუდამ

მელეა

მომართული გქონდეთ, რათა ჩვენი სამყაროს ვიბრაციები ჩაგწვდეთ და დაიცვათ ისინი ყოველისაგან იმისა, რაც ღვთაებრივ ვიბრაციებს ახშობს. აქ თქვენ თვითონ უნდა ივარგოთ. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ყოველივე საჭიროს მოვიმოქმედებთ.

“შე ვარ” - თქვენი მოსიყვარულე იოანე, თქვენი სულების მიმართ მზრუნველი.



სვანური არკანოლოგია

მსოფლიოს არკანოლოგია ფრიად ცნობილი საგანია, ტაბუდადებული თავისი საკრალური შინაარსის მიმართ, მაგრამ სიმბოლურად და ფილოსოფიურად მეტად განვითარებული დარგი. ეს საკითხი პრაქტიკული ასპექტით ფაქტიურად დახურულია, მაგრამ... ის ქვეყანა, რომელიც ოქროს საწმისის ქვეყანაა, დღეს ამხელს ამ მეცნიერების პრაქტიკულ მხარეს და კაცობრიობას, არისტოტელეს მსგავსად აწვდის ამ მეცნიერებას. სულიერი თვალისა და გულის გონების მქონე ადამიანები დაინახავენ საკრალურ შინაარსს და ამალდებიან.

ოქროს საწმისის ქვეყანა საქართველოა. საქართველოში ოქროს საწმისი სვანეთშია ატანილი, სამეგრელო და კუთაისი (არ შემშლია, ქუთაისი კი არა, არამედ *კუთაისი*. განდობილთა ქვეყანა, – იმერეთი – იმერი – *ირემი*...).


პირველი სიტყვა სვანეთს ეკუთვნის და მან 80 წლის წინათ, ვინმე პოლონელ *ს.კ. ვალევსკის* გადასცა კაცობრიობისათვის, ჯერ-ჯერობით მხოლოდ შვიდი არკანი. ეს არკანები მსოფლიო სენსაციაა თავისი დღემდე უცნობი სიმბოლიკით, ფილოსოფიითა და, განსაკუთრებით კი, პრაქტიკით!

აი სიმბოლო, რომელიც სრულიად ახალია და უცნობი ეზოთერული სიმბოლიზმისათვის.



ეს სიმბოლო აღფაა და ომეგა მათთვის, ვინც სიმბოლური ენა იცის, რადგან ეს ერთადერთი სიმბოლო იტევს მთელს მსოფლიო მისტიციზმს, ცნობილ და უცნობ ფილოსოფიებს, რელიგიებს თუ მსგავს სხვა მიმართულებას, იქნება ეს ი-ცზინი, ტიბეტური “ბარდო” ან გნებავთ “ეგვიპტეს მკვდრების წიგნი” თუ ინდიელთა მისტიური თავსატეხი პოპოლ ვუხი...

ეს სიმბოლო უსასრულობაა და ამიტომ სვანი განდობილები, მთელი ქალდეული მეცნიერების მცოდნენი, იძლევიან ამ სიმბოლოს გაშიფვრის გასაღებს.



დიახ ეს ზემოთმოყვანილი სიმბოლოს გასაღებია, მაგრამ იგი თვითონ გამოცანაა. რა არის ეს, რას უნდა ნიშნავდეს? როგორ უნდა გამოვიყენოთ საიდუმლოების გასახსნელად? იგი ისევე როგორც თვით პირველივე სიმბოლო უცნობია ყველასათვის, გარდა სვანეთის განდობილებისა და ბედნიერია ის ვინც მათ სვანეთში მოძებნის. თუ ასეთი რამ მოხდა და განდობილებმა ღირსად ჩათვალეს იგი, მაშინ, ვალევსკის მსგავსად, ისინიც ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულან...

ასეა თუ ისე, ჩვენ ვთავაზობთ ამ უნიკალურ, დღემდე მსოფლიოში უცნობ არკანებს ორი მიზეზის გამო: პირველი, – ვაღიაროთ სვანეთის დიდება და დავაფასოთ იგი როგორც ღმერთების მხარე და განდობილთა კერა; მეორე, – სცადოს ყოველმან საკუთარი გონების ძალა...

ორივე შემთხვევაში საქართველო მიიღებს ზოგად განათლებას და ეზიარება ქართულ მეცნიერებას – სვანურ იოგას.

თ.თავაძე

ოსტატობის გასაღები

მე ვარ ამ დედამიწაზე რათა გარდავქმნა იგი, უდაბნო ვაქციო სამოთხედ, რამეთუ სამოთხე ყველაზე მეტად შეეფერება ღვთისა და მის თანამშრომელთა ადგილსამყოფელს. ღვთის ნება, სამართლიანობის კანონი, - არის ოსტატობა და ვალდებული ხარ გახდე ოსტატი!



შესავალი

2000 წლის უკან ითქვა, რომ არა არს საიდუმლოებაი რომელიც არა გაცხადდეს!

ამაშია ჩადებული მარტივი, გაჯერებული და ზუსტი ფორმულა იმ გასაღებისა – თუ როგორ გავიმარჯვოთ, როგორ გადავჭრათ ნებისმიერი საკითხი, პასუხი გავცეთ ყოველ შეკითხვას ცხოვრების ასევე ნებისმიერი დარგიდან, იქნება ეს ფიზიკური, მენტალური, სულიერი თუ ფსიქიური განზომილებებიდან.

ეს გასაღებია ნებისმიერ სიტუაციასთან შესახვედრად და იგი ითხოვს ამის ცნობიერ განვითარებას. ამისათვის საჭიროა:

1. გულმოდგინე დაკვირვებები;
2. ზუსტი ინტერპრეტაციები;
3. პრაქტიკული გამოყენება.

შეიცნო თავი – ნიშნავს ჩადრმავდე საკუთარი არსის შინაგან სივრცეში და ჭკრეტდე, სწავლობდე და იყენებდე.

არსის ინდიკატორი არის *“მე”*, *მე ვარ სული*, *მე ვაზროვნებ*, *მე ვგრძნობ* – და ეს ყველაფერი *“მე”*-ს ატრიბუტებია.

მე მსურს – აზროვნების, გრძნობებისა და სურვილის ინდიკატორია და მას მართავს სუნთქვა.

ყოველივე ამ სამყაროში იბადება, და მიღების დროს, როგორც ძირითადი რითმი, მას დედის სუნთქვა ახლავს ; ამას დედის სუნთქვა ეწოდება და მისივე ვიბრაციის შიგნით იმალება ყოველი ინდივიდუალობის როგორც ბედი ასევე ხვედრიც.

მიზეზთა და ზემოქმედებათა წარმოშობა – შედეგი იქნება.

ოსტატობის მდგომარეობა მუდმივად გაცნობიერებულ მდგომარეობას ნიშნავს, დადებითი აღქმის გაგებით. ოსტატი მუდამ ღია უნდა იყვეს ყველა დადებითი ენერჯიების მიღებისათვის, რათა შემოვიდნენ ისინი მასში და გამოვლინდნენ .

ოსტატო, მიმართე ისინი შესაბამისი არხებით, რომლებიც დაიწყებენ ნათებას და წარმოქმნიან კარგ აზროვნებას, კარგ სიტყვას და კარგ სურვილს.

ტიტანური ენერჯია ყველგანაა და იგი ყოველთვის ეძებს გზებს რათა გამოამუღავნოს თავისი თავი ადამიანის ყოფიერებაში ტრანსის მდგომარეობით.

იმისათვის, რომ ამ ენერჯიის ჰარმონიული დინების აღქმის უნარიანი გახდეს, საჭიროა ადამიანთა ცხოვრებაში ოსტატის რითმის შემოტანა რათა აღქმის მომენტში თავიდან მოიცილო დედის შთაბეჭდილებები, გარემოს უარყოფითი დამთხვევები და ზემოქმედებები.

სუთქვა არის სიცოცხლე. მოედინება

რა ნესტოებში, იგი სამი ხერხით ქმნის საკუთარ თავს.

როდესაც იგი მარჯვენა ნესტოთი მოძრაობს – ეს ის სუნთქვაა, რომელიც ქმნის ელექტროობას, და ეს უკვე სისხლძარღვთა მამოძრავებელი სისტემის მკვებავი სუნთქვაა, ეგრეთწოდებული **პინგალა**. სხვაგვარად ამ სუნთქვის სახელია – მზის სუნთქვა, ანუ მეომრის სუნთქვა, მეომრისა, რომელიც მზადაა ბრძოლისათვის.

მარცხენა ნესტოში შემავალი სუნთქვა – მარეგულირებელია და დედის პრინციპს, მაგნეტიზმის წარმოადგენს. ეს სუნთქვა,-სიმპათიკური ნერვული სისტემის სუნთქვაა – ეგრეთწოდებული **იდა** და ამ სუნთქვის შინაარსი,- მთვარის სუნთქვაა, ცოდნის იმ მაძიებლის სუნთქვა, რომელიც მზადაა სიბრძნის მისაღებათ.

ორივე ნესტოთი მიმდინარე სუნთქვა – დაბალანსებული სუნთქვაა და ნიშნავს შენარჩუნებას ან ნგრევას. ეს უკვე – **სუშუმნა** სუნთქვაა. ორი პოზა სამი წუთის განმავლობაში ქმნის **მზის** ან **მთვარის** სუნთქვას.

მზის სუნთქვისათვის: დაწვეით მარცხენა გვერდზე და მარცხენა ხელზე დადევით თავი ისე, რომ ცერი ყვრიმალის ძვლის ქვედა ღრუში მოხვდეს მარცხენა თვალის ქვეშ. მარჯვენა ხელი მოხრილია მართი კუთხით და მუშტი ეყრდნობა მიწას, ცერი კი, ეგრეთ წოდებული ასურეველთა წესით ებჯინება მიწას.

მარჯვენა ფეხის ქუსლი, გამართულ მარცხენა ფეხის მუხლზეა დადებული. ამ პოზაში სუნთქვა სამ წუთში იცვლება.

მთვარის სუნთქვისათვის საჭიროა ამ პოზის მეორე გვერდზე შემობრუნება.

გაია-ლხამას ენერჯიებს, რომელიც სივრცეში იმყოფება, ვიბრაციათა ოთხი მდგომარეობა გააჩნია და ისინი ოთხ ფერს შეესაბამებიან. მათი ასიმილაცია ჰაერიდან ხდება. ადამიანის სხეულში ხსენებულ ენერჯიებს თავიანთი ცენტრები გააჩნიათ და მიღებისას აცოცხლებენ მათ.

ეს ვიბრაციები ადამიანის არსის ოთხ ფუნქციას შეესაბამება და ისინი განავითარებენ მათ.

არსებობს ადამიანის არსის განვითარების ოთხი გეგმილი:

1-ფიზიკური; 2-მენტალური;

3-სულიერი და 4-ფსიქიური გეგმილები.

ამ ფუნქციათა შესატყვისი ფერებია: 1-წითელი; 2-ყვითელი; 3-ცისფერი და 4-თეთრი. სხეულის ნაწილები რომლებიც ამ ვიბრაციებს შეიცავენ: 1. მუცლის ქვედა ნაწილი, სასქესო ორგანოები და თავის უკანა ნაწილი – წითელი – ფიზიკური; 2. გულმკერდის ზედა ნაწილი, შუბლი- ყვითელი, მენტალი, რაც იგივეა ინტელექტი; 3. მზის წნული (მუცელი) და თხემი – ცისფერი – სულიერი, სიცოცხლის ენერჯია; 4. ხელები, მტევნები, ფეხები, ტერფები და სახე – თეთრი, ფსიქიური (თეთრი რასისათვის).

ადამიანის სხეული, ნებისყოფითი სუნთქვის დროს, ფერებში ცნობიერი გამოყენებისას, სუნთქვის გამოსვლის დროს მუხტავს ცენტრებს და სხეულის ნაწილებს. როდესაც ეს კეთდება წინასწარი განზრახვით და გაცნობიერებით – ეს უკვე ოსტატის ვარჯიშთა ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

ოსტატის შვიდი არკანი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ახალი პოლიტოლოგია



“ხალხი ყოველთვის ისეთი იქნება
როგორადაც მას აღზრდის სახელმწიფო.”

/ჯან-ჟაკ-რუსო/

...აღზრდა! რა საოცარი ფენომენია ეს აღზრდა! არის კეთილშობილი აღზრდა?! – არის კეთილშობილება! არის მზაკვრობა?! ერთი დაკნინებული იზრდება... ეს მხოლოდ ერს როდი ეხება, – ეს საყოველთაო კანონია და ერთი და იგივე კანონი გარდაქმნის ბუნებასაც და ცხოველებსაც, ფრინველებსაც და მწერებსაც... ყოველსა და ყველაფერს: ჯიშის ცხენები; ჯიშის ძაღლები; საქონელი...

უჯიშო?! გადაგვარება?!

კი, საუბედუროდ ესეცაა. ასეა იქ, სადაც მზაკვრობაა და ცბიერება, რომლებიც ერთად ხლართავენ თავიანთ შავბუნელ საქმეს. მთავარია იცოდეს, როგორ გააკეთო ეს ისე, რომ ვერავინ შეამჩნიოს და მზაკვრული მოსავალიც მიღებულია. ბევრმა კარდინალმა და მსგავსმა მოხელემ საგრძნობლად გაზარდა საკუთარი ხაზინა მსგავსი ხრიკებით, მაგალითისათვის მედიჩების მზაკვრობაც საკმარისია, როდესაც საწამლავს ისე მოხდენილად ხმარობდნენ, რომ ორ საუკუნეზე მეტ ხანს ვერა და ვერ ამხილეს, მაგრამ...

მაგრამ არსებობენ უფრო დახვეწილი ხრიკები, რომელთა გამოცნობა და უვნებელყოფა გაცილებით უფრო ძნელია და ეს ხრიკები ფსიქიკასა და ინსტინქტებზე ზემოქმედებენ, ეს საშინელი მექანიზმებია...

...მეცნიერებმა აიღეს ქილა, მოათავსეს შიგ რწყილები, დახუფეს და...

მიატოვეს სულ 3 დღით. მოხდა სასწაული: 3 დღის შემდეგ შეზღუდულ სივრცეში ყოფნამ რწყილების ინსტინქტებზე ისე იმოქმედა, რომ ქილაზე მეტი სიმაღლე მათვის გაქრა და... როცა ქილას ხუფი ახადეს ვერც ერთი რწყილი მინის ქილიდან ვერ ამოხტა, მთელი სამყარო

მედია

მათვის მინის ქილის ზომად გადაიქცა(!!!) ანუ რწყილებმა შეზღუდვის გამო ძირითადი თვისებები დაკარგეს.

რა ძნელია მიხვდე რაზეა ლაპარაკი, როდესაც არწივებისა და ლომების მოდგმა გადაგვარდა... ყველაფერს ცდილობდა მტერი. ბოლოს ენის ამოგლეჯა დააპირა. საბედნიეროდ ვერ შეძლო და ჯერ დედაენის ძეგლი დაიდგა თბილისში და შემდეგ ერმა თავისი ენის სადიდებლად ბათუმში ანბანის სტელა ააგო.

ეს ყველაფერი პოლიტიკა ყოფილა, მაგრამ თუ ერთი მხრიდან, შავბნელი, სნეულების მომტანი პოლიტიკაა, მეორეს მხრივ იგივე დარგი-პოლიტიკა ხელოვნებათა შორის უკეთილშობილესი ხელოვნებაა!!!

ღიას, ღიას... უფრო მეტიც, ჭეშმარიტი პოლიტიკა სააქიმო დარგია, მკურნალობაა ერისა და ამას ჩვენ ანტიკურ ხანაში ვკითხულობთ.

ორი უდიდესი ბერძენი, *ჰიპოკრატე და არისტოტელე*. ჰიპოკრატე ამბობს: *“უზენაესი და უკეთილშობილესი ხელოვნებათა შორის – მედიცინაა”*.

სიტყვა სიტყვით, ერთის გარდა, იგივეს ამბობს *არისტოტელე: “უზენაესი და უკეთილშობილესი ხელოვნებათა შორის-პოლიტიკაა.”*



არ დავიწყებ მტკიცებას, უბრალოდ წინა ნომერში იოანე ბატონიშვილის უბრწყინვალესი ნაშრომის მაგალითით, – “მეფეთათვის” დაკმაყოფილდები, რადგან ეს მაგალითი მკურნალ ხელისუფალთა კოდექსია.

იოლი წარმოსადგენია, რას ვგულისხმობ იმ გაგებით, თუ რა საშინლად სნეული იყო საქართველო. ფაქტიურად მოხდა საქართველოს რეანიმაცია, მას უმძიმესი “ქირურგიული” ჩარევა დასჭირდა, რომელიც საბედნიეროდ უსისხლოდ ჩატარდა. ამის შემდეგ ჩვენ “რეაბილიტაციის” უმძიმესი პროცესი და პერიოდი გადავიტანეთ. ახლა კი უკვე აშკარად ჩანს, რომ *მკურნალობა შედეგიანი გამოდგა და მხოლოდ აქა-იქ ჩასაფრებულნი ხტომას გადაჩვეული რწყილები იკბინებიან, ისევ სუფქვეშ მიიწევენ, ჩვეულ ქილაში...*

საქართველოს განკურნება იმდენად აშკარაა, რომ ველარავინ გაბედავს ამ ფაქტის უარყოფას, თუ არა მხოლოდ დვარძლიანი, ან... უბრალოდ შეშლილი.

ხელისუფალი მკურნალია როდესაც იგი არისტოტელეს ტიპის პოლიტიკოსია. ეს ასე რომ არის ჩანს საქართველოში იმ შორს მიმავალი პოლიტიკური პროცესებიდან და გეგმებიდან, რაც ყველას თვალწინ აშკარადაა გადაშლილი. მაგრამ ყოველივე ამის უკან დგას განსაკუთრებული პრინციპი, რომელიც **შატობრიანის გამონათქვამიდან ჩანს: “ყოველი რევოლუცია, რომელიც არ გარდაქმნის სახელმწიფო იდეოლოგიასა და ერის ზნეწვეულებას, – განწირულია.”** აი ეს გამონათქვამი წარმოადგენს ერის გლობალური გარდაქმნის პოლიტიკას და იგია ჩვენი ფრთებიც და აღმაფრენაც, რადგან ერში იღვიძებს საყოველთაო სიკეთის, მშვიდობის, თავისუფლების, სიყვარულისა და ჰარმონიის, თანამშრომლობისაკენ სწრაფვა, ანუ ყოველივე იმისაკენ რაც ერთი სიტყვით გამოიხატება, – **კულტურისაკენ** სწრაფვა.

კულტურა ყველაზე დიდი პოლიტიკაა და საერთოდ ღირს პოლიტიკაზე ორი სიტყვით, მაგრამ ძალიან გასაგებად თქმა. აი რამოდენიმე ცნობილი თუ უცნობი ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის გამონათქვამი პოლიტიკაზე...

სოკრატე: “ყოველი ხელოსანი ჯერ სწავლობს ხელობას და შემდეგ იყენებს მას, მაგრამ არსებობს ერთი ხელობა რომელსაც ყველა ეტანება ყოველგვარი სწავლა–განათლების გარეშე და ეს ხელობა – პოლიტიკაა.”

არისტოტელე მეტად მკაცრია და ადამიანს “პოლიტიკურ ცხოველად” მიიჩნევს...

ერთმა ძველმა ფილოსოფოსმა კი ეს საკითხი ასე დააღაგა: “ვისაც ჩვეულებრივი საგნები არ ესმის– ცხოველია ადამიანთა შორის. ის, ვისი ცოდნაც შეზღუდულია მხოლოდ ადამიანური ცხოვრების პირობებით, – ადამიანია ცხოველთა შორის. აი ის, ვინც იცის რისი მიღწევა შეიძლება გონების ძალის მეშვეობით, – ღმერთია ადამიანთა შორის!”

ერთი ევროპელი მოაზროვნე კი ასე ამბობს: **“თქვენ არა ხართ დაკავებული პოლიტიკით?! მაშინ იცოდეთ რომ პოლიტიკოსები დაკავებულნი არიან თქვენით!...”**

ასე რომ, როცა პოლიტიკაზეა საუბარი, იცოდეთ რომ ადამიანი ბუნებრივად პოლიტიზირებულია. ამიტომ, გაარჩიეთ თუ რა რანგის პოლიტიკოსი საუბრობს და ისე მოიქეცით... ცხოველურად – შეურაცხმყოფელია, ადამიანურად – მისაღებია და ღვთიური საქციელი კი – ერთადერთი ღირსეული საქციელია!!!

“ახალი მხოლოდ ახლებს” ამბობს პლატონი და ამ სიახლეში თაობათა მონაცვლეობის მარადიული კონფლიქტია ჩადებული, კონფლიქტი ახალსა და ძველს შორის, რომელშიც ძველი და ახალი იდეების მატარებელთა ისეთი კონფლიქტია, რომ არც ძველი იდეების მატარებლები მარცხდებიან და არც ახალი იდეების მატარებლები იმარჯვებენ თავისთავად. ამის შესახებ ნობელის პრემიის ერთ–ერთი ლაურიატი ასეთნაირად ამბობს: **“ახალი იდეები არასოდეს იმარჯვებდნენ თავისთავად, არამედ ძველი იდეების მატარებლები მიდიოდნენ ასპარეზიდან”...** მიდიან კარიერისტები და კარიერიზმის იდეოლოგია, კორუმპირებულები და კორუფციის იდეოლოგია, დანაშაულებრივი კლანები და დანაშაულებრივი იდეოლოგია, მიდის ძველი იდეოლოგია და მისი ქომაგები და მოდის ახალი იდეოლოგიის მატარებელი თაობა...

მოდინ გმირები და მკვიდრდება გმირის იდეოლოგია რომელზედაც ასევე პლატონი ასეთნაირად ბრძანებს: **“უმეცრების უდაბნოს ცოდნით აყვავება, – გმირობაა...”**

ყოველივე ამის მიზეზი **მიშაა** და

მიშა გადადექი!

დავით აღმაშენებლის გამზირი საოცრებად იქცა, რუსთაველის გამზირი ხელახლა დაიბადა... სიღნაღი და ქუთაისი, ბათუმი და სვანეთი, ანაკლია და ფოთი... ნეტავ უკეთესს რას ინატრებდი და.. მიშა კი გაიძახის ეს მხოლოდ დასაწყისიაო და...

მიშა გადადექი!

ჭეშმარიტი ხელისუფალი ერის სულისა და ხორცის მკურნალია... მთელს ახალგაზრდობას ისე უმკურნალა რომ, კი აღარ იჩხირავენ, ადრენალინს, რამპას, სკეიდბორდების, დრიფტინგების და სხვა თანამედროვე სპორტული ღონისძიებების საშუალებებით ხარჯავენ და ეს თუ აქიმობა არაა აბა მაშ რაა?! ამიტომ...

მიშა გადადექი!

ამგვარად ხელისუფალი მკურნალიცაა და მომავალ თაობათა მზრუნველობით აღმზრდელიც... შევარდნაძის დროს სკოლები დალპა, უმაღლესი სასწავლებლები მხოლოდ ფულს აკეთებდნენ და ახალგაზრდობა ერთ ყალბ “ფასეულობას” აწვებოდა შავდებოდა და ახლა ისე ამოიშანთა ეს “სიშავე” რომ სწავლის პროცესში მანდატურები ჩაერთვნენ და ძველბიჭობასაც კი მოელო ბოლო. აბა რა?! თუ ბავშვი დაცული არაა იგი ვერ ისწავლის და უსწავლელობა ხომ დეგრადაცია და სიშავეა... ასე გახდა სწავლა ისევ და ისევ ელიტარული და პრიორიტეტული... ყველაფერი ეს მიშას ბრალია და...

მიშა გადადექი!

მიშამ იმდენი ხიდი ააშენა და აშენებს კიდევ, რომ ვანო ჯავახიშვილი უკვე დელავს, ამბობს, რომ თუ მიშამ ასე გააგრძელა ახალი მდინარეების გაყვანა დაგვჭირდებაო და აბა ეს როგორღა შეიძლებაო და...

მიშა გადადექი!

თბილისი ნელ ნელა ის ქალაქი ხდება, რომელიც მსოფლიოში პირველი ტყე-პარკის ქალაქი გახდება...

ზოოპარკი თბილისის ზღვაზე, – სილამაზის ახალი კერაა და ზოოპარკის ადგილას გათავისუფლებული ტერიტორია კი ნოდარ დუმბაძის პარკს ისე დაამშვენებს, რომ რა მუშტაიდი, რომელი ვაკის პარკი, ვერეს მდინარის პირას უკეთესს რას ნახავთ... ესეც მიშაა მიშა და... სხვათა შორის გიგიც!

მიშა გადადექი!

რუსეთის ღერბზე, გასაცოდავებულ არწივს ორი უტვინო თავი აბია და ჩვენსაზე კი ორი დამოუკიდებელი ლიდერი, ორი შემოქმედი პიროვნება... ხომ ხვდებით რაზეა ლაპარაკი?! დიას! ორი ღომი რომლებიც საქართველოს სახელისუფლებო ტახტზე უხილავად მჯდარ უფალს გვირგვინით ამკობენ!.. და ისინი ხომ მიშა და გიგია...

მიშა დადექი!

მიშა მაგრად დადექი... აბა შენ იცი გიგი!...

ინგლისური ენა და



მსოფლიოს საიდუმლოებანი

საქართველოში მიზანსწრაფულად და ელვისებურად შემოდის ინგლისური ენა და დამოუკიდებლობა.

რა არის ეს?! შემთხვევითობაა თუ შორიდან მომავალი და ასევე შორს მიმავალი მიზანი?!

...დროა დავივიწყოთ, რომ ქვეყნები და თვით მსოფლიო ჩაღივითა დახურული და უპატრონოდაა მიტოვებული ბედის ანაბარად მავანთა და მავანთა დასაჯიჯგნად და მათდა საამებლად...

ჩვენთან არს ღმერთი! ვამბობთ ჩვენ და გვიხარია ჩვენს სულიერ სივრცეში რელიგიისა და ქრისტიანობის დაბრუნება. დიას! ეს ჭეშმარიტებაა და ღმერთი თავისი ფარული ორგანიზაციების მეშვეობით ყოველთვის აკონტროლებდა და აკონტროლებს ჩვენი პლანეტის პოლიტიკურ მდგომარეობას.

უფალი, თავისი საჭიროებისამებრ ყოველთვის ქმნიდა ახალ ერებსა და სახელმწიფოებს, ზრდიდა მათ თავისუფლების, უზენაესი კულტურისა და სულიერებისათვის და ახალი ერები და ქვეყნები ემსახურებოდნენ თავისუფლებას და ყოველივე ამასთან ერთად, უმთავრეს იდეას, – ადამიანთა თანასწორუფლებიანობას. ასეთი იყო მთელი საბერძნეთი, თავისუფლების მოყვარე სპარტა და ლეგენდად ქცეული მეფე სპარტისა, – ლეონიდე.

ასეთი იყო დიდებული რომი, ბიზანტია და მრავალი სხვა ცივილიზაცია. აღმოსავლეთში, ამ კუთხით ყველაზე ცნობილი იყვნენ მეფე აშოკასა და დიდი მოგოლის, – აკბარის იმპერიები.

და აჰა, გაჩნდა მსოფლიოში ახალი ერისა და სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა კაცობრიობის ახალ ორბიტაზე გასაყვანად და ეს ახალი ერი და ქვეყანა ამერიკის

კონტინენტზე დაიგეგმა. ეს გეგმა, ღვთის ნების თანახმად, მისმა მიწიერმა ემისარებმა განახორცილეს ამერიკის შეერთებული შტატების სახით, **ინგლისური ენის საფუძველზე!!!**

აი რამოდენიმე, უაღრესად საინტერესო და ასევე უაღრესად მისტიური ეპიზოდი ამ ქვეყნის შექმნის ისტორიიდან.

...ფრენსის ბეკონი, ინგლისის უდიდესი ფილოსოფოსი, თავისი ახალი რეინკარნაციით ევლინება მაშინდელი ინგლისის კოლონიას ამერიკაში და ახალი დაბადების მადლით იმდენად ინკოგნიტოდ შემოდის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ მასზე ცნობილია მხოლოდ ის, რომ მას “პროფესორობით” – მიმართავდნენ. ამ “პროფესორმა,” – თვით ბენჯამენ ფრანკლინისა და ვაშინგტონისაგან მიიღო მიწვევა კოლონიალური კომიტეტის სხდომაზე ეროვნული დროშის შექმნის საკითხთან დაკავშირებით. “პროფესორმა” შესთავაზა კონგრესს დროშის ის სიმბოლიკა, რომელიც ყველაზე მეტად ესადაგებოდა ახალი ქვეყნის იდეას. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ “პროფესორი” აღარავის უნახავს...

მაგრამ საჭირო იყო ყოფილი ცამეტი კოლონიისაგან თავისუფალი და დამოუკიდებელი ერისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება... და მოხდა მეორე, ასევე მეტად საგულისხმო, საიდუმლოებით მოსილი მოვლენა.

ეს მოხდა 1776 წლის 4 ივლისს. ფილადელფიის ძველ სახელისუფლებო სახლში შეიკრიბა გარკვეულ ადამიანთა ჯგუფი გრანდიოზული ამოცანის, მეტროპოლიასთან საბოლოოდ კავშირის გაწყვეტის საკითხის გადასაჭრელად(!!!). საბედისწერო გადაწყვეტილებას ეჭვი და ყოყმანი, შიში და უიმედობა ახლავდა თან. ვერავინ ბედავდა “დამოუკიდებლობის დეკლარაციის” რატიფიცირების დოკუმენტზე ხელის მოწერას...

...გაცხარებული კამათისას დარბაზში შემოვიდა უცნობი, მაღალი, წარმოსადეგი ადამიანი და მან, მეტად მგზნებარე სიტყვით მიმართა დამსწრეთ. მისი ხმა და სიტყვები იმდენად მტკიცე, ძლიერი და შთამაგონებელი იყო, რომ როდესაც უცნობმა დაასრულა, ყველა უყოყმანოდ და დიდი ენთუზიაზმით გაემართა “დამოუკიდებლობის დეკლარაციისაკენ” ხელის მოსაწერად...

როდესაც გონს მოვიდნენ, უცნობი წასულიყო... დაცვის ვერცერთმა წევრმა ვერ დაინახა თუ როგორ შემოვიდა და როგორ გავიდა ის უცნობი შენობიდან!...

ასე შეიქმნა დედამიწაზე თავისუფლების ახალი ფორპოსტი, ახალი ქვეყანა სახელად **ა.შ.შ.** და მასთან ერთად ახალი, თავისუფალი ერი, რომლის მისიაც კაცობრიობის მოწესრიგება და მისი ევოლუციის ხელშეწყობა იყო. სამეტყველო ენა ამ ერისა გახლავთ, – **ინგლისური**, – მისტიური, ღრმა შინაარსისა და ფრიად ვრცელ საიდუმლოებათა მატარებელი, – **ენა!**.

ეს ენა დღეს მთელს მსოფლიოში ვრცელდება, როგორც საერთაშორისო კომუნიკაციის ენა და ჩვენი პრეზიდენტი ამით საქართველოს მთელს მსოფლიოსთან დაკავშირებას აპირებს, რისთვისაც ქვეყანაში 1000 ინგლისური ენის პედაგოგი ჩამოიყვანა. მათ კარგად იციან თავიანთი მისია, მაგრამ ამ წიგნის მეშვეობით ჩვენ მეტ ნათელს მოვფენთ ამ საკითხს და როგორც ჩვენი ხალხი ასე ინგლისელებიც უფრო სრულ და სრულფასოვან ინფორმაციას მიიღებენ ამ საკითხთან დაკავშირებით.

რადგან **ა.შ.შ.**-ის წარმოშობასა და მის საკაცობრიო მისიას შევეხეთ, გვინდა ნათელი მოვფინოთ თვით ინგლისური ენის საკრალურ შინაარსს, რისთვისაც გთავაზობთ ამ ნაშრომს, მაგრამ ვიდრე თვით ინგლისური ენის ფენომენის განხილვას დავიწყებთ, გვინდა შევეხოთ ალფავიტების სიმბოლიკის ღვთიურ შინაარსს ისევე ამ საკითხის ღრმა გაშუქებისათვის...

ვეროპის მეთვრამეტე საუკუნის უდიდესი მისტიკოსის კალიოსტროს განმარტებით, ვარდი და ჯვარი უძველეს მისტერიათა ჭეშმარიტ შინაარსს წარმოადგენენ. **ახლა უკვე გასაგები ხდება ვარდების რევოლუციის საბოლოო, სიმბოლური შინაარსი...**

ჯვარი! საქართველოში როგორც იქნა დაბრუნდა ღვთისმორწმუნეობა და დღეს სახეზე გვაქვს ვარდისა და ჯვრის ერთობლიობის ფაქტი: გასაოცარია სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთიანობა და თანადგომა, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობს პატრიარქისა და პრეზიდენტის უაღრესად ღრმა თანამშრომლობა და პირადი თბილი ურთიერთობა.

...ასე რომ, ჯერ ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ ალფავიტზე: დედა ენის ძეგლი და ასევე დედა ენის ბაღი თბილისში; ქართული ალფავიტის ძეგლი და მედეას ქანდაკება ბათუმში(?)...

რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს, ენისა და ალფავიტის იმ საიდუმლო, საკრალურ განზომილებაში რაც აქამდე დაფარული იყო?!

ევროპაში ცნობილმა, ერთერთმა ყველაზე უდიდესმა მისტიკოსმა კალიოსტრომ, ალბათ პირველად კაცობრიობის ისტორიაში თითქმის საჯაროდ გახსნა ასოთა სიმბოლურ მნიშვნელობათა საიდუმლოებანი. მან ეს ვიწრო წრეში, საკმაოდ მრავალ ადამიანთა წინაშე გააკეთა, როდესაც დამწრეთ ჯერ ასოთა სიმბოლური მნიშვნელობა გაუმხილა და შემდეგ ალფავიტის მეშვეობით უტყუარი წინასწარმეტყველებანი გააკეთა: საფრანგეთის რევოლუცია და მონარქიის დამხობა, სამეფო ოჯახის წევრთა დაღუპვა და ბასტილის დანგრევა, ნაპოლეონი და პირველი იმპერია... ყოველივე ეს იმისათვის გააკეთა, რომ ეჩვენებინა, თუ რისი მიღწევა შეიძლება იმ უზენაესი ცოდნით, რომელიც ალფავიტსა და ენაშია ჩადებული.

ჩვენი მიზანი, მეტად მოკრძალებულია: გვინდა გიჩვენოთ თუ რა გასაოცარია ინგლისური ენა და თვით ის ფაქტი, რომ ერს მასიურად, ორგანიზებულად და მიზანსწრაფულად სთავაზობენ ენის შესწავლას რომელიც მას მთელს კაცობრიობასთან დააკავშირებს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო მეტად მნიშვნელოვანი ქვეყანაა მთელი მსოფლიოსათვის და რომ ჩვენი მისია ღვთის წინაშე, – გრძელდება. ჩვენ არა- ერთხელ აღვასრულეთ ეს ისტორიული მისია: დავით აღმაშენებლის დროს ევროპის თავს შეკრებილი შავი ღრუბლები, – ვენას კარს მიმდგარი მტერი ჩვენ მოვაცილეთ, როდესაც ბასიანისა და დიდგორის ბრძოლებში ევროპის მტრის ურდოები გავანადგურეთ... დიას, არაერთგზის გადავარჩინეთ ევროპა და ამით მთელი მსოფლიოს ისტორიული განვითარება გადაურჩა დაღუპვას. საბოლოო, ენით აუწერელი გმირობა ქართველმა ერმა დღეს, მთელი მსოფლიოს წინაშე, ყველას დასანახად ჩაიდინა: 2008 წლის აგვისტოს ომი რკინის ურჩხულთან... ოლიმპიური თამაშების ღვთაებრივი წესით განპირობებული მშვიდობით დაიმედებულმა მსოფლიომ მიიძინა, – მსოფლიო ოლიმპიურ თამაშებს განცხრომით ელოდებოდა, მაგრამ... გავარდა მეხი, და რა მეხი!!! ცბიერებისა და მზაკვრობის მეხი გავარდა და ვიდრე მსოფლიო გონს მოვიდოდა ეს პატარა, მაგრამ გულით დიდი ერი ფოლადის ცუნამის წინაშე უშიშრად დადგა. პირველი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მტერს და... გამოიყენა რა ძველი სამხედრო სტრატეგია, სწრაფად გაეცალა მტერს. ამასობაში მსოფლიოც გონს მოვიდა. ყველამ დაინახა, რომ ვერავითარი სიწმინდე ვერ გააჩერებს მზაკვრობას თუ არა უპირატესი ძალა.. და მსოფლიო ფეხზე დადგა პირდაპირ ბრძოლის ველზე, – რუსთაველის გამზირზე იდგა ევროპის ხელისუფალთა უშიშარი ჯგუფი. ბუში არ მოსცილებია კრემლთან დამაკავშირებელ პირდაპირ ტელეფონს. მთელი ამერიკა სკანდირებდა: “ჩვენ ქართველები ვართ.” მთელმა მსოფლიომ აიტაცა სლოგანი, – “STOP RUSSIA.” 8 აგვისტოს ჩვენ აღარ ავარიდეთ თავი შერკინებას და გარდაუვალი ბრძოლა მივიდეთ და გავიმარჯვებთ კიდევ(!!!).

ყველამ, ყველამ დაინახა თუ რას გადაარჩინა საქართველომ მსოფლიო. ზუსტად ამ ჭრილში უნდა დავინახოთ და არ დავივიწყოთ ფრიად მნიშვნელოვანი რამ: ა.შ.შ. და ევროპა დემოკრატიის, ტოლერანტობის, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის იდეის მსახურნი არიან. ეს ერთის მხრივ. მეორეს მხრივ,–მეორე ბანაკი,–რომლის პრემიერიც “სხვა დემოკრატიას” ქადაგებდა. მათ შორის ბრძოლის ხაზი ყველგან, მთელს მსოფლიოში იყო გავლებული, მაგრამ

ბრძოლის ეპიცენტრი, როგორც ყოველთვის კაცობრიობის ისტორიაში, კავკასიონზე, კონკრეტულად კი **საქართველოზე გადიოდა!!!**

აქ უნდა ვკითხულობდეთ პიროვნულ, იმპერიულ ზრახვებსა და საყოველთაო სიკეთის მარადიული ბრძოლის მსოფლიო სცენარს.

პიროვნული ითხოვს განსაკუთრებულობას მხოლოდ საკუთარი თავისათვის...

საკაცობრიო ღირებულებები აღიარებენ სიკეთეს ყოველი ქვეყნის, ყოველი ერისა და ყოველი ადამიანისათვის... ამ მხრივ კაცობრიობის ისტორიაში შემონახულია სიბრძნის შეუდარებელი თვალმარგალიტი: არისტოტელე და ალექსანდრე მაკედონელი!!!

როდესაც მაკედონიის მეფე ფილიპეს ვაჟი 14 წლისა გახდა, მან წერილი მისწერა არისტოტელეს, რომელშიდაც იგი მადლობდა უფალს არა იმდენად იმისათვის რომ მას ვაჟი არგუნა, არამედ იმისათვის, რომ მისი შვილი არისტოტელეს ხანაში დაიბადა და უშუალოდ არისტოტელეს სთხოვდა მის აღზრდას. ასეც მოხდა. მეფე ფილიპეს ნატვრაც აღსრულდა, – ალექსანდრე მაკედონელმა მსოფლიო დაიპყრო, მაგრამ... მაგრამ საკუთარი თავი ვერ დაამარცხა: იგი პიროვნულ დიდებას ვერ გასცდა და დამარცხდა სამუდამოდ: იგი დაიღუპა, იმპერია კი დაიშალა. მას არც იმან უშველა, რომ იგი საკრალური რიცხვის ნიშნის ქვეშ დაუკავშირდა თავის უდიდეს მასწავლებელს: მაკედონელმა სწავლა არისტოტელესთან 108-ე ოლიმპიადის წელს დაიწყო(!!!)... დიახ პირადად მაინც ადამიანზეა დამოკიდებული, თუ როგორ უერთგულებს იგი მასწავლებელსაც და მოძღვრებასაც.

რა დამარცხება განიცადა მაკედონელმა?!

მსოფლიოს დაპყრობის ერთ-ერთი ლაშქრობის დროს იგი შეიტყობს, რომ არისტოტელემ გამოაქვეყნა საკრალურ საიდუმლოებათა ნაშრომი, რაც ნიშნავდა იმას, რომ მრავალ ადამიანს ეძლეოდა საშუალება მათი, მაკედონელის მსგავსად შესწავლისა და ასევე, მაკედონელის მსგავსად ადამიანთა შორის რჩეულად გადაქცევისა. მან იგრძნო რომ მისი პირადი განსაკუთრებულობა ქიმერა ყოფილა. მან ჩვეულ ადამიანად ვეღარ იგრძნო თავი, განრისხდა და წერილი მისწერა არისტოტელეს, სადაც საყვედურობდა საიდუმლოებათა გამხელას. წერილის ბოლოში იგი სამუდამოდ წყვეტს კავშირს არისტოტელესთან და მისი ბოლო სიტყვა იყო, – “მშვიდობით...”

არისტოტელეს საიდუმლოება კი არ გაუმხელია, არამედ ღირსეულ ადამიანებს, რომელთა მაღალსულიერება ჩაწვდებოდა საიდუმლოებას, კოდირებული ინფორმაცია მიაწოდა სულიერ საზრდოდ. ამით ახალი, ღირსეული ადამიანები შეემატებოდნენ საკაცობრიო სივრცეს და გააძლიერებდნენ მსოფლიოს...

ყოველივე ეს, – კაცობრიობის დემოკრატიზაცია, ადამიანის უფლებები და პიროვნების ღირსების დაცვა, – შემოდის დასავლეთიდან. ყველა ადამიანი თანატოლია თავისი უფლებებით და განსაკუთრებულობა მხოლოდ მსოფლიოს მსახურებაშია და არა პიროვნების დამკვიდრებისათვის მსოფლიოს დაპყრობაში და დღეს ინგლისური, – ბეკონის, შექსპირის, ბაირონისა და ჰარი პოტერის საიდუმლო მისტერიების ენა, შემოდის როგორც მსოფლიო კომუნიკაციის საშუალება და ეძებს არა ამპარტავან, საკუთარი განსაკუთრებულობით თავბრუდახვეულ ადამიანებს, არამედ ადამიანთა ევოლუციის მსახურებს, რათა ამაღლდეს კაცობრიობა ღირსად მამაზეციერისა. ამ უკეთილშობილეს საქმეში არის ერთი, მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენა რომლის ერთი მინიშნება თბილისში, დედა ენის ბაღშია და მეორე ნიშანი – ბათუმში, – **მედეას ძეგლი და ანბანის სტელა**. გამოცანა მეტად მარტივად ამოიხსნება: საქართველო, ინგლისურ ენასთან ერთად, თავის მდგენელს, – ოქროს საწმისს შემოიტანს და კაცობრიობის ხარისხობრივი განვითარება დაჩქარდება!

თუმცა არის კიდევ ერთი ენა და ერთი ერი ერთდროულად, რომელთა გარეშე კაცობრიობას გაუჭირდება აღნიშნულის რეალიზება, მაგრამ... ამ ენისა და ერის შესახებ სხვაგან და სხვა წიგნში გვექნება საუბარი...

ასე რომ, დიდება უფალს, მის ემისარებს ევროპასა და ა.შ.შ-ში, საქართველოში ჩამობრძანებული ინგლისური ენის მასწავლებლებს..

ახლა უშუალოდ ინგლისურზე, რისთვისაც სიტყვას გადავცემთ მზია ქავთარაძეს. აი მისი ნაშრომიც...

დასაწყისში იყო სიტყვა...

დასაწყისში იყო სიტყვა, სიტყვა ჰქონდა უფალს და სიტყვა იყო უფალი... რომ არა ეს ბიბლიური ჭეშმარიტება, მე ალბათ ვერასოდეს გავბედავდი ამ წიგნის დაწყებას, მაგრამ წმინდა წერამ და მრავალმა აღმოჩენამ გადამადგმევინა ეს ნაბიჯი, რომელიც ჩემში უკვე კარგა ხანს ღვიოდა.

წლებისა და წლების მანძილზე აღვიძებდა და აღვივებდა ჩემში, ჩემი მასწავლებელი მისტიურ ცოდნასა და აზროვნებას და როდესაც ცოდნამ და პრაქტიკამ უტყუარი და უეჭველი შედეგები მოიტანა, მეც ერთბაშად გამინათლდა გონება. გაბრწყინებამ მომიტანა რწმენა, რომ წიგნი დაიწერებოდა, ისეთი წიგნი, რომ მსოფლიო ალაპარაკდებოდა მასზე. მე და ჩემი მასწავლებელი თანამშრომლებად გადავიქვეციით და ამიერიდან თანაავტორები ვართ... უკანასკნელი ბიძგი მივიღე აგნი-იოგას დახმარებით, რომელიც მრავალჯერ ხაზგასმით აღნიშნავს ინგლისური ენის მნიშვნელობას (ყველა მოძღვრება ინგლისურ ენაზეა დაწერილი, ან თარგმნილია მასზე) და ინგლისურს აგნი-იოგაში – ინტელექტუალური ენა ეწოდება.

მე თავდავიწყებით მიყვარს ეს ენა და არანაირი ეჭვი არა მაქვს მის ინტელექტუალურ დანიშნულებაზე მითუმეტეს, რომ მე განათლებით მათემატიკოსი გახლავართ. ამიტომაც, რომ ჩვენ (მე და ჩემს მასწავლებელს) გვინდა მკითხველს მივაწოდოთ ინგლისური ენის მთელი სიღრმე, მისი საკრალური შინაარსი. ზუსტად ეს სურვილი აღძრავს ჩვენში ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობას ამ მიმართულებით.

ასე რომ დავიწყოთ სულ თავიდან.

თუკი თავდაპირველად იყო სიტყვა, უდაოა, რომ ასოთა, მარცვალთა და ბგერათა კომბინაცია ყოველ სიტყვაში არანაირად შემთხვევითი არ იქნება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც იგი დროთა პირველ წყაროდან მოედინება ისტორიული მოვლენებისაგან თითქმის ხელშეუხებლად და მართლაც, აგნიოგაში მინიშნებულია, რომ ძველი სახელები და განმარტებითი სიტყვები მეტ შინაარსსა და ძალას შეიცავენ, ვიდრე თანამედროვე სიტყვები, რამეთუ მათი შემოქმედნი ცნობიერად ქმნიდნენ სიტყვებს ბუნებისა თუ სხვა კანონ-ზომიერებათა სიტყვაში ჩადების ხელოვნებით. დღემდე უჩივიან ადამიანები ინგლისური ენის დამწერლობის სირთულეს. მახსოვს სკოლაში ჩემი მოწაფეობისას, მესმოდა მეტად სერიოზული საუბარი ინგლისური მართლწერის შეცვლის აუცილებლობაზე, – აპირებდნენ იმ ასოთა სიტყვებიდან გაძევებას, რომლებიც სიტყვათა თანამედროვე ვარიანტებში მეტყველების დროს სრულებითაც არ ისმის, მაგრამ საბედნიეროდ, ბრძენმა ინგლისელებმა დატოვეს ყველაფერი უცვლელად. შეგნებულად თუ ინტუიციის დონეზე მათ ესმოდათ, რომ “სიტყვა იყო ღმერთი.” ამიტომ მაქსიმალურად შემოინახეს ენა. მართალია ამისათვის ისინი მეტად ძვირ საფასურს იხდიან, რადგან ხშირად უწევთ სიტყვის ასო-ასო წარმოთქმა, რაც დამატებით დასტურია იმისა თუ რაოდენ დასცილდნენ ერთმანეთს ძველი და თანამედროვე ენის ჟღერალობა. ამ პროცესს ეწოდება “Spelling”.

“Spell it” გეტყვით ინგლისელი, ანუ წარმოთქვი სიტყვის ყოველი ასო ცალ-ცალკე სიმღერით, ანუ დაბრუნდი სიტყვის პირველ საწყისთან, მის ჭეშმარიტ მართლწერასთან, რაც იგივეა მოცემული სიტყვის მისტიურ შინაარსთან. “სპელლ” ასევე ნიშნავს “მონუსხვას” სიტყვის “მომაჯადოებლად” გამოთქმას.

უდაოა რომ საუკუნეთა სიღრმიდან მოდის ცოდნა იმაზე, რომ სიტყვას გაცნობიერებულად და ღრმად გააზრებით წარმოთქმა ესაჭიროება, ისეთნაირად რომ ყველა ბგერაზე გაკეთდეს თავისებური აქცენტი და ეს უკვე მონუსხვაც გამოდის და მკურნალობაც.

დიდება ჩვენს უფალს იესო ქრისტეს... სამკურნალოდ იგი ძირითადად სიტყვებს იყენებდა და წარმოთქვამდა მათ, რაც სიტყვათა ღვთაებრივ მნიშვნელობას ადასტურებს. არა და რა მარტივია “ადექი და იარე,” ასე რომ გასაგებია თუ როგორ იყო ნათქვამი ეს სიტყვა. სად წერია ეს სიტყვები? სახარებაში, რაც ინგლისურად ნიშნავს “გოსპელ”. დავეოთ ეს სიტყვა ნაწილებად და ოდნავ შევცვალოთ: “Go Spell” – “მიდი, იკითხე ასოებით.” არც ისე დიდი ხნის წინ ერთ-ერთ სამეც-ნიერო გადაცემაში ითქვა, რომ ბიბლია იწერებოდა ხელის აულებლად, ანუ უწყვეტად, და მხოლოდ ირლანდიელებმა დაყვეს ბიბლიის ტექსტი სიტყვებად და წინადადებებად, რათა ყველასათვის გასაგები გამხდარიყო იგი. ამან რა თქმა უნდა წაგვაქეზა. პირველი ის რომ ამით დასტუდება Spelling-ის იდეა, (ასო-ასო წარმოთქმა). მეორე და უფრო მნიშვნელოვანი რამ ის გახლავთ, რომ სიტყვები, სადაც თითქოს გამოუყენებელი აზრის დატვირთვის გარეშე ასოები იწერება, ალბათ იმ დაყოფის შედეგია, რომლებიც ირლანდიელებმა განახორციელეს – ეს წინა ან მომდევნო სიტყვის დამასრულებელი ან დასაწყისი ასოა. შესაძლებელია ისიც რომ ბიბლიის მრავალგზის გადაწერისას, ისე როგორც ამას წმინდა ბასილი დიდი გვაუწყებს, ნებისთ თუ უნებლიეთ მიღებული იყო “კლებაიცა და მატებაიცა...” ამიტომ, დაყრდნობით ლოგიკაზე და ყურთასმენით მიღებულ შინაარსზე ჩვენ თამამად გამოვიყენებთ ასოთა სხვადასხვა კომბინაციებს, როდესაც ეს გამართლებულია თვით საწყისი სიტყვის სემანტიკური შინაარსით.

ღიას! არა მხოლოდ არსობის პურით იცოცხლებს ადამიანი, არამედ ყოველი სიტყვით რომელიც ღვთის ბაგედან იბადება. ასე რომ, ის რთული პროცესი რომელიც – Spelling-ის წესით შეიქმნა, თვით მამაზეციერისაგანაა ნაანდერძევი. აქვე დავძენთ, რომ ისეთი ურთულესი მისტიური მიმართულება როგორიცაა ინდური მანტრა იოგა, ზუსტად მანტრების წარმოთქმის საიდუმლოებას ეყრდნობა. ამიტომ ამ საიდუმლოების არცოდნამ მოიტანა ის, რომ მთელს დედამიწაზე იმეორებენ ამ მანტრებს, მაგრამ უშედეგოდ.



ვფიქრობთ, რომ პირველი ინტელექტუალური შრის ფარდა ოდნავ გადაიწია, ამიტომ მივეყვით სიტყვა **Spelling**-ის დარიგებას და განვიხილოთ სიტყვა ინტელექტი – **Intellekt**.


გადავაჯგუფოთ როგორც მარცვ-ლები ასევე ბოლო მარცვლის დალაგებაც (ვინაიდან გამოთქმა შენარჩუნებულია, ამის უფლება გვაქვს). შედეგად ამისა ვღებულობთ **Tell in act**, ანუ “მიჩვენე მოქმედება” (მიჩვენე მოქმედებაში). სადღეისოთ ადამიანებმა თითქოს დაივიწყეს ის, რომ ინტელექტი აზროვნების უნარია და არა მესხიერება. ეს რომ ასეა, მრავალ სატელევიზიო შოუს შინაარსში ჩანს იმით, რომ იქ ხშირად მესხიერების ტესტია და არა აზროვნებისა... აქედან ამდენი ვითომ ვუნდერკინდი და მრავალი ტელეშოუს “უკვდავი.”

ვფიქრობთ, რომ **Tell in act** სახარების შინაარსის გადრმავეების მეორე წარმატებული მცდელობაა. მესამე მცდელობის ნაყოფი იქნება რჩევა, ან გნებავთ მითითება, – “დაიწყეთ ცხოვრება სახარებისეულად” (**Live the Gospel**). სიტყვა სიტყვით ქართულად ძნელია ამის გადმოცემა, მაგრამ დაახლოებით მაინც ისმის მოწოდება “გახდი სახარება,” ანუ თავად სიცოცხლე უნდა გახდეს სახარებად და როგორც უკვე ვიცით სახარება ხომ “ასო–ასო წარმოთქმაა.” აქედან ლოგიკური დასკვნა ასეთია: იცხოვრე და წარმოთქვი სიტყვა თითო–თითო ასოთი და დაფიქრდი ყოველ სიტყვასა და ბგერაზე. ამ აზრს მომავალში ყველა ჩაწვდება, და დღეს კი ეს მანტრა იოგისა და სინერგეტიკის ჭეშმარიტ მცოდნეებს თუ გაეგებათ. ამაზე მეტი მტკიცებულება იმის შესახებ თუ რატომაა საჭირო თითო–თითო ბგერით სიტყვის წარმოთქმა, – ძნელია. გინდ დაიჯერეთ გინდ არა, აქ არჩევანი თქვენზეა, – ვისაც არ გჯერათ დახურეთ ეს წიგნი და გადადევით იგი უკეთეს დრომდე. ვისაც სჯერა მათთვის იწერება მომდევნო თავი, რომლის სათაურიც ასეთივეა:

მათთვის ვისაც სჯერა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მერაბ აბაშიძე
საქართველოს წინასწარმეტყველი



შთაბეჭდილებათა ძალა შემოქმედების სამსახურში უნდა იდგეს. უნდა ემსახუროდეს მის სულიერ ზრდას და არ უნდა კვებავდეს ამას ტრაგიზმს, როდესაც შთაბეჭდილებების, განცდების ენერგია ანგრევს ადამიანს, მიჰყავს იგი პიროვნული ჩიხის სულიერ დრამამდე.

შთაბეჭდილებები და განცდები უნდა აღვიძებდნენ ადამიანში ამბოხს, სულის იმ შემოქმედებით იმპულსს, რომელიც ნებისმიერ შემოქმედებას გააღვიძებს, თუნდაც სრულიად უიმედო მდგომარეობაში ფატალური პრობლემების დასაძლევად.

ერთიც – უსაფუძვლო დამღუპველი ტრაგიზმი, და მეორეც – ამბოხი, სულის დაუძლეველი ძალა, – ორივე გადამღებია და მწერალს არა აქვს უფლება შექმნას ნაწარმოები (მით უმეტეს გენიალური), იმ ხსენებული პირველი სახისა, რომელიც ამაოდ გაფლანგავს ერის სულიერ და ფიზიკურ ძალებს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამით იწირება ერი. ვინც მეორე სახის ნაწარმოებს ქმნის ვალდებულია შექმნას რაც შეიძლება მაღალი ხარისხის, თუ

შეუძლია – გენიალური ნაწარმოები, რათა დაიცვას ადამიანები სულიერი ძალების, ენერჯის და ფიზიკური ჯანმრთელობის ამოცვეთისაგან.

აი ეს არის ხელოვნების მსახურება და დანიშნულება ადამიანთან მიმართებაში. თაობები და თაობები გაიზრდება მერაბ აბაშიძის შესანიშნავი შემოქმედების ზეგავლენით და იგი, ვით მისივე მესია, გადაარჩენს ერს მრავალი ავანგარდული თუ სხვა ჯურის “ტურბო-რაქსული,” სულის გამრყენელი, მდაბიო”ხელოვნებისაგან,” იქნება ეს კინოს, თეატრის, სატელევიზიო სერიალების, ინტერნეტის თუ სხვა საშუალებებით მოტანილი უმსგავსოება.

თანამედროვე “ხელოვნების” იარაღი,–ის გამზადებული მარტივი განცდაა, რომელსაც აწვდიან მაყურებელს ნებისმიერი ხერხით, სცენიდან, ეკრანიდან, საგაზეთო ფურცლებიდან და ა.შ. მთავარია ადამიანის მომენტალური რეაქცია აღმგზნების სიტყვების, მდაბიო ვნებების თუ ემოციების მეშვეობით, სხვანაირად მათი წარმატება წარმოუდგენელია.

ცხოველი ინსტიქტების არსებაა, მას ინტელექტი არ გააჩნია და ამიტომაც იგი მოკლებულია ზნეობრივ, ეთიკურსა და ესთეტიკურ განცდებს. თუ ადამიანში მის კუთვნილ ამ თვისებებს წავშლით, მივიღებთ ცხოველს და ცხოველს ხომ არა მხოლოდ დაიმორჩილებ, არამედ გაწრთვნი კიდევ.

ვის სჭირდება ეს?!

რატომ სჭირდება?!

ვის–გასაგებია...

რატომ ?!

იმიტომ, რომ ინსტიქტის დონეზე დაყვანილი ადამიანი გაწვრთნილი საცირკო ცხოველივით მხოლოდ ფიზიკურ საზრდოს ითხოვს, რადგან მხოლოდ ეს მიაჩნია ჯილდოდ და მიზნად ამა ცხოვრებისა.

მაღალ სულიერებას ადამიანისას ესაჭიროება სხვაგვარი საზრდო, რომელიც ითხოვს მისგან აზროვნების უნარს.

სატელევიზიო ფანდები გათვლილია უბირ ადამიანზე, რომელიც ხარხარებს სახეში მიფერთხებული ტორტის ან სხვა ამგვარი “სასაცილო” საქციელის გამო. ეს ხომ იოლია, რადგან არ სჭირდება რთული და მოხერხებული სცენარი და ჭკვიანური დიალოგი, სადაც სიბრძნე ანუ იუმორი, მართლაც სასაცილოა; რა საჭიროა გენაცვალებ ეს სირთულე, ჰკარი ხელი, გადააგდე ფქვილში და იცინე რამდენიც გინდა! სულიერად შემართული ადამიანი კი ეძებს დროისა და სივრცის, ავბედობისა და ტრაგიზმის დაძლევის შედეგად მიღებულ მაღალ სულიერ კმაყოფილებას. ის არ კმაყოფილდება იაფითა და უღირსით, რადგან მოაზროვნეა და ასე იოლად როდი წამოეგება იაფფასიანი მასხარების ხრიკებს. ნათქვამია: ბედნიერება სულგრძელ ადამიანთა თანამგზავრიაო.

პირველი და უმთავრესი ნიშანი უსულობისა არის დაცინვა და თუ ჩვენ დღეს ვიცინით, თურმე კი არ ვიცინით, არამედ დავცინით ერთმანეთს, დავცინით და... სატანის ლუკმა ვხდებით.

არადა, მერაბი წარმოუდგენლად ძაბავს ადამიანის სულის აღმშენებლობით ემოციებსა და აზროვნების უნარს. ზრდის მკითხველს მოქალაქედ, პატრიოტად, ადამიანად და... თქვენ წარმოიდგინეთ მესიად!

ნათქვამია, კაცობრიობას ექიმი და მასწავლებელი ესაჭიროებაო და განა გია აბესაძე ექიმი არ იყო და ეროვნული სულის საგმირო საქმის უბადლო მასწავლებელიც?

ასევე მერაბიც, იგი ექიმი... იგი მასწავლებელია, მასწავლებელი და მერე როგორი! სულის ასეთი მოძღვარი გაზრდის ქართველი მკითხველის სულიერებას და ისევ დაუბრუნებს მას შოთას, ილიას და ვაჟას ღვთაებრივი აღქმის უნარს, გადაარჩენს ერს უხამსობისაგან, ბილწსიტყვაობისაგან, სულის სიმდაბლისაგან. ისევ გაჩნდება ადამიანებში სულის უპირველესი ნიშანი – სინდისი და გაექცევა ადამიანი სამარცხვინო მათხოვრულ ხვედრს...

მერაბი მისტიკოსია, წინასწარმეტყველი.

“მონა ღვთისა და მამა ერისა” მისი ერთ–ერთი უდიდესი ნაწარმოებია. აქ ის ოკუტაგავა რიუნოსკეზე მაღლა დგას. ხალხი შეჰხარის მოპოვებულ თავისუფლებას, მაგრამ იგი აფრთხილებს მას: სატანამ მოგატყუათ, ეს თავისუფლება ნებისმიერ საპყრობილეზე უფრო საშიში ტყვეობაა, რადგან სატანა გაიქცა და ხალხის სულიერი გადაგვარების გზა აირჩია. .

...იცის მესიამ, იცის მისმა მოციქულმა მერაბ აბაშიძემ, როგორც სულის მკურნალმა და ერის მოძღვარმა, რომ ბრძოლა, ყველაზე საშინელი ბრძოლა–ახლა იწყება!!!

წაიკითხეთ, ეზიარეთ მერაბის სულის ნაყოფს, მის უბრწყინვალეს შემოქმედებას – იგი გადაგვარჩენს ჩვენ სუყველას, ამინ!

გაზ. “ოქროს საწმისი” N 1. 2003 წ.

მერაბის დედის გულის ნაჟური

დედის ხატება

როს სევდიანი, უიმედო,
უიღბლო ბედის-
არავისაგან არსაიდან
შველას არ ველი,
ნათელ ზმანებად მესახება
ხატება დედის,
ვით კელაპტარი უკუნეთში
გზის გამკვლეველი.
ულამაზესი ბანოვანი,
საოცრად მშვიდი,
სახე მზიანი, ტანკენარი,
თმებდათოვლილი,
ზურმუხტ თვალთაგან მოკიაფე
სხივთა არილში
განსხივებული სათნოებად,
ღვთივ მოვლენილი.
მაგიურ ძალით ჯადოქმნილი
ოცნების ფრთებით
ჩემ ზღაპრულ წარსულს ეუბრუნდები
გულანთებული
და აღტკინებით კვლავ ვნეტარებ
მოგონებებით,
კვლავ მიბრუნდება შემართება
ახალგაზრდული.

მედეა

* * *

ვეფეროთ ერთმანეთს! ისედაც
სიცოცხლე სულ ერთი წამია
-გათენდა, გვეშველა – შესძახებ,
ახედავ და უკვე ღამეა...

გაზაფხული

გაზაფხული მოგვეახლა
დაკვირტებულ ვარდით ხელში,
გაათბო და გადაღება
ტრამალები ზურმუხტ ფერში.
მზემ პირბადე შემოიხსნა,
ცა აანთო, გააბრწყინა,
დამზრალ სხეულს საამებლად
ლბილ საღებუნად დაედინა.
გაგვიღიმა ყველას გრძნობით,
ზეცას ჯანდი განარინა,
ყვავილების ჭრელი ნოხი
გათოშილ ველს დააფინა.
იასამნის სურნელება,
დილით მდელი ცვარნაპკური,
ფრთაშესხმული ნეტარება –
გაზაფხული... გაზაფხული...

მსოფლიო საოცრებანი

უკიდევანო სამყარო
იდუმალ-შეუცნობადი,
ცაზე გამჭოლი გვირაბი,
ზედ შავი ხერელი მბრუნავი,
იქ სამკუთხედი ბერმუდის,
ოკეანეში ჩართული,
უსასრულობის შეცნობა-
გაურკვეველი და რთული,
სადღაც შორს, მთების გადაღმა,
ზღაპრული მხარე შამბალა,
მსოფლიო საოცრებანი
ბოლომდე ან ვინ დათვალა.

ტირიფი

კაეშანი მოძალგია ტირიფს,
მორკალულა, ჩამოშლია თმები,
თავდახრილი ჩვილბავშვივით ტირის,
თან ხვაშიადს ფარავს მძლავრი მხრებით.
მივეახლე, მოფერება მსურდა,
შევთავაზე თან კეთილი რჩევა,
ცას ახედე, დაგიფარავს მუდამ,
გულს გაგიტობს, სულში ჩაგეხვევა.

უპოვარი ქალი

ნაგვის ყუთში ნაგავს ქექავს
უპოვარი ქალი.
სიფრიფანა, ტანმალალი
თვალებსხიფჩამქრალი.
თავზე ჩალის ქუდი ხურავს,
ფარფლებ ჩამომძვრალი,
წამოუსხამს ძველი მანტო,
ხელთათმანი ცალი.
იშვიათად მის თვალებში
ჩნდება ნაპერწკალი,
შერჩენია ალბათ რაღაც
ტკბილმოსაგონარი.
ძველი ახლო მეგობრები
სუფთა, გულალალი
და პირველი სიყვარულის
შორით ტრფობის ალი.
ყველამ რატომ მიატოვა,
ვის მიუძღვის ბრალი?!
არც პასუხი არსაიდან,
აღარც მომავალი.
ყველა თავის თავზე ზრუნავს,
არ აწუხებს სხვისი,
აღარც ღმერთი, აღარც სული,
ზოგს შიმშილით სული ხდება,
უჩანს მკერდის ძვალი.
ზოგი ცხოვრობს განცხრომაში,
როგორც დედოფალი.

გაგრძელება, (დასაწყისი იხილეთ წინა ნომერში)

მონა ღვთისა და მამა ერისა

ერთ დღეს მოხუცმა განუცხადა თავის აღსაზრდელს, უფლის წინაშე უნდა წარვსდგე რაღაც სათხოვრით, ცოტა ხნით მარტო დაგტოვებ.

აღზრდელის წასვლისთანავე ჩასთვლიმა ბავშვმა.

ხელის შეხებამ გამოაღვიძა...

აიხედა და რას ხედავს: ვეებერთელა კოჭლი ეშმაკი დასდგომია თავზე.

– რა გნებავს? – ეკითხება გაოცებული ბაღლი.

დაუყვავა ეშმაკმა, თავზე ხელის გადასმა დაუპირა, მაგრამ ისეთი ხაფი ხმით დასტეკა ემამ, “არ შემეხოლო,” რომ შეკრთა სატანა.

– რა გაყვირებს! – ეუბნება ბოლოს გაჯავრებით,-მე მინდა ამ ჯურღმულიდან ამოგიყვანო და შენი თავი ისევ შენს მშობლებს დაგუბრუნო!

– ჯერ ერთი, ეს ჯურღმული არ გახლავს, ეს წმინდა სენაკია, მეორეც – როცა დრო დადგება, უშენოდაც ვნახავ დედ-მამას.

კეფა მოიქეჭა ეშმაკმა...

– თუ მშობლების ნახვა არ გსურს, წამოდი, ჩემს სასახლეს გაჩვენებ, ნუთუ არ გაინტერესებს სატანის ადგილსამყოფელი!

– არა! – კუშტად უპასუხა ყრმამ, – ახლა კი მომცილდი, მეძინება!

რაკი ნებით ვერ დაიყოლია ბავშვი, ახლა ძალით მოუნდა მისი დამორჩილება; ჩაავლო ბრჭყალები სხეულში და გამოქვაბულიდან გამოთრევას უპირებს.

განრისხდა ბაღლი, რქებში წაავლო ხელი უწმინდურს, ოთხში ამოიღო და მუშტები დააყარა გაცოფებულმა.

– გამიშვიო! – ყვირის ეშმაკი და ამაოდ ცდილობს პატარა, მაგრამ რკინასავით მძლავრი ხელებიდან გაუსხლტეს ბავშვს.

როცა ცემით მოიქანცა, ყურით ათრია ეშმაკი პატარამ, გამოქვაბულის კართან მიიყვანა, პირი აღმოსავლეთით უქნა და ისეთი წიხლი ამოჰკრა, რომ კარგა ხანი ფრენა ფრენით წავიდა ცისკენ დაწიხლული, მერე ირავ გააკეთა ჰაერში და მოწყვეტით დაენარცხა მიწაზე.

– ეს ერთი და სხვა მრავალი! – სიცილით გადმოსძახა ზემოდან.

– მაშ კარგი! – ამოსძახა მშვიდად ეშმაკმა, – სამაგიერო ჩემზე იყოსო...

როცა მოხუცი დაბრუნდა, ბაღლმა უამბო რაც თავს გადახდა.

ოცდაცამეტჯერ გადასწერა პირჯვარი შემკრთალმა ბერმა.

– ეს შენი პირველი გამარჯვებაა,- უთხრა აღსაზრდელს, – ღმერთმა სულ ასე გამარჯვებით გატაროს!

ათი წლისა რომ გახდა, აღზრდელმა ქრისტიანული წესით მონათლა მოსწავლე. სახელად მესსია უწოდა: “რაც არის, იგივე ერქვასო,” განუცხადა ამ სახელით უკმაყოფილო უფალს, რომელსაც სურდა, რომელიმე წმინდა მოწამის სახელი დაერქმიათ ბავშვისათვის.

ნათლობის პირველი დღიდანვე მახვილის ხმარების სწავლებას შეუდგნენ.

აქაც უჩვეულო ნიჭი გამოავლინა მესსიამ... მხოლოდ ეს იყო – დიდხანს ვერ უძლებდა ხმალი... როცა შეცდომას დაუშვებდა და მასწავლებლის მიერ ყელზე მიბჯენილ წვეტიან რკინას იგრძნობდა, განრისხებით მოიქნევდა ხოლმე მახვილს და კლდის კედელს მიაფშენდა.

მოხუცს გულში ეცინებოდა ყრმის გულფიცხოვაზე. “მეტად ჩქარობო,” – ეტყოდა ხოლმე და უმაღლე ახალ ორღესულს მიაწვდიდა...

ისევ დაუშვებდა ხოლმე შეცდომას მესსია, ისევ გაჯავრდებოდა და მიამსხვრევდა კედელზე მახვილს.

ცამეტი წლის შესრულდა თუ არა, ოქროს ჯავშანი ჩააცვა ნათლიამ ნათლულს, დვთის მიერ ნაკურთხი ხმალი მისცა, გამოქვაბულიდან გამოიყვანა და მშობლებთან წასვლის ნება დართო.

მივიდა მესსია სახლში.

სიხარულით ცას ეწიენ მშობლები ულამაზესი პირმშოს დანახვაზე. ოდნავ მომტყდარიყვნენ ისინი მის მოლოდინში, თმაშიც აქა-იქ ჭაღარა გარეოდათ, თორემ სამივენი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს აღნაგობითა და სახით, რომ და-ძმა გეგონებოდა კაცს...

მოსადამოვდა...

ის იყო, დასაწოლად მოემზადნენ, რომ ვიღაცამ მაგრად დააბრახუნა კარზე.

კარი გააღეს თუ არა, თორმეტი გოლიათი შემოვიდა ოთახში, მტრის სარდლის მიერ გამოგზავნილნი და შიშველი ხმლებით მიაშურეს მესსიას. “თავი დაიცავიო,” – დაჰკივლეს და მოუღერეს დაშნები.

წარბიც არ შეიხარა ყმამ.

– გარეთ გავიდეთ და იქ შევებათ! – თქვა მან.

ვაჟკაცები იყვნენ გოლიათები; გადახედეს ერთმანეთს, უსიტყვოდ გავიდნენ ეზოში და ელოდებიან მტერს. გამოვიდა მესსია, ალაპყრო მახვილი და თორმეტი წამის შემდეგ თორმეტი თავწასხლეტილი სხეული აფართხალდა მიწაზე...

შემობრუნდა შინ დაღვრემილი მესსია და ეუბნება დედ-მამას: აბჯარი ჩაიცვით, იარაღი აისხით! მტრის ლაშქრის შესამუსრად მივდივართ!

უმაღლე აღიჭურვენ მშობლები, გულზე ჯვრები ჩამოიკიდეს...

გარეთ გამოვიდნენ თუ არა, ერის სულმა მოუჭრა მათ გზა; თეთრ სუტანაში გამოწყობილი მესსიის ნათლია, ხელში ცეცხლისმფრქვეველი მახვილი დაეჭირა...

პირჯვარი გადასახა სამივეს და წარუძღვა წინ.

გაიგო სატანამ მესიის განზრახვა, ერთი ფეხით მიასწრო მტრის ლაშქარში, მონახა სარდალი და ყოველივე წვრილად მოუთხრო.

შიშისა და ბრაზისაგან აცახცახდა სარდალი, როცა თავისი თორმეტი გოლიათის სიკვდილი გაიგო.

– რას მირჩევო? – ეკითხება გაფითრებული ეშმაკს.

– პირისპირ შებმისას არც შენ და არც შენს ჯარს ხეირი არ დაგადგებათ, რადგან ერის სული მოუძღვით წინ, – პასუხობს სატანა, – ჯობია დრო გამოთხოვო, ვითომდა უხუცესებთან სათათბიროდ, ამ ხნის განმავლობაში კი რამეს მოვიფიქრებო.

დაუჯერა სარდალმა მის რჩევას...

კარის წინ თვით შეეგება მესსიას და მის თანამებრძოლთ და ეშმაკის რჩევისამებრ მოიქცა:

არ დაუჯერო! – პირქუშად ეუბნება მოხუცი ნათლულს, – ყური არ დაუგდო ცბიერ მტერს, ბარემ ახლავე შევეუტიო!



მოიქნია მახვილი მესსიამ; შუაზე გააპო მტრის სარდალი, კვლავ მოიქნია და დაამსხვრია რკინით შეჭედული კარი მუხისა...

შევარდნენ ციხეში ოთხნი...

ახლა თვით ეშმაკი გამოეგებათ.

მას ღამაზი ქალის სახე მიეღო...

გადაუდგა წინ მომავალთ.

– ვინ ხარ და რა გნებავს, – ეკითხება მესსია.

– მე შენგან მოკლული სარდლის ქალიშვილი გახლავარ, მამა ხომ მომიკალ, ახლა ჩემი ტომის ხალხს მაინც ნუ ამოუღებ, სამი დღე მაცალე, მოვითათობირებ უხუცესებთან, იქნებ დავიყოლიო ისინი და ნებით დატოვონ შენი ერის მიწაო...

მოხუცს გადახედა მესსიამ.

ღვას ბერიკაცი და მიწას ჩაშტერებია.

– კარგი! – ასწია ბოლოს თავი და მიაჩერდა სატანას, მაგრამ თუ სამი დღის შემდეგ აქედან არ წასულხარ, თქვენს თავს დააბრალეთ რაც მოგივათო...

ესა თქვა და პირი იბრუნა...

მღუმარედ მიჰყვნენ სამივენი...

დიდხანს იმტვრევდა სატანა თავს, როგორ მოქცეულიყო, ბოლოს ერთმა ცბიერმა აზრმა გაურბინა თავში... არც აცია, არც აცხელა, იმავე წამში მესიის მამის დას მიაშურა, რომელიც ვიღაც ვაჭარს გაჰყოლოდა ცოლად. სიხარულით ათრთოლდა ოდესღაც თავისი ძმის თანამოსარეცლვე, როცა გაიგო, რომ დაუდგა შურიძიების უამი.

ეშმაკის დარიგებისამებრ ეწვია ძმის სახლს...

დიდხანს ეაღერსა ძმიშვილს...

სადილობის უამს კი, როცა სუფრაზე ხელადით ღვინო შემოდგეს, სხვათა შეუმჩნეველად ბანგი გაურია სასმელში.

რამოდენიმე ხანში ყველას მაგიდასთან ჩაეძინა.

იმწამსვე გაგარდა ეშმაკთან ქალი, აუწყა ყოველივე.

სატანამ რამოდენიმე კაცი წამოიყვანა, ფრთხილად მიეპარა ხალხს და ყველანი შეიპყრო. წაიყვანეს მძინარე ტყვეები ციხეში, ბორკილები დაადეს და ჯურღმულში შთააგდეს.

სატანა ნანობდა, რომ ერის სულის დატყვევება ვერ შეძლო, რომელიც იმ დროს ნათლულის სახლში არ იმყოფებოდა.

სისხლი წურწულით ჩამოსდის მესსიას...

უმზერს დატანჯულ დედ-მამას დაამბობს:

– დიდხანს არ გასტანს ჩვენი წამება!

– საიდან იცი?

– ჩვენი შეპყრობის ამბავი მალე მოხუცის ყურამდეც მიაღწევს, ის წამოუძღვება ერს და მალე გაგვათავისუფლებს!

– მესსია შეპყრობილია, ერის სულს რა შეუძლია უშენოდ?

– მარტო მესსია არ შეუპყრიათ! – ამბობს დედა, მტერმა პოეზია და სიწმინდეც ხელჰყო, გააუპატიურა და ჯურღმულში ჩაკეტა! ახლა ისღა დაგვრჩენია დავდუმდეთ და მორჩილად ავიტანოთ ჩვენი ხვედრი...

– ავიტანოთ?! – შეჰყვირა მესსიამ, განა არ გვეყო, რაც ავიტანეთ?

– მაშ, რას გვირჩევ?

– უპირველეს ყოვლისა – ძალების მოკრებას, მერე – ბრძოლას და თუ გარდაუვალი გახდა – სამაგალითო სიკვდილს!

ამის თქმა იყო და უეცრად განიხვნა უკუნი ბნელი და მათ წინ უფალი აღიმართა.

– მაშ შენ მოწამეთა ხვედრი არ მოგწონს? – ქირდვით ჰკითხა მესსიას ყოვლადძლიერმა.

– არა კუშტად უპასუხა ყმაწვილმა და თვალი თვალში გაუყარა.

– ღმერთს ასე არ უნდა შეხედო, თორემ დაბრმავდები! – ჩაესმა ყურში. მოიხედა და მოხუცი დაინახა.

თავი დახარა მესსიამ. თავის დახრა და ბორკილების ჩამოვარდნა ერთი იყო.

– ახლა კი, – მიმართა უფალმა ოთხი-ვეს, თვით გაიკვალეთ გზა.

გათენდა თუ არა, ჯალათები შემოვიდნენ საკანში. მესსიამ და ერის სულმა ბორკილებით მოაშთეს ისინი, მათი მაშხალები აიღეს და წარუძღვნენ წინ თანამოაზრეთ.

როგორც იქნა, ააღწიეს ზემოთ.

აქ მთელ რაზმთან მოუხდათ შეტაკება.

მტრისგანვე წართმეული მახვილებით ამოწვევით მოწინააღმდეგენი, მაგრამ ეშმაკმა აქაც ფანდი იხმარა, მთავარ ციხესიმაგრეში გამოიკეტა ლაშქრით. სანამ მესსია ჯურღმულის დამცველ რაზმს მუსრავედა, ეშმაკმა ისევ ლამაზი ქალის სახე მიიღო, გარეთ გამოვიდა და დაუჩოქა ოთხივეს...

– აღარ მჯერა შენი! – დაუყვირა მესსიამ, – მაგრამ ისეთი საწყალობელი სახით უმზერდა ქალი, რომ მოქნეული მკლავი შეუხერდა, მოწვევით ჩამოუვარდა.

– იკმარეთ სისხლი, ამ წუთსავე დაგტოვებთ შენი ერის მიწასაო! – ტირილით თქვა სატანამ. მოხუცს სახე ღიმილმა გაუცისკროვნა, ხმალი ქარქაშში ჩააგო.

ოთხივე გარეთ გაცვივდა, რათა ერისთვის ეუწყებინათ სასიხაულო ამბავი.

– ზარები დარისხეო! – ეუბნება სული ერისა დღეის მესსიას.

ფერდობზე წამოყუდებული სამრეკლოსკენ გასწია ვაჟმა, ავიდა ზედ და დაარხია ზარები...

მაღე მთელი ერი შეიკრიბა დიდ მოედანზე.

აუწყა სულმა ერისამ შეკრებილთ სასიხარულო ამბავი.

მღუმარედ უსმენდა ხალხი...

მერე ბრბოს ვიღაც ცალთვალა ჭაბუკი გამოეყო და, “წყალს რათ ამღვრეთო,”

– ოთხივეს ეკითხება...


– როგორ თუ წყალს გამღვრეთ?! – განცვიფრდა მესსია.

– შენგან არ მიკვირს, ჩემი ხნისა ხარ, ვნება და წერაატანილი, მაგრამ ამ თქვენს მსცოვან კაცს რად არ ესმის, რომ ერთი მტრის წასვლის შემდეგ, მეორე, უფრო მძვინვარე და საძაგელი მტერი შემოგვიტევს?!

– იმათაც აღვგვით მიწის პირისაგან!

– და მთელი ჩვენი სიცოცხლე ახალ-ახალი თავდასხმის შიშში ვატაროთ არა?! გუთნები გადავადნოთ და მახვილები ვაწრთოთ, ყანასა და ვენახს მოვწყდეთ და მუზარადები დავიხუროთ, კერია ჩავაქროთ საბრძოლო მაშხალები დავიჭიროთ ხელში?!

– მაშ, გამოდის რომ...



– არაფერიც არ გამოდის! – დაუკი-ჟინეს ბრბოდან, ჩვენ თუ გავნადგურდით, რაღათ გვინდა რამე!

– წყალს ამღვრევენ, წყალს, – დაი-ყვირეს აქეთ-იქიდან.

– ხალხნო, გონს მოდით! – დასჭექა ერთიანად გადაფითრებულმა მესსიამ, – დღეს ჩვენი ახლად დაბადების დღეა, პანაშვიდად ნუ აქცევთ მას...

– არა გვჯერა თქვენი, არა! – იხუვლა ხალხმა და ყოველი მხრიდან შემოეხვივნენ ოთხივეს. უეცრად ქვამ გაიხუზუნა, მესსიის ნათლიას შუბლში მოხვდა... სისხლმა იფეთქა გახეთქილი შუბლიდან.

– ქრისტიანებო! – შეჰღაღადა სულმა ერისამ და მუხლებზე დაემხო, ჯერ არავის წინ არ მომიყრია მუხლი! – ესა თქვა, თვალები დახარა და დადუმდა.

გაბოროტებული მესსია ეცა ქვის მსროლელს, მახვილი გაურტო მკერდში...

უფრო და უფრო აზვავდა ამის დანახვაზე ხალხი...

– სიკვდილი მაგათო! – დაიძახეს და ახლა ყოველი მხრიდან დაუშინეს ლოდები...

უეცრად ციხის კარი გაიღო და სატანამ გამოიხედა...

გამოიხედა და ახარხარდა, როცა დაინახა, როგორ ქოლავდა ხალხი საკუთარ სულს, საკუთარ სიწმინდეს, პოეზიასა და მესსიას.

მოსადამოვდა...

ბრბო თანდათან დაიშალა...

ხუთი გვამი დარჩა მიწაზე: ერთი – მესსიის მიერ განგმირული, დანარჩენი კი – იგივენი.

– მხოლოდ ხალხს შეუძლია საკუთარი სულის მოკვლა, - გაისმა ციდან, – მხოლოდ ხალხს შეუძლია საკუთარი სიწმინდისა და პოეზიის ხელყოფა, მხოლოდ უფალს შეუძლია მათი მკვდრეთით აღდგენა! აღდგენილ იყავ, მესსიავ, მკვდრეთით!!!

აღდგა მესსია.

ჭმუნვით დახედა ძვირფას ცხედრებს, აიხედა ცისკენ და – “ესენიც აღადგინე, ყოვლადძლიერო,” – შეჰღაღადა.

– მათ უკვე ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეეძლოთ... – მოესმა ციდან, – შენ ნაყოფი ხარ სამად განტოტვილ ხისა... ხე განადგურდა, ნაყოფი დარჩა! მაშ, ეცადე, პოხიერ ნიადაგში მოხვდე, რათა ამიერიდან თვით აღმოაცენო ახალი სული, სიწმინდე და პოეზია!

მიდის მესსია კლდისაკენ...

როგორც იქნა, ააღწია ძველ თავშესაფარში... ლოდზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა...

“ამიერიდან შენ უნდა აღმოაცენო ახალი სული, ახალი სიწმინდე, ახალი პოეზია,- ჩურჩულებდა სახეადგზნებული, -კარგი, პოეზიით დავიწყებ”.



*მე, პირმშოს – დედით წმინდა სიბრძნავის,
მამის მხრივ – მუნჯი პოეზიისას,
მე, ერის სულის სინათლეში
მდგარსა და აღზრდილს,
მძიმე ხვედრი მარგუნა ღმერთმა...
უნდა განგჭვრიტო აქამომდე განუჭვრეტელი,*

ვანათო თვითონ, და სხივებით, ჩემგან ნაწვიმით – ვანათო სიმები,
რომელთ ჟღერა განუწყვეტელი,
შეარხევს სულელებს ჩემი ერისას...
მაგრამ არ ვიცი, შევძლებ იმას,
რაც ვერავინ შეძლო?

ვით ვუმეგობრო დილას,
ღამეს კი – ვეძმო?!

ან როგორ შევძლო მეომარმა ხორციით და სულით,
რომ დავიოკო ვნებათაღელვა და იყოს სრული
ლექსი, რომელიც დასაღუპად განწირულია,
თუ შიგნით იქნა მეტი ვნება ვიდრე სჭირდება?!
ო, ვიცი, ვიცი, დახმარებას ღმერთი მპირდება
და ჩემი სულიც ახლა ორად განზიდულია...
და მაინც... მიჭირს იმ დიადი კარის შეღება,
რომელიც ბევრმა საკუთარი სისხლით შეღება
და ვერ შეაღო...

იმ კართან ვდგავარ.
მათხოვარს ვგაგარ.

კარზე წერია:

“რომელიც შევა

ამ წიაღს შინა,

რომელსაც ჰქვია – ნათელი წმინდა – არ ეღირსება შინ დაბრუნება!”

უეცრად ჩემ წინ აჩრდილი აღჩნდა,

სახეზე ჭმუნვა და დაღლა აჩნდა.

მკერდზე ცრემლები მაფრქვია ნამად,

დავაკვირდი და ვიცანი... მამა!

არ მახსოვს, რა თქვა,

ლოცვას კი ჰგავდა,

რასაც ამბობდა,

მერე გადმომცა

ხელში რაღაც და

გაქრა... განქარდა!

მე გასაღები მეჭირა ხელში...

ავღექი კლიტეს შევახე ფრთხილად,

გაიღო კარი... შეველ ნათელში,

ირველივ ცისფრობდა ღამაზი დილა.

“ხილვა პირველი,” – მესმა ზეციდან,
ავიხედე და... ჩემს წინ ხე იდგა.

მიწა ხელივით ამ ხეს მიწვდიდა
და მეც ამიტომ ვიწყებ მიწიდან.

მიწა, რომელიც აღმოაცენებს

სიცოცხლის ხეს და მის შავ ტოტებზე

დაჰკიდებს კაცთა ტანჯვა-წამებას – უფლის ცრემლებით არი მორწყული.

რად იშვა ეს ხე? არავინ უწყის!
იქნებ მისთვის, რომ ავიდეთ მასზე
რომ ყოვლადღლიერს მიეუახლოვდეთ
და კენწეროზე მოქცეულნი
მარად ვექანოთ
სამოთხესა და
ჯოჯოხეთს შუა?!
...იქნებ... არც ხეა და მეჩვენება,
იქნება არის ხვეწნა – ვედრება
იმა ლტოლვილთა,
იმა ცოდვილთა,
რომელთა სულიც გახეიბარდა
ამქვეყნიური ვნებების ცეცხლში
და რომელთ ერთი იმედი დარჩათ
იხილონ ღმერთი!
მიეუახლოვდი ხეს მოკრძალებით
და უცებ მისი ჩურჩული მესმა:

“აქ ერთმანეთთან სული საუბრობს – ჩემი და შენი,
ვერვინ განჭვრიტოს ჩემი საუფლო – ცრემლით ნაშენი,
ჩემს სამყაროში ზარ-ზეიმით ვერავინ შევა,
აქ ხავსის ტირილს იწვევს სახეზე ფოთლების რწვევა
და ზღვის ზვირთივით მფეთქი და მთრთოლი,
დაუვარსკვლავი ვერცხლით და ბროლით – სხეული ხრწნადი,
რაც უამი გადის,
მით უფრო მძაფრად ითანგება სითბოს წყურვილით,
ჩრდილში მიგდებულ, უმზისსხივო
ყვავილწნულივით.
მაშ განმერიდე – სახეზე გატყობ,
ჩემ კენწეროზე ამოსვლას ლამობ”.

არ დაუჯერა მესსიამ ხის ნაუბარს, ავიდა ხეზე...
უეცრად თვალისმომჭრელ სინათლეში აღმოჩნდა...
თვალები დახუჭა...



მერე ფრთხილად გააღო უბეები და... შეძრწუნდა...
იგრძნო, რომ დაბრმავებულიყო.
“ახლიდან იშვა სიბრმავე წმინდა!” – გრგვინვასავით გაისმა
საიდანღაც, ძლივს ჩამოვიდა ხიდან დაბრმავებული მესსია.

დაეხეტება ბრმა მესსია საკუთარ სულში.
“წმინდა სიბრმავე... ესეც შენი სიბრმავე წმინდა,” –
ფიქრობს ნაღვლი-ანი და სევდამორეული. უეცრად მკლავზე
ხელის შეხება იგრძნო...
იმავე წამს თვალის ჩინიც დაუბრუნდა...
მის წინ უფალი იდგა და კეთილად იღიმოდა.

– აწ წარუძებს ერს, – არქვა უფალმა, – ერის სულის და პოეზიის წმინდა ნათელს ნაზიარებო!

აღდგომა იყო...

ზარების რეკვა მოისმოდა ყოველი მხრიდან... განცვიფრებული ხალხი გარსშემორტყმოდა შარავანდედ დადგმულ, ცისფერ, სუტანაში ჩაცმულ მესსიას და არ უწყოდნენ, როგორ ეწამათ ეს სასწაული.

– რაღა ქრისტეს აღდგომის დღეს გამოცხადდა? – ღვარძლიანად ჩაილაპარაკეს ერთგან, – ან იქნებ, სულაც არ მომკვდარა?!

– მაგრამ შარავანდედი? – ჩურჩულით კითხულობდნენ მეორეგან.

მღუმარედ იდგა მესსია. მერე ხელი ასწია და:

– ქრისტე აღსდგაო! – წარმოსთქვა.

– ჭეშმარიტად! – იგრიალა ერმა.

– გვარქვი, ვინა ხარ? – შეეკითხნენ, იქნებ თვით ქრისტე?!

– არა, მაგრამ, მისი ახალი მოციქული კი გახლავართ, უფლის სურვილის აღმსრ – ულებელი!

– და რომელ სურვილს ადასრულებ, წმიდავ, ღვთისასა?

– ურჯულოების განდევნას ჩვენი მიწიდან!

დადუმდა ხალხი...

– თავი ჩაჰკიდეს უხუცესთა.

– მერე, მტერი რომ ერთიანად მძლავრია ჩვენზე?

– ღმერთი ჩვენთან არის!

– ეჰ, ეს მხოლოდ სიტყვებია, – მწარედ წარმოთქვა მესსიასთნ ახლო მდგომმა მოხუცმა, – ძალა კი...

– არ არსებობს უძლური ერი, თუ მას კარგი მამა ჰყავს!

– ერის მამობას დღეს ჩვენში ბევრი იჩემებს, – დამცინავად წარმოთქვა ვიღაცამ, – იქნებ ახლა შენ გსურს მისი დაჩემება?

– არა, მე შვილი ვარ ერისა... მამად კი, მამად თქვენგან მოკლული ერის სული შევრაცხოთ.

– ის ხომ მკვდარია!

– მისი აჩრდილი წინ გაგვიძღვება!

– უხორცო არსი?!

ჩაფიქრდა მესსია...

– მაშ, თვით გადაწყვიტეთ, ამოირჩიეთ...

დიდხანს თათბირობდნენ უხუცესნი. ბოლოს ერთი მათგანი გამოეყო მოთათბირეთ, მიუახლოვდა მესსიას, პირჯვარი გადასახა და ერს მამობა მიულოცა...

– ქრისტე აღსდგა! – დასჭექა ერის სულის ნათლულმა.

– ჭეშმარიტად! – დაუძახეს ყოველი მხრიდან.

– მიუძღვის მესსია აბოლოქრებულ ერს მტრის ბანაკისაკენ...

ცალ ხელში ჯვარი უჭირავს, მეორეში – მახვილი...

“ღმერთი სამეხობთა, – ჩურჩულებს ცრემლჩამომდინარი, – ეს უკვე მესამედ მივდივარ მტრის შესამუსრად, მფარვიდე, ღმერთო!”

აი, მიადგნენ ალაყაფის კარს...

შეანგრიეს რკინის კარიბჭე...

სიმღერით მიაშურეს შუბმოდერებულ მტარვალთ...

ყოველი მხრიდან განგმირულთა გოდება ისმოდა. მოჩქეფდა სისხლი ვერცხლისფერ ქვიშაზე და წვეთნი მისნი უფლის ცრემლებივით ციალებდნენ ფერფლოვან ნიადაგზე...

ისმოდა კენესა, შეძახილი, ტირილი, ბოდვა, ერთიმეორეს შერწყმოდნენ ხმები და ერთ უძლეველ ჰანგად ქცეული – ბრძოლის სიმღერა მრისხანედ უღერდა...

– უფლის სახელით!-იძახდა ყველა.

სამ დღეზე მეტხანს გასტანა ხოცვა-ულეტვამ. მთელი ამ ხნის მანძილზე სატანასთან პირისპირ შეყრას ნატრობდა მესსია...


როცა ბრძოლის ბედი მისი ერის სასარგებლოდ გადაწყდა, ახლა დახოცილთა შორის დაუწყო ძებნა.

მაღე მიხვდა, რომ უწმინდური გაპარულიყო...

იცოდა მესსიამ – მისი ერი მაშინ გაიმარჯვებდა საბოლოოდ, თუ თვით სატანას იგდებდა ხელთ და იგივე ტანჯვა-წამებით სიკვდილს მიაგებდა, რაც მან მიაგო მრავალთ და მრავალთ...

ბრძოლა კი, ის-ის იყო, იწყებოდა...

ყველა ზეიმობდა გამარჯვებას... მხოლოდ მესსია იყო დაღონებული; მაგრამ სხვათა გასამხნეველად მაინც ღიმილი გადაიფინა პირზე და ისე დაენახა საღხს...



მერაბ აბაშიძე

სიყვარულზე!



სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი!

რა თქმა უნდა რომ სიყვარული ყველაზე დიდი ბედნიერებაა და ამიტომ, ასევე ყველაზე დიდი, სრულყოფილი სიხარული. სიხარული ხომ განსაკუთრებული სიბრძნეა!

ამას პლატონი ამბობს, რომლის შესახებ ოდითგანვეა ნათქვამი, რომ ერთი პლატონიცი ეყოფოდა მთელ სამყაროს! დიახ, ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს, რადგან სიყვარულზე პლატონის გამონათქვამი შეიცავს სამყაროს მთელს ფილოსოფიას, ყველა, ყველა რელიგიისა და მოძღვრების ფუნდამენტალურ იდეას, – საკუთარი თავის იმ დონემდე სრულყოფილებას, როდესაც შეუძლებელია არ გახდე საყვარელი იმისათვის ვინც გიყვარს. და აჰა, პლატონის გამონათქვამიც: "გიყვარდეს, ნიშნავს გახდე საყვარელი!"

ჩვენ ვცდილობთ ყოველი მხრიდან გავაშუქოთ ეს აფორიზმი, კაცობრიობის გამთლიანების ერთადერთი ფუნდამენტალური იდეა, რომელიც ქრისტიანობამდე ხუთი საუკუნით ადრე გაცხადდა როგორც ქრისტიანობის *ქვაკუთხედი* და *სომის ქვა*!

ამ იდეას აშუქებს მსოფლიოს ყოველი დიდი თუ პატარა რელიგია და ამ უამრავ, ზღვა განმარტებათა შორის, განსაკუთრებული თვალმარგალიტის ელვარებით ბრწყინავს ღვთაებრივი ფრანციხე ასიზელის განმარტება სრულყოფილი ბედნიერების შესახებ...

* * *

ერთ სუსხიან საღამოს, ძმა ლეონე და წმინდა ფრანციხე ასიზელი პერუჯიდან პორციუნკულისაკენ მიემგზავრებოდნენ. ძმა ლეონე წინ მიუძღვოდა, წმინდანი კი მას კვალში მიჰყვებოდა. ზამთრის პირველი ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი მათრახივით სცემდა მათ შეცივებულ სხეულებს, ანაფორები შემოსეოდით ტანზე და შიმშილისა და დაღლილობისაგან

მოთმინება მთლად გასცლოდათ მათ. ასეთი იწროების გამო სანტა მარია დელლა ანჯელის ქოხმახები სამეფო დარბაზებად ელანდებოდათ და მეზავრებს ამხნეებდა იმ ძმებზე ფიქრიც, რომლებიც ელოდებოდნენ მათ, შემონახული ჰქონდათ მათთვის საუკეთესო ლუკმები და შეშა რათა მათი მოსვლისას ბუხარი გაეჩაღებინათ.

“ძმაო ლეონე,—სოქვა ფრანცისკმა, — ჩაწერე ის თუ რა არის სრულყოფილი სიყვარული.”

ჩვეულებრივად იგი ამბობდა “ჩაწერე,” რადგან ძმა ლეონე მისი მდივანი იყო, მაგრამ იმ წუთში იმიტომ ამბობდა ასე, რომ მეტად მნიშვნელოვან აზრს გამოხატავდა, აზრს, რომელიც მისი მოძღვრების ძირითად იდეას წარმოადგენდა: “თუმცა კი, ყოველ მხარეში ჩვენი ძმები ჭეშმარიტი სიწმინდისა და კეთილშობილების მაგალითებს განასახიერებენ, ჩაწერე და განსაკუთრებით გაუსვი ხაზი, — ამაში როდია სრულყოფილი სიხარული.”

ისინი ღუმილით განაგრძობენ გუხას, და ფრანცისკმა კვლავ წარმოსთქვა: “ძმაო ლეონე, გამჩენმა ღმერთმა ჩვენს უმცროს ძმებს გინდაც რომ ისეთი მადლი მიანიჭოს, როგორცაა სნეულთა განკურნება, ისევე როგორც მრავალი სხვა სასწაულის ნიჭი, თუნდაც გარდაცვალებულების მეოთხე დღის შემდეგ გაცოცხლებისა, ჩაწერე რომ ამაში მაინც არაა სრულყოფილი სიხარული.”

გარკვეული ხნით ისევ ღუმილი ჩამოვარდა, შემდეგ ფრანცისკმა უფრო ხმამაღლა სთქვა: “ძმაო ლეონე, თუკი უმცროსმა ძმამ ყოველი ენა, ყოველი მეცნიერება და წმინდა წერა შეისწავლა, ასევე ხვდება და გვიმხელს ჩვენ ჩვენს მომავალს და იცის ადამიანის ცნობიერების საიდუმლოებანი, ჩაწერე რომ არც ამაშია სრულყოფილი ბედნიერება.”

კვლავ დადუმდნენ. ძმა ლეონეს ნელ—ნელა ავიწყდებოდა სიცივე და იგი ღრმად ჩაიძირა მოძღვრის სიტყვებში, გონებაში საკუთარ თავს ეკითხებოდა,— მაშ სადღა უნდა ვეძიოთ სრულყოფილი სიხარული და წმინდა ფრანცისკმა კიდევ უფრო ხმამაღლა ბრძანა: “ო, ძმაო ლეონე, უმცროსი ძმა, თუნდაც ისე კარგად ფლობდეს ქადაგებას, რომ ყოველი ურჯულოს ქრისტეს რწმენისაკენ შემოქცევა შეეძლოს, ჩაწერე, რომ არც ამაშია სრულყოფილი სიხარული. თუკი მახარობელი გამცნობს, რომ პარიზის ყველა ქადაგი ჩვენს ორდენში შემოვიდაო, ჩაწერე: “ეს სიხარული, — სრულყოფილი არაა. ალკების პირიქითა მხრიდანაც რომ გვეახლოს ყველა პრელატი და არქიეპისკოპოსი, და თუნდაც თვით საფრანგეთისა და ინგლისის მეფენი ჩვენს ორდენში შემოსასვლელად ჩამოვიდნენ, ჩაწერე: ეს ის სიხარული როდია.”

წმინდანის აზრების მოსმენის შემდეგ ძმა ლეონემ აღარ იცოდა რა ეფიქრა და იკითხა: “მამაო, ღვთის გულისათვის გემუდარები, რაშია სრულყოფილი სიხარული?”

მაშინ ფრანცისკმა განუმარტა მას: “სანტა მარია დელლა ანჯელიში სველი რომ მივაღ, მშიერი, გაყინული და გასვრილი; ყინულები ჩემს ანაფორას რომ მოსდებიან და შიშველი ფეხები რომ დამისისხლიანეს; და მე დიდხანს დავაკაკუნებ კარებზე და კარის კაცს შევძახებ, მაშინ მოვა ძმა კარისკაცი და მკითხავს: “რომელი ხარ?” — და მე ვუპასუხებ “ძმა ფრანცისკი,” იგი მიპასუხებს, — წადი, ეხლა რა დროს მოგზაურობაა, შენ აქ ვერ შემოხვალ.” მაგრამ მე ისევ დავაკაკუნებ, და იგი განრისხებული გამოვარდება, ლანძვითა და მუჯღუგუნებით შემომიბტევს და მეტყვის: “წადი, შენ პრიმიტიული და გონება ჩლუნგი ხარ და ნუღარ მოხვალ ჩვენთან! ჩვენ უკვე გავმრავლდით, მრავალი ნიჭი შევიძინეთ და შენში აღარანაირად არ ვსაჭიროებთ.” და მე, თუ ყველაფერ ამას ავიტან და მის მიმართ მაინც სიყვარულს ვიგრძნობ გულში, სულში კი მაინც სიხარული ჩამედვრება, ძმაო ლეონე ჩაწერე, — რომ ამაშია სრულყოფილი სიხარული.”

უსიტყვოდ იდგა ძმა ლეონე და უკვე აღარ გრძნობდა არცა შიმშილს, არცა სიცივეს და არცა დაღლილობას და მხოლოდ გაცოცხლებისაგან იყო გაოგნებული.

ფრანცისკი კვლავ ამეტყველდა: “და თუ ამის შემდეგ შიმშილით გატანჯული, ბნელი ღამისაგან დათრგუნული მე მაინც ჯიუტად მოვითხოვ: “ღვთის გულისათვის, ეს ღამე მაინც

გამათევიანე!” – ხო და იგი მიპასუხებს მე: “არა, კროჩიფერის საფარში მიბრძანდი” და გამოვა ჭოკით ხელში, კისერში წამავლებს ხელს და ძირს დამანარცხებს, თოვლში ამომავლებს, სახსრებს დამიღეწავს და ყოველივე ამას მოთმინებითა და სიხარულით ავიტან, ქრისტეს ჯვარცმის მაგალითით შთაგონებული, – ჩაწერე ძმაო ლეონე, რომ სრულყოფილი სიხარული ესაა.

ეხლა მთავარი მოისმინე. ყოველ ღვთაებრივ ნობათთა შორის, უმთავრესი და უკეთილშობილესი – საკუთარი თავის დამარცხების უნარია, როდესაც ნებით ქრისტეს სიყვარულით ღებულობ ტანჯვებს, იტან წყევლა-კრულვას, დამცირებასა და ხელმოკლეობას. ღვთის სხვა ნობათების გამო ჩვენ ვერ ვიამაყებთ, რამეთუ ისინი ჩვენ არ გვეკუთვნიან, არამედ ისინი ღვთისანი არიან, ამიტომ საკუთარი თავის ამაღლება მაშინ მოდის, როცა იწროების ჯვარს ეზიდები, რამეთუ მხოლოდ იგია ჩვენი ჯვარი.”

* * *

ეს საუბარი ქრისტიანული ფილოსოფიის საუკეთესო ფურცელი გახლავთ, რამეთუ იგი ადამიანის სულს უზენაესი მწვერვალებისაკენ ამაღლებს.

იგი გულისხმობს იმას, რომ მოწაფემ უკვე განვლო საჭირო მანძილი ამაღლების გზაზედ. როცა წმინდა ფრანცისკი იმ მიჯნებს ჩამოთვლის, რომელთა მიღწევებს სიხარული მოჰყვება, არ ახსენებს იმ სხვა ადამიანურ სიკეთეებს, რომელთა მიმართ მიიღტვის მთელი კაცობრიობა – ჯანმრთელობას, სიმდიდრეს, სახელგანთქმულობას. წმინდა ფრანცისკი ასახელებს რჩეულ, სიკეთის მომტან ყველა თვისებას, – სიწმინდეს, სიბრძნეს, სასწაულმოქმედებას, ურჯულთა მოქცევის ქადაგების უნარს... ასეთ თვისებათა ხარისხის აღმატებულობის გზით, იგი საკუთარი ორდენის წარმატების იდეებს ავითარებს, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არასრულყოფილია და უძღური სრულყოფილი სიხარულისათვის, რომლის მისაღწევად იგი წამებისა და უმძიმესი ფიზიკური ტანჯვის – შიმშილის, სიცივის, ზამთრიანი ღამით მოგზაურობისაგან დადღის საფეხურებით მალდებოდა; და ამ წამებულობის გზაზედ მწვავე დეტალების აღწერა: ყინულისაგან დასისხლიანებული ფეხები და სხვა სატანჯველი... პასუხად კი, მისი ღვაწლის უარყოფა, მის მიმართ ზურგის შექცევა იმ ძმებისაგან რომლებიც მისგან იყვნენ კურთხეულნი და მაინც, მიუხედავად გამოგნებელი უმადურობისა, ესოდენ საყვარელნი არიან მისთვის. მან აღმოაჩინა, რომ ადამიანი რომელსაც უნარი შესწევს გადალახოს ეს სიძნელებები მოთმინებითა და სიყვარულით, აუცილებელად შეიგრძნობს ნეტარებას, რამეთუ ყველაზე დიდი ჯილდო აქვს მინიჭებული ღვთისაგან – *საკუთარი თავის დაძლევის უნარი*.

/ამონარიდი წიგნიდან: წმინდა ფრანცისკ ასიზელი/

ისევ სიყვარულზე!

სამყარო, ვგონებ ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს: გაეხდეთ კეთილნი, თუნდაც მოდას რომ ვუღალატოთ; უფრო მიმნდობნი; გულწრფელი და მოსიყვარულე, მაშასადამე უფრო მეტად, უფრო სრულად და აშკარად თავისუფალნი.

ეს არაა, რაღაც ღრმა მეცნიერული გამოკვლევა. ეს უფრო საინტერესო აზრთა და მეთოდოლოგიათა კრებულებაა. შესაძლოა, რომ ამ აზრთა კონა ვიღაცას დააფიქრებს და პრობლემათა გადაწყვეტაში დაეხმარება. ზოგი ალბათ სასარგებლო ვარჯიშებსაც ამოიკითხავს.

ჩვენ ყველანი ვოცნებობთ სიყვარულზე, სიყვარულის საკუთარ იდეალზე, მაგრამ ცხოვრებაში კი არ გამოგვდის, როგორც ჩვენ ამაზე ვოცნებობთ.

კარგ დამოკიდებულებათა აწეობის სანაცვლოდ, ჩვენ წლებით ვსწავლობთ ერთმანეთს, რათა ნაკლოვანებანი აღმოვაჩინოთ ერთმანეთში და ვვარჯიშობთ ამ მტკივნეულ წერტილებზე ისე მოხერხებულად დაჭერას, რომ რაც შეიძლება უფრო მეტი ტკივილი მივაყენოთ ერთმანეთს.

ოცნება კი რჩება ოცნებად. უფრო მეტიც, – ოცნება ნელ–ნელა გვეტოვებს და ვრჩებით მხოლოდ არნახული სიუხემის ამარა და ვემალებით ყველას, ვემალებით საკუთარ თავს... ჩვენ ვსწავლობთ მუდამ შენიღბულობას; ასე ხომ უფრო საიმედოა. უკეთეს შემთხვევაში ვეძლევი უდარდებლობას და... უინტერესო ცხოვრებას. ხშირად ოჯახის წევრები მატარებლის ორი პარალელური ლიანდაგივით ისე ცხოვრობენ, რომ არასოდეს ეხებიან ერთმანეთს, მხოლოდ ისრებზე, როცა მიმართულებებს იცვლიან მაშინდა ხვდებიან ერთმანეთს... აქ კი ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ წამიერია...

ასეთ ურთიერთობათა ნიშნებს ისეთი სიტუაციები წარმოადგენენ, როდესაც ადამიანები ჩხუბობენ, თუკი ოდნავ მეტი თავისუფალი დრო გამოუჩნდებათ კონტაქტისათვის.

ამ დროს ადამიანები ნებისმიერ აკრძალულ ილეთებს მიმართავენ, ყველაფერს ამოქექავენ წარსულიდან და... და “დაღუპული” ცხოვრების გაუთავებელ სასამართლო პროცესს ეწევიან ნაცვლად იმისა, რომ სიყვარული ბოლომდე არ გაწირონ.

ბევრი ფიქრობს, რომ სიტუაცია მოგვიანებით მაინც შეიცვლება და ამიტომ დავობენ და ბედნიერებას სახვალად გადაადებენ...

ეს ხვალ კი, რატომღაც აგვიანებს, ან საერთოდ არ მოდის, იმიტომ რომ ჩვენ ველოდებით ჯერ საკუთარ პრობლემათა გადაწყვეტას, შემდეგ მატერიალურად ფეხზე დადგომას, შემდეგ ბავშვების გაზრდას... და აი მაშინ მოვა სიყვარული და ბედნიერება... მერე, მერე, ეხლა კი არა, მერე... და ეს მერე შეიძლება აღარასოდეს აღარ მოვიდეს.

და ვოცნებობთ როდის შემოვა ჩვენს ცხოვრებაში ის ადამიანი, რომელიც შეგვიყვარებს ჩვენ. ან ბოლოს და ბოლოს როდის შეიცვლება ჩემი ცოლი (თუ ქმარი)? როდის გახდებიან ადამიანები ჩემს მიმართ კეთილნი და ჩემს სიკეთეს დაინახავენ?

მაგრამ ჩვენი სხვათა მიმართ დამოკიდებულებები მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულების ანარეკლია.

სამყარო – სარკეა. თუ ჩვენ სხვათა მიმართ ურთიერთობებს გადავხედავთ, ჩვენ ჩვენში არსებული სიყვარულის თუ უსიყვარულობის ანარეკლს დავინახავთ, ისევ და ისევ საკუთარი თავის მიმართ.

ლუიზა ხეი წერს: “მე იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ თუ ჩვენ ჩვენი თავი გვიყვარს, საკუთარი საქციელი მოგვწონს, და ვრჩებით ისეთად როგორებიც ვართ, ჩვენი ცხოვრება აუწერელად ლამაზდება. პატარა საოცრებანი ყველაფერშია.

ჯანმრთელობა უმჯობესდება, ფული თავისით მოდის ჩვენს ხელში, სხვათა მიმართ დამოკიდებულებები თბება და ჩვენ ჩვენს თავს შემოქმედებითი მხრიდან წარვუდგენთ საზოგადოებას.

და ეს ყველაფერი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჩვენის მხრიდან. როდესაც მთელი სულითა და გულით გვიყვარს საკუთარი თავი და პატივისცემას განვიცდით საკუთარი პიროვნების მიმართ ისევე როგორც საკუთარი საქციელი მოგვწონს, მაშინ ჩვენ ჩვენი აზროვნების კეთილშობილ, ამადლებულ განზომილებას ვქმნით.

თუ ჩვენ ჩვენი თავი არ გვიყვარს, ვერც ვერავის ვერ შევიყვარებთ. ჩვენ შეიძლება განვიცდიდეთ სხვათა ურთიერთობების აუცილებლობას, ვცდილობდეთ მათთან დამოკიდებულებების შენარჩუნებას, იდეალურებად წარმოვიდგინოთ ისინი ან რომანტიული ელფერით შევაფერადოთ, ან... გვეცოდებოდეს კიდევ, ჩვენ მაინც ვერ შევიყვარებთ მათ, ვიდრე საკუთარი თავი არ შეგვიყვარდება.

იმისათვის, რომ თქვენს ცხოვრებაში სიყვარული შემოვიდეს, თავად უნდა ისწავლოთ სიყვარული საკუთარი თავის მიმართ. უნდა მიიღოთ საკუთარი თავი იმათ, რაც ხართ.

შეგიყვარდება საკუთარი თავი – შეგიყვარდება სხვებიც. აი მაშინ შეიცვლება თქვენი, ადამიანების მიმართ დამოკიდებულება, ისევე როგორც მათი – შენს მიმართ.

თქვენ მოგეცემათ საშუალება მიიღოთ ადამიანები და საკუთარი თავიც ისეთად როგორებიც არიან ისინი და თვითონ თქვენც.

თქვენ მოგეცემათ უნარი ადამიანთა მთლიანობაში შეფასებისა და ამით, მათი სწორი დანახვის შესაძლებლობა: დაინახავთ მათ მნიშვნელობას, მისწრაფებებს, ეჭვებსა და საზრუნავს.

და დაინახავთ, რომ ადამიანები ყველა ერთიმეორეს ჰგავს, “ყოველი ადამიანი ადამიანისაგანაა შექმნილი” და მაშინ უფრო გაგებით მოეკიდებით მათ საქციელს, რომელსაც ადრე არ დებულხართ.

აი მაშინ გაჩნდებიან თქვენს ცხოვრებაში ადამიანები, მოვლენები და ისეთი დამოკიდებულებანი რომლებზედაც ყოველთვის ოცნებობდით. საჭიროა მხოლოდ მოინდომოთ. მოინდომოთ დანამდვილებით და არა განზოგადებით.

ახალი ხარისხის ურთიერთობანი, უსასრულო ზრდის საშუალებას მოგიტანთ, გაამჟღავნებენ და უვნებელყოფენ ყველა დაფარულ პრობლემას თუ დამთრგუნველ ემოციას.

და თუ თქვენ ურთიერთობებს აკლიათ გახსნილობა, ნდობა, სიახლოვე, კონფლიქტის მოგვარების უნარი, მოსმენის უნარი, გაცემა, ერთმანეთში სიახლის აღმოჩენის უნარი, თუ თქვენ არ გიხარიათ ურთიერთობა, სიცოცხლე, ერთად არ ოცნებობთ და უპირობოთ არა ხართ შეყვარებული, მაშინ თქვენი ურთიერთობა აგებულება ეგოიზმზე, შიშსა და უსაფრთხოების ძიებაზე.



ეგოისტურ ურთიერთობათა ნიშნებია: ეჭვიანობა, პატივისცემისა და ემოციური სიახლოვის უკმარისობა, პარტნიორით მანიპულურება, მშვიდი, მაგრამ უგემური ცხოვრება.

თუ თქვენ მართლა გსურთ ნაზი, ნდობით აღვსილი ახლო ურთიერთობა, მაშინ თქვენ გექნებათ ზუსტად ასეთი მდგომარეობა. ბოლოს და ბოლოს ჩვენ თვითონ ვქმნით ჩვენს რეალობას. ჩვენ ყოველთვის იმას ვღებულობთ რაცა გვსურს.

თუკი ჩვენ გვსურს და მზადა ვართ სურვილის საგნის მიმართ მაშინ მოვისურვოთ. მხოლოდ ჩვენი შიშებისა და ფარული პრობლემების გამო ჩვენ ყოველთვის როდი ვღებულობთ იმას, რაცა გვსურს და რაზედაც ვფიქრობთ.

სცადეთ და გაიაზრეთ ყველაზე ახლო ურთიერთობები თქვენს ცხოვრებაში. მართლაც და ნამდვილ სიყვარულსა და ახლოობაზე არიან ისინი აგებული, თუ მხოლოდ საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის ან თავის გამორჩენისათვის გაქვთ ურთიერთობა?

“ნათესავი სული” ისაა, ვისაც თქვენი საკეტების გასაღებები აქვს ისევე როგორც თქვენ გაქვთ გასაღებები მისი საკეტებისაგან.

როცა ჩვენ იმდენად დაცულად ვგრძნობთ თავს, რომ შეგვიძლიან გავხსნათ ჩვენი საკეტები, მაშინ ჩვენი ნამდვილი “მე” გამოდის ერთმანეთთან ურთიერთობისათვის და მაშინ მთლიანად, მთელი სიწრფელით, ჩვენ ვართ ის, რაც ვართ.

მაშინ ჩვენ ისეთად გუყვარვართ, როგორებიც ვართ, და არა ისეთები როგორებადაც ვცდილობთ წარმოვაჩინოთ ჩვენი თავი.

ყოველი საუკეთესო თვისებებს აღმოაჩენს მეორეში და მიუხედავად ყველაფერი იმისა, რის გამოც თქვენ იტანჯებით, ჩვენ სამოთხეში ვართ იმ ადამიანთან, რომელთა საზოგადოებაშიც ჩვენ სიკეთეს განვიცდით.

“ნათესავი სული” – ეს ის ადამიანია, ვინც ჩვენ სიღრმისეულ მისწრაფებებს იზიარებს, იზიარებს ჩვენი განვითარების მიმართულებას.

თუკი ჩვენ ბუშტივით მუდამ ზეცისაკენ მივისწრაფით, სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენ ერთმანეთში საჭირო ადამიანები ვიპოვეთ.

ნათესავი სული – ეს ისაა, ვისი მადლითაც თქვენ ჭეშმარიტ ცხოვრებას იწყებთ

(რ.ბახი)

თარგმანები **თამაზ თავაძისა**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ღიმილი!!!



გაუღიმეთ ერთმანეთს, გაუღიმეთ საკუთარ ცოლს, გაუღიმეთ საკუთარ ქმარს და საკუთარ შვილებს – რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის უღიმიით – ეს დაგეხმარებათ თქვენ განიმსჭვალათ ადამიანების მიმართ ღიდი სიყვარულით

/დედა ტერეზა/

ვიდრე ღიმილის ამ საოცარ თაიგულს შემოგთავაზებთ, მინდა პირადად ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ, რათა ეგზიუპერის ცხოვრებაში მომხდარ ამბავს მოვაცილოთ ყოველგვარი ეჭვი, – ეგზიუპერი მართალს ამბობს, – ღიმილის ძალა მართლაც ყოველისშემძლეა...

ღიმილის ძალა იმდენად ღიღია და იმდენად უსასრულოა მისი ძლევამოსილება, რომ მე მას სრულიად გაცნობიერებულად ვიყენებ და ვიყენებდი საბედისწერო სიტუაციებში როგორც პირადად ჩემთვის, ასე სარეცელს მიჯაჭვული ადამიანის გადასარჩენად. გადავრჩენილვარ მე ისე, როგორც გადარჩენილა ავადმყოფი რომელსაც გაუღიმა. “ოქროს საწმისის” რუბრიკაში თქვენ შეგიძლიათ გაეცნით ამ ღიმილის ვარჯიშს და დარწმუნდეთ მის ძლევამოსილებაში...

თუ თქვენ საკუთარი თავი და სიცოცხლე გიყვართ, ირწმუნეთ, რომ არსებობს არამხოლოდ მარტივი ჯანმრთელობა, არამედ ღვთაებრივი უკვდავება აქ, ამ დედამიწაზე.

მელეა

ეხლა კი ერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან, როდესაც ჩემი მეუფის, – მაიტრეა ბუდას გააკვეთილი გამოვიყენე, მეტად სავალალო მდგომარეობაში ყოფნის დროს.

მაშინ საქართველოში იდგა დრო, როდესაც

...ყველაფერი მიჰქონდათ
გრიგალებს და ნიაღვრებს.
საქართველო თავის თავს
თავის ხელით მარხავდა
ყველაფერი მორჩა და
ყველაფერი გათავდა.
.....

/ჯანსუღ კორძაია/

აი ასეთ ვითარებაში, საქართველოში პირველად გამოირთო ენგურჰესი და მთელი საქართველო ბნელმა მოიცვა.

...სახლში ვბრუნდებოდი გაწამებული, ასევე გაწამებულ მშიერ ცოლშვილთან, შვილები სულ პაწაწინები მყავდნენ...

მიტოვებული მეტროს მშენებლობის ჩიხში შეუხვებე და კოცონთან მყოფი ახალგაზრდების “ატამანმა” ორ ახალგაზრდას ჩემზე თვალით მიანიშნა...

ამედევნენ.

არაფერი არ შევიძინე. მშვიდად განვაგრძე ჩემი გზა.

ჩემს მღევრებს თვითონ ეშინოდათ და შეშინებული ყოველთვის ცდილობს შენ შეგაშინოს და... ფსიქოლოგიური ზეწოლაც დაიწყო:

...ჩვენ უუახლოვდებით ობიექტს!

...ობიექტმა ნაბიჯს მოუმატა!

...თქვენ ალბათ მიხვდით ამ მონოლოგების დანიშნულებას: მე უნდა გავქცეულიყავი, ან მეყვირა და... მსხვერპლიც მზად იქნებოდა...

მე სრულიად მშვიდად მივდიოდი და უკან არც მომიხედავს. ამით მე უკვე მზად ვიყავი მათდა შესახვედრად და ისე, რომ ისინი ვერც მიმხვდარან, უკვე მზად იყვნენ ჩემთან შესახვედრად იმ გაგებით, რომ მე პატივისცემა აღვძარი მათში ჩემს მიმართ ხსენებული საქციელით.

...მომიახლოვდენ ორივე გვერდიდან.

...წკაპ! გაისმა ღილაკიანი დანების პირების გამოვარდნის ხმა და ორივე გვერდში მომაბჯინეს.

ბიძა ფული გაქვს?

ბიძია სად გინახავს ფულიანი კაცი, ასეთ არეულ დროში ამ ღამით, ქუჩებში დადიოდეს?! ფულიანი ხალხი ბ.ტ.რ-ებით დადიან და ფულსაც ბ.ტ.რ-ებით დაატარებენ. მე კი სახლში ორი მშიერი პაწაწინა მქლოდება.

...(?!)

და ამ დროს გაუღიმე მათ როგორც საკუთარ შვილებს, მშვიდად მაიტრეა ბუდას მსგავსად.

მოხდა ღიმილის ძღვევამოსილების ამუშავება. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასე მოხდა: დანები შევარდნენ ბუდეებში. ერთმა უბის ჯიბიდან ფული ამოიღო და ამ ღამეში რაღაცნაირად გადათვალა. შეიტყო რა თანხის რაოდენობა, ფული გაყო და ნახევარი მომაწოდა: ბიძია მეტი არა მაქვს და ეს ფული წაუღე შენს ცოლშვილსო!

!!!...

დიდება უფალს, რომ ყოველ ადამიანს მკერში გული უბგერს და ჩემმა მამაშვილურად სიყვარულით გაღიმებამ, და არა შიშისაგან ან პირფერობისაგან დაღმეჭამ, ამ ორ ახალგაზრდას გულები გაუხსნა და მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ნებისმიერი ადამიანის გადარჩენა შეიძლება, რა თქმა უნდა თუკი მას იუდას მაგვარი ღალატი არ უდევს გულში. ეს სინამდვილეა ხალხო, – ღიმილი თვით მამაზეციერია, თვით ქრისტე და სული წმინდა ერთდროულად, როგორც ამას აბდულ მესიაში ვკითხულობთ:

“სამება ღმერთი არსით კი ერთი”

შეგახსენებთ: როცა ღიმილის აქ მოყვანილ სასწაულს წაიკითხავთ, ისწავლეთ ნამდვილი ღიმილი – ღმერთი ისე, როგორც “ოქროს საწმისის” ამ რუბრიკაში ამოიკითხავთ.

მრავალს წაგიკითხავთ დე სენტ ეგზიუპერის შესანიშნავი წიგნი “პატარა პრინცი”. თბილისში, ვაკის მრგვალ ბაღში ამ ნაწარმოების ჰიმნი – შადრევანი ადასტურებს რომ საქართველო, თბილისი როგორც სიყვარულის ქალაქი, ყოველთვის გულში იხუტებს სიყვარულის ღმერთკაცებს, ფრანგები იქნებიან ეს თუ ზანგები...

“პატარა პრინცი” მეტად ფაქიზი, ღრმა ნაწარმოები, დიდებისა და პატარებისათვის, აღვიძებდა როგორც ულამაზეს ემოციებს, ასევე ღრმა ფიქრებსა და აზროვნებას. ალბათ მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც იცნობენ მის სხვა ნაწარმოებებს – რომანებს, მოთხრობებს და სხვა...

...სენტ ეგზიუპერი იყო მფრინავიგამანადგურებელი, ებრძოდა ნაცისტებს, და ბრძოლაში დაიღუპა. მეორე მსოფლიო ომამდე ესპანეთის სამოქალაქო ომში იბრძოდა ასევე ფაშისტების წინააღმდეგ. მან მეტად წარმტაცი ისტორია შექმნა იმ წლების შთაბეჭდილებათა საფუძველზე თავის წიგნში სათაურით, – “ღიმილი”. ზუსტად ამ ისტორიაზე მექნება საუბარი. ამ მოთხრობის მიმართ ცნობილი არაა, – იყო თუ არა ეს ავტობიოგრაფიული სინამდვილე თუ ავტორისეული თხზულებაა იგი. მინდა დავიჯერო, რომ ეს ასე მოხდა სინამდვილეში.


იგი ყვება იმას, რომ მტერმა შეიპყრო იგი და ციხის კამერაში ჩაამწყვდიეს. ზიზდიანი მხერის და უხეში მოპყრობის გამო იგი დარწმუნებული იყო, რომ მეორე დღეს დახვრეტდნენ. ამ ადგილიდან მე მოყვები ამ ამბავს ისე როგორც მახსოვს.

“მე დარწმუნებული ვიყავი, რომ დამხვრეტდნენ. სრულ დაბნეულობაში ვიყავი და ძალზედ ვნერვიულობდი. ჯიბეები ამოვიქექე, – სიგარეტის მოძებნის იმედი მქონდა. ვიპოვე ერთი ღერი. ხელები ისე მიკანკალებდა, რომ ძლივს ჩავიდე პირში, მაგრამ არ მქონდა ასანთი, ბადრაგმა წაიღო.

ჩემს მეციხოვნეს რკინის ბადედან გაგხედე. ის არც კი იხედებოდა ჩემსკენ. ბოლოს და ბოლოს ვის უხარიან უკვე გვამად ქცეული საგნის ცქერა. მე მივმართე მას: ხომ არ გექნებათ ასანთი?

შემომხედა, მხრები აიჩეჩა და რკინის ბადესთან მოვიდა ჩემი სიგარეტის მოსაკიდებლად.

როცა მომიხლოვდა და ასანთი ამინთო, მისი თვალები უნებლიეთ შეხვდა ჩემს თვალებს. ამ მომენტში მე გავიღიმე. არ ვიცი რატომ მოვიქეცი ასე. ალბათ ჩემი ნერვიულობის გამო, ან იმის გამო, რომ როცა ახლოს ხართ ერთმანეთთან შეუძლებელია არ გაიღიმო. ასეა თუ ისე მე გავიღიმე. ამ მომენტში ჩვენს გულებს შორის ნაპერწკალმა გაირბინა. მე ვიცოდი რომ მას ეს არ უნდოდა, მაგრამ ჩემი ღიმილი გაძვრა რკინის ბადეში და ბაგეებზე საპასუხო



ღიმილი გამოიწვია. მან მომიკიდა სიგარეტი, მაგრამ არ მომცილებია ერთბაშად, დარჩა ჩემთან, თვალებში მიცქეროდა და მიღიმოდა.

მეც უღიმოდი და უკვე ადამიანად აღვიქვამდი მას და არა მეციხოვნედ.

ბავშვები გყავს? – შემეკითხა.

– კი, კი, აი. ამოვიღე პორტმონე და აკანკალებული ხელებით მივაწოდე ჩემი ოჯახის სურათი.

მანაც ამოიღო თავისი ცოლის ფოტო და მიამბო თუ რა გეგმებზე ფიქრობდა, როცა ბავშვები გაიზრდებოდნენ და... ჩემი თვალები ცრემლებით აივსო. მე უთხარი რომ, ალბათ ვეღარასოდეს ვნახავდი ჩემს ცოლშვილს, და ისიც რომ შანსი არა მაქვს ოდესმე ვნახო გაზრდილი ჩემი შვილები. მის თვალებზეც გაჩნდა ცრემლი.

მოულოდნელად, მან უსიტყვოდ გააღო ციხის კამერა და, ასევე უხმოდ გამომიყვანა კამერიდან. შემდეგ ციხიდანაც გამოვედით და ეზო-ეზო გავიარეთ მთელი ქალაქი.

ქალაქის ბოლოში გამათავისუფლა, უსიტყვოდ შემობრუნდა და ქალაქისაკენ წავიდა...

აი ასე დამიბრუნა სიციცხლე ღიმილმა...

ღიას, ღიმილი, ეს ის ბუნებრივი და დაუგეგმავი გულწრფელი კავშირია ადამიანთა შორის რომელიც ყველას და ყველაფერს აწესრიგებს. მე იმისათვის მოვეყევი ეს ამბავი, რომ დიდი სურვილი მქონდა მეჩვენებინა ადამიანებისათვის ის რომ, როდესაც ჩვენ ჩვენი თავის დასაცავად მოვიშველიებთ ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა ჩვენი ცოდნა, ღირსება, მეცნიერული წოდება თუ საზოგადოებრივი სტატუსი, რათა უკეთესად წარმოვადგინოთ როგორც საკუთარი თავი, ასევე ჩვენი საზოგადოებრივი სტატუსიც ისე, რომ სრული წარმოდგენა შევქმნათ საკუთარ პიროვნებაზე, – ჩვენ ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ყოველივე ამის უკან ჩვენი ჭეშმარიტი “მე” იმალება. მე არ მოვერიდები და ამ “მე”-ს სულს დავარქმევდი. გულწრფელად მწამს, რომ თუკი ამ ნაწილმა, თქვენსა და ჩემში იცვნეს ერთმანეთი, ჩვენ არასოდეს არ გაგხდებით მტრები. ამგვარად ჩვენ არც არასოდეს შეგუძულდება და არც შეგვეშინდება ერთმანეთისა, რა თქმა უნდა, რომ არც შურის დამამცირებელ გრძნობას არ მივაკარებთ ჩვენ ჩვენს გულს. დიდი გულისტკივილით ვადიარებ იმას, რომ ეს დანაღვებები თუ ნიღბები, რომლებსაც ჩვენ ასე ბეჯითად ვიძენთ ცხოვრებაში, გვთიშავენ და გვაშორებენ ერთმანეთისაგან და ამიტომაც ასე გვიჭირს ჭეშმარიტი ურთიერთობა. დე სენტ ეგზიუპერის მიერ მონათხრობი ეს ისტორია, მეტყველებს იმ ღვთაებრივ ურთიერთობაზე, როდესაც ორმა სულმა ერთმანეთში არა მხოლოდ ადამიანები ამოიცივნო, არამედ მათ ერთმანეთში ძმები დაინახეს...



რამდენიმე მსგავსი შემთხვევა მეც განმიცდია. ერთი, როდესაც შეყვარებული ვიყავი. და კიდევ, – როდესაც ვუცქერ ბავშვებს. რატომაა რომ გვეღიმება, როდესაც ჩვენ პატარებს ვუცქერთ? ალბათ იმიტომ, რომ ჩვენს წინაშე არიან უნიღბო, დაუკომპლექსებელი, ამიტომ უღამაზესი არსებანი, რომელთა ჩვენს მიმართ ღიმილი-გამაოგნებლად გულწრფელია და უბოროტო. ასეთი ღიმილი შეუფერხებლად შემოდის ჩვენს გულში და ოცნებებით აღვსილი მომენტალურად ხნის ჩვენს გულს და ადავსებს მას შეხვედრის ბედნიერებით.”

/ჰენოკ მაკარტი/

მოძებნე დრო და წაიკითხე ეს ამბავი...

ბოდიში ზრდილობაა, მაგრამ ჭეშმარიტი ზრდილობა ბოდიშს არ ითხოვს, რამეთუ საბოდიშოს არაფერს აშავებს.

/აღმოსავლური ანდაზა. /

იყო ჭაბუკი რომელსაც ძალზედ მძიმე ხასიათი ჰქონდა. მამამ ლურსმნებით სავსე ტომარა მისცა და დაარიგა, თითო ლურსმანი ჩაეჭედებინა დარბაზის კარებში, თუკი მოთმინებიდან გამოვიდოდა, ან თუ ვინმეს წაეკიდებოდა.

პირველ დღეს 37 ლურსმანი ჩაარჭო მისაღები დარბაზის კარებში.

მომდევნო კვირებში ისწავლა თავის დაჭერა და ჩაჭედებულ ლურსმნებმაც იკლო.

ბოლოს მიხვდა, რომ უმჯობესია თავის დაჭერა, ვიდრე ლურსმნების დაჭედება.

მაშინ მივიდა მამასთან და ეს ამბავი მიახარა.

მამამ უთხრა, – ახლა სხვა ამოცანა შეასრულეო:

”რამდენჯერაც თავს შეიკავებ იმდენი ლურსმანი ამოიღე.”

ბოლოს ის დღეც დადგა, როდესაც ჭაბუკმა ყველა ლურსმანი ამოიღო სასახლის კარებიდან და ესეც მამას მიახარა.

მამამ მიიყვანა იგი კარებთან და უთხრა: ”შვილო შენ კარგად იქცეოდი, მაგრამ შეხედე ამ დაგლეჯილ და გასაცოდავებულ კარებს. ის უკვე ვედარასოდეს ვედარ იქნება ისეთი ბრწყინვალე როგორც უწინ, ვიდრე მას შენ დააზიანებდი. როდესაც შენ ვინმეს ეჩხუბები და არასასიამოვნო სიტყვებს მიახლი, შენ მას ისეთ იარებს უტოვებ, როგორებიც ლურსმნებმა დატოვეს ამ კარებში.

შეგიძლია დანაც კი დაარტყა და ამოიღო კიდეც, მაგრამ ჭრილობას ტოვებ!.. რა მნიშვნელობა აქვს იმას თუ რამდენჯერ მოუხდი ბიდიშს, ჭრილობა რჩება... სიტყვიერი ჭრილობა ისეთივე მტკივნეულია, როგორც ფიზიკური.

მეგობრობა, – განსაკუთრებული განძია! ისინი გეხმარებიან შენ და ღიმილით გადაგატარებენ სიძნელეებს.

ისინი მუდამ მზად არიან მოგისმინონ, მხარი დაგიჭირონ და გული გადაგიშალონ.

შენც დაანახე ის, თუ რარიგად აფასებ მათ.

არ დაივიწყო: ადამიანს დანაც რომ დაარტყა და მერე ამოიღო, **ჭრილობა რჩება!** და რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენჯერ მოიხდი ბოდიშს!.. **ჭრილობა რჩება!..**

იარა მიყენებული ენით, ისევე მტკივნეულია, როგორც ფიზიკური ჭრილობა.

მეგობრები იშვიათი განძია! ისინი ჭირში გაგაღიმებენ და ვარამში კი გაგაძლიერებენ!

ისინი ყოველთვის მზად არიან მოგისმინონ, მხარი დაგიჭირონ და გული გადაგიშალონ.

უჩვენე მეგობრებს, როგორ აფასებ მათ.

და ბოლოს: ნამდვილი მეგობარია ის, ვისაც შეგიძლია გაანდო საიდუმლო.”



/ალესანდრო მანზინი/

რამდენიმე სტრიქონი დაფიქრებისათვის

თუკი შენ ეს წერილი მიიღე ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც ფიქრობს შენზე. შენც ხომ გყავს ისეთი ადამიანები ვიზედაც შენ ფიქრობ.

შენ ისე ხარ დაკავებული, რომ ამ წერილის გაგზავნის დრო არა გაქვს, და იმშვიდებ თავს – მერე გავუგზავნიო...

იქნებ ისეც მოხდეს, რომ ვერც ვერასოდეს გაუგზავნო, ამ დროს კი ვიღაც საჭიროებს ამ წერილს.

წაიკითხე ეს მოკლე შენიშვნები, ისინი კარგი და საკმარისი რჩევებია ცხოვრებისათვის:

– მიეცი იმაზე მეტი ადამიანებს, ვიდრე ისინი ელოდებიან.

– როდესაც ამბობ: “მიყვარხარ!” სთქვი ეს სერიოზულად...

– როდესაც ამბობ “მაპატიე,” თვალეში შეხედე ადამიანს.

– სხვათა ოცნებებით ნუ თამაშობ!

– ძლიერად და მთელი გულით შეიყვარე.

– შეიძლება შეცდე, მაგრამ სხვაგვარად სრული, მოვლენებით გაჯერებული ცხოვრება შეუძლებელია.

– ნუ შეურაცხყოფ ადამიანებს, მათი ნათესავეებით მათზე წარმოდგენებს ნუ შექმნი.

– ილაპარაკე დინჯად, მაგრამ სწრაფად იაზროვნე.

– თუკი ვინმე ისეთ რაიმეს შეგეკითხება, რაზედაც პასუხის გაცემა არ გსურს, გაიღიმე და იკითხე: რისთვის მეკითხები ამას?

– გახსოვდეს დიდი სიყვარული და დიდი წარმატება ასევე დიდ რისკს შეიცავს.

– როცა კარგავ, ან წააგებ, არ დაკარგო ცხოვრებისაგან მოცემული ეს გაკვეთილები.

ეს სამი წესი დაიმახსოვრე:

– საკუთარი თავის პატივისცემა;

– პატივისცემა სხვების მიმართ;

– ყოველი საკუთარი საქციელისა თუ მოქმედების მიმართ პასუხის-მგებლობა.

– არ დაუშვა წვრილმანებისა თუ გაუგებრობის გამო დაირღვეს მეგობრობა; თუკი გრძნობ, რომ შეცდომა დაუშვი, რაც შეიძლება სწრაფად გამოასწორე იგი.

– როცა ტელეფონზე საუბრობ, – გაიღიმე, ის ვინც გირეკავს ამას შენი ხმით მიხვდება.

– სტრიქონებს შუა იკითხე...

– გახსოვდეს, რომ ხშირად, თუ რაიმე საწადელს ვერ მიაღწევ, წარუმატებლობა წარმატებით მოგიბრუნდება.



აიკიდო

ადმოსავლური ორთაბრძოლები
ანუ განსხვავებული გზა

ერთხელ გაზაფხულის წყნარ დილას, სამგზავრო მატარებელი ბორბლების თქარათქურით ტოკიოს გარეუბნებში მიჰქროდა. ჩვენი ვაგონი შედარებით ცარიელი იყო – რამდენიმე დიასახლისი თავიანთი ბავშვებით და ხნიერი ადამიანები, რომლებიც ეტყობა საყიდლებზე გამოსულიყვნენ. სრული გულგრილობით ვიცქირებოდი ფანჯარაში, ჩემს თვალწინ სწრაფად გარბოდნენ გარეუბნის ქოხები და ქოხმახები და მათი გადათელილი ცოცხალი ღობეები.

მომდევნო ბაქანზე კარი გაიღო და მოულოდნელი სიმშვიდე ერთმა მამაკაცმა დაარღვია, რომელიც გაურკვეველად, მაგრამ აშკარად უშვერად იგინებოდა. ჭუჭყიანი, მთვრალი, სამუშაო ტანსაცმელში ჩაცმული ზორბა მამაკაცი, პირდაპირ რომ ვთქვათ, შემოგორდა ვაგონში. რაღაც წამოიძახა და ბავშვიან ქალს დაესხა თავს. დარტყმისაგან ქალი ხანდაზმული ცოლქმრის მუხლებზე დაეცა, ბავშვი სასწაულად გადარჩა.

ცოლქმარი შიშისაგან ვაგონის ბოლოში გაიქცა. მუშამ ქალს წიხლის ზურგში ჩარტყმა დაუპირა, მაგრამ ქალმა დარტყმა აიცილა. ამან ისე განარისხა მთვრალი, რომ რკინის მოაჯირს ავლო ხელი და მოგლეჯა დაუპირა. მის ერთ ხელზე სისხლიანი იარა შევამჩნიე. მატარებელი დაიძრა, ვაგონში მყოფი მგზავრები შიშისაგან გაშემდნენ. ავდექი. მაშინ, ოცი წლის წინათ, მე შესანიშნავ სპორტულ ფორმაში მყოფი ახალგაზრდა კაცი ვიყავი. ბოლო სამი წლის განმავლობაში რეგულარულად რვა საათს ვვარჯიშობდი აიკიდოს – იაპონურ სპორტულ ორთაბრძოლას. მე მომწონდა გდებები და შებოჭვები. ჩემს თავს მაგარ ბიჭად მივიჩნევდი. უბედურება კი იმაში მდგომარეობდა, რომ ჩემი ოსტატობა ნამდვილ ბრძოლაში არ მქონდა გამოცდილი. აიკიდოს მოწაფეებს გვეკრძალებოდა ჩხუბი.

ჩემს მასწავლებელს არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ აიკიდო შერიგების ხელოვნებაა. ის, ვინც ჩხუბი განიზრახა სამყაროსთან არსებული ყველა კავშირი დაარღვია. თუ თქვენ გინდათ ადამიანებზე დომინირება, თქვენ უკვე დამარცხდით. ჩვენ ვსწავლობთ იმას, თუ როგორ განვმუხტოთ კონფლიქტი და არა იმას თუ როგორ შევქმნათ იგი.

მე ვუსმენდი და მჯეროდა ჩემი ოსტატის. მე ძალიან ვცდილობდი შემესრულებინა ჩემი ოსტატის ყოველი დარიგება და ამიტომ ყოველთვის ქუჩის სხვა მხარეს გადავდიოდი, რათა თავი ამერიდებინა მოძველებიჭო აბეზარებისათვის, რომლებიც ბუხებივით ირეოდნენ სადგურებში. ჩემი დათმობის უნარი მახარებდა, მე ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს მარტო ძლიერი კი არა, არამედ წმინდანიც ვიყავი. მაგრამ მაინც ვოცნებობდი იმ ერთადერთ სამართლიან კოფლიქტზე, რომელშიდაც მე სხვასაც დავეხმარებოდი და საკუთარ თავსაც გამოვცდიდი დამნაშავეს ორთაბრძოლაში დასჯით.

– და აჰა, ეს ნანატრი შემთხვევაა! – გავიფიქრე მე და წამოვდექი. ხალხი საფრთხეშია. თუ მე სწრაფად არ ჩავერიე, ვიდაცა დაშავდება.

მთვრალმა დაინახა, რომ წამოვდექი და მთელი თავისი რისხვა ჩემსკენ მოაბრუნა.

აჰა! – იღრიალა მან. უცხოელი! ჩემო კარგო შენ ჯერ იაპონური წესები ისწავლე და მერე ივაჟკაცე...

მე ხელი მოკვიდე ჩემს ზემოთ ხელის საკიდურს და მთვრალს დამამცირებელი მზერა გაუუგზავნე. მე ერთი სული მქონდა მისთვის ჭკუა მესწავლებინა, მაგრამ პირველი ნაბიჯი ხომ

მას უნდა გაეკეთებინა... ამიტომ კიდევ უფრო მეტად გავახელე იგი და დამამცირებელი კოცნა გავუგზავნე.

– აუ რა მაგარია! იღრიალა მან. ახლავე გასწავლი ჭკუას. – იგი უკვე მზად იყო თავს დამსხმოდა.

მაგრამ წამის მეასედი ნაწილებით ადრე, ვიდრე ის ჩემსკენ გამოქანდებოდა, ვიღაცამ დაიძახა “ჰეი!”

ეს იყო გამაყრუებელი შეძახილი. მე მახსენდება რა უცნაური სინარულითა და აღტაცებით იყო აღვსილი ეს შეძახილი – თითქოს ვიღაც შეხვდა იმ ადამიანს, რომელსაც დიდხანს და უიმედოდ ეძებდა:

– ჰეი!

მე გადავიხარე მარცხნივ, მთვრალი მარჯვნივ და ჩვენ ორივე მივაშტერდით ერთ პატარა,

ხანდაზმულ იაპონელს. იგი უკვე კარგა ხნის წინ გასცდა სამოცდაათს: ეს, მორჩილი ტანის ჯენტლმენი, ლამაზად და ღირსეულად იჯდა თავის უნაკლო, თეთრ კიბონოში გამოწყობილი. მე სრულებითაც არავითარ ყურადღებას არ მაქცევდა და მთელი თავისი არსებით ღიმილით მიმართავდა მთვრალს, ისე, თითქოს რაღაც საიდუმლოების გამხელა სურდა მისთვის.

– აბა მოდი აქ, მიმართა მოხუცმა მთვრალს. მოდი ჩემთან, ხელის დაქნევით ანიშნა მან, – დამელაპარაკე.

აბეზარა მისკენ გაემართა ისე თითქოს ვიღაც უხილავი ბაწრით ექაჩებოდა მას. მივიდა, დადგა მოხუცის წინ, გამომწვევად გაჯგვიმა ფეხები. მისი ყვირილი ბორბლების თქარათქურსაც კი ახშობდა.

– რატომ უნდა დაგელაპარაკო? მთვრალი უკვე ზურვით იდგა ჩემსკენ. თუკი მისი იდაყვი თუნდაც ერთი მილიმეტრით მაინც გაიტოკებს, მე მას მწარე გაკვეთილს ჩავუტარებ, – ვფიქრობდი მე. ამ დროს კი მოხუცი მთელი გულით უღიმოდა მას.

– რა დალიე? – იკითხა მან და თვალებში გულწრფელი ინტერესი აენტო.

– საკე დავლიე, – ამოიღრინა მან, – და ეს შენ სულაც არ გეხება!

– ო, ეს ძალიან კარგია, – უპასუხა მოხუცმა – მართლაც რომ შესანიშნავია! იცი რა, მეც ძალიან მიყვარს საკე. ყოველ საღამოს მე და ჩემი ცოლი, – იგი სამოცდათექვსმეტი წლისაა, – ვათბობთ საკეს პატარა ბოთლს, მიგვაქს ბაღში და გრძელ სკამზე ჩამოვჯდებით ხოლმე. ჩვენ მზის ჩასვლას ველოდებით და ჩვენს ხურმას ვუმზერთ. ეს ხე ჯერ ჩემი ბაბუის მამას დაურგავს და ვშიშობდით იმას, თუ როგორ გამოიზამთრებდა გასულ სუსხიან ზამთარს. მაგრამ ჩვენმა ხემ ძალიანაც კარგად გადაიტანა ზამთარი მიუხედავად ჩვენი მწირი ნიადაგისა. ძალიან სასიამოვნოა აკვირდებოდე მას, როცა ჩვენ საკეც გვაქს მოტანილი ბაღში და დიდი სიამოვნებით ვატარებთ დროს, გინდაც რომ წვიმდეს!

მოხუცმა შეხედა მუშას მის თვალებში ჭკვიანური სინათლე ციმციმებდა. მთვრალი ცდილობდა მოხუცის საუბარი გაეგო ამიტომ მისი სახე წყნარდებოდა, მუშტები ეშლებოდა...

– კი, უპასუხა მან მოხუცს. ხურმა მეც მიყვარს. მისი ხმა დაწყნარდა.

– მესმის, – თქვა მოხუცმა, – მე დარწმუნებული ვარ შენ კარგი ცოლი გეყოლება.

– არა, – იყო პასუხი. – ჩემი ცოლი გარდაიცვალა. მატარებელთან ერთად ნელა ირხეოდა ეს ახმახი ადამიანი და იგი უეცრად აქვითინდა. მე ცოლი არა მყავს, სახლიც არა მაქვს, და არც სამუშაო არა მაქვს. მე ისე მრცხვენია ჩემი თავის... მის ლოყებზე ცრემლები გადმოვარდა, სასოწარკვეთილებისაგან ეს უზარმაზარი მამაკაცი დაიგრიხა.



მედეა

მე ამ დროს ვიდექი ჩემი გაკრიალებული უბიწობით, ჩემგანვე ჩემთვის მონაჩმახი სიმართლით და იმაზე მეტად ბინძურად ვგრძნობდი საკუთარ თავს, ვიდრე ის კაცი იყო ჭუჭყიანი...



...მატარებელი ჩემს გაჩერებასთან მივიდა. სანამ კარები გაიღებოდა მე მესმოდა მოხუცის მშვიდი დარიგება: კი – ამბობდა იგი – შენ მართლაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილხარ. ჩამოჯექი და ყველაფერი მომიყევი.

საბოლოოდ მოვიხედე უკან რათა კიდევ ერთხელ დამენახა ჩემი თანამგზავრები... მუშა ჩამოჯდა სკამზე, თავი მოხუცის მუხლებში ჩარგო და მწარედ ტიროდა. მოხუცი სიყვარულით ეფერებოდა მის ჭუჭყიან, დაუვარცხნელ თავს.

როცა მატარებელი წავიდა, სადგურის სკამზე ჩამოვჯექი ღრმად ჩაფიქრებული მომხდარის გამო. ის რისი მიღწევაც მუშტებით მეწადა, კეთილმა ღიმილმა და სიტყვებმა გააკეთეს. მე თვალნათლივ დავინახე აიკიდო უშუალო ბრძოლის ველზე და ისიც დავინახე, რომ მისი არსი მართლაც რომ სიყვარული ყოფილა. ამიერიდან, ბრძოლის ამ ხელოვნებას მე სულ სხვა კუთხით უნდა მივუდგე. ალბათ დიდი დრო დამჭირდება ვიდრე მე კონფლიქტების სიტყვით გადაჭრას ვისწავლი...

ტერტი დობსონი

ისევ სიყვარულზე



რჩევები და ვარჯიშები.

დაწერეთ, რა თვისებათა გამო შეგიძლიათ განიცადოთ საკუთარი თავისადმი პატივისცემა. გულწრფელად აღიარეთ, რომ უმაღლესი ადამიანური თვისებები ჯერ კიდევ მრავლადა გაქვთ შესაძენი, ან ფლობთ კი საერთოდ მაღალ, ადამიანურ ზნეობას?! მაგრამ თუ ფლობთ, ალბათ არც ისე სრულყოფილად. რასაც უკვე დაეუფლეთ და რაც თქვენი, როგორც ადამიანის, სულიერ სილამაზესა და ღირებულებას წარმოადგენს, ყოველივე ამის გამო მიეცით თავს უფლება გაიხაროთ, მხოლოდ ნუ იამაყებთ. სიამაყე შეურაცხყოფელია ადამიანისათვის და სიხარული კი ღამაზი, კუთვნილი გრძნობაა თქვენთვის, ამიტომ გაიხარეთ თქვენი სულიერი, ადამიანური ღირსებებით. იმაზეც დაფიქრდით, თუ რატომ უყვარხართ სხვებს, ან კიდევ რა თვისებათა გამო გახდებით უფრო საყვარელი? ეცადეთ ეს თვისებებიც განამტკიცოთ თქვენში და თუ ჯერ არა გაქვთ, – შეიძინეთ.

* * *

იქნებ თქვენ ისეთი რაღაც შეგიძინებიათ საკუთარი თავის მიმართ, რისთვისაც თქვენ უხერხულობას განიცდით? რა თვისებაა იგი? როგორ შეიცვლებოდა თქვენი ცხოვრება თუკი

მელეა

ამ და სხვა უარყოფით თვისებებს დაეთხოვებოდით? თქვენ ხომ მართლაც გაიხარებდით მათი მოცილებით და საკუთარი თავის მიმართ პატივისცემაც გაგეზრდებოდათ?

* * *

როგორ შეიძლება შეიცვალოს თქვენი მანერები? რა შეიძლება რომ შეიცვალოს თქვენს ცხოვრებისადმი, მეგობრებსა და ახლობლებისადმი დამოკიდებულებაში? რა შეიცვლებოდა ამით თქვენს ცხოვრებაში?

* * *

ღრმად ჩაისუნთქეთ და გამოსუნთქვისას ჰაერს გამოაყოლეთ ყველაფერი რაც არ მოგწონთ, გონებაში ნათქვამი ასეთი სიტყვებით: “მე მინდა თავისუფლება და მე ვთავისუფლდები ყოველი დაძაბულობისაგან, შიშისაგან, ყოველი დაძველებული შეხედულებებისაგან. მე ვგრძნობ თავისუფლებას. მე შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს საკუთარ თავთან, ცხოვრებასთან. მე ყველანაირად დაცულად ვგრძნობ საკუთარ თავს.

* * *

გაიმეორეთ ეს ვარჯიშები სამჯერ. როდესაც თქვენ იგრძნობთ, რომ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდით, გაიმეორეთ ფრაზები გამოსუნთქვისას და ამოაყოლეთ ჰაერს ყოველგვარი ნეგატიური გრძნობა.

* * *

და მაშინ ეს ფრაზები თქვენი განუყოფელი ნაწილი გახდება და იმდენად ბუნებრივად შექმნება მოიცდით ყოველი დაძაბულობა, რომ ყოველდღიური ბრძოლა და უსიამოვნება ნელ-ნელა გაქრება თქვენი ცხოვრებიდან.

* * *

აღწერეთ ამ წუთისათვის არსებული თქვენი ცხოვრება: რითი ხართ დაკავებული, სად ცხოვრობთ, რა ადამიანები ცხოვრობენ თქვენს ირგვლივ? თქვენი ცხოვრება უკეთესდება თუ რატომღაც მძიმდება?

* * *

უწყობს თუ არა ხელს თქვენი პირადი ცხოვრება თქვენს პიროვნულ ზრდას? თუ თქვენ თქვენი ცხოვრების გზაზე განიცდით ბედნიერებას, – ეს გულით ცხოვრების გზაა, თუ არა და მაშინ თქვენი ცხოვრება უგულოა.

* * *

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხანდაზმული ბრძენი და გულკეთილი ადამიანი ბრძანდებით. მაშინ მიეცით საკუთარ თავს კეთილი რჩევები იმაზე, თუ როგორ განვლოთ თქვენი ცხოვრება ღამაზად.

* * *

იქნებ ზედმეტად მეტ დროს უთმობთ ერთ საქმეს და მეორეს კი ცოტას? იგრძენით და წარმოიდგინეთ ისეთი უმტკივნეულო და კეთილი ცვლილებები, რომელთა შემგვობითაც მიატოვებთ იმ გზას, რომელიც უგულობის გზა ყოფილა.

მედეა

* * *

საკუთარი თავისადმი ამგვარი დამოკიდებულებით თქვენ დარწმუნდებით, რომ თქვენ საუკეთესო მეგობარი ყოფილხართ საკუთარი თავისათვის და შეგიძლიათ სინათლის შემოტანა, როგორც საკუთარ, ისე სხვა ადამიანთა ცხოვრებაში ისე რომ ყველგან და ყოველი ადამიანის მიმართ გრძნობდეთ ადამიანურ სიბოძასა და სიყვარულს.

* * *

თუ თქვენ გარემოცვის მიმართ პრობლემები გაქვთ: პარტნიორთან, ბავშვთან, ან კოლეგებთან სამსახურში, ვიდრე ურთიერთობას გაარკვევდეთ, დაგეგმეთ მათთან საუბარი თქვენი დიდი “მე” – ს სიმაღლეებიდან, ანუ სიყვარულის სიმაღლეებიდან.

* * *

მოეშვით, შედით სიტუაციაში იქ და იმავე წუთში, აამოქმედეთ ყველა თქვენი გრძნობა და ჩაისუნთქეთ კაშკაშა თეთრი სინათლე.

* * *

თვითონ ამ თეთრ სინათლეთ გადაიქცევით. ამით თქვენ თქვენი დიდი “მე” – გახდებით. ყურადღებით განიხილეთ ის პრობლემა, რომელიც თქვენ თვითონ შექმენით თქვენი საქციელის გამო.

* * *

ეხლა კი თქვენ უკვე ნათლად ხედავთ თქვენი პრობლემის ყოველ ნიუანსს და მიხვდებით რეტომ მოიხილეთ საკონფლიქტო სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში.

* * *

წარმოიდგინეთ კონფლიქტში მონაწილე ის, სხვა ადამიანი, რომელიც ამ წუთში გაიხლოვდება თქვენ. ყურადღება მიაქციეთ იმას თუ როგორ შედიხართ მასთან ურთიერთობაში.

* * *

თქვენს უმაღლეს “მე”-ს, სხვა ადამიანთა ასევე უმაღლეს “მე”-ს თან ურთიერთობის უნარი გააჩნია. ამ კავშირის გამოყენება დაუსწრებლადაც შეიძლება, – დიალოგი შესდგება და შედეგს თქვენ მოგვიანებით რეალური ურთიერთობისას დაინახავთ, – რადგან გულები, ანუ დიდი “მე” – ყოველთვის ურთიერთობაში არიან და მუდმივ კავშირში იმყოფებიან, – ვიცით ჩვენ ეს თუ არა სულ ერთია, ამიტომ მიუტევეთ შეცდომა და ბოდიშიც მოუხადეთ მას და თქვენ იგრძნობთ შვებას ისე, თითქოს მუდამ ნორმალური ურთიერთობა გქონდათ მასთან.

* * *

ყურადღებით მოუსმინეთ ადამიანს, ჩაწვდით იმას, თუ რას გეუბნებათ იგი თქვენ. გაუგზავნეთ მას სიყვარული და უსურვეთ მას სწრაფი შედეგები. ამგვარი, დაუსწრებელი სულიერი ურთიერთობებით წესრიგდება, თუნდაც ხანგრძლივი კონფლიქტები.

* * *

მედეა

თუკი თქვენი ურთიერთობები ისეთ ზღვარს აღწევს, როდესაც უკვე თქვენი აზრით ურთიერთობებს ვეღარ გამოასწორებთ, დაფიქრდით რა თვისება გაკლიათ თქვენ რათა აპატიოთ ადამიანს და გაანთავისუფლოთ იგი კონფლიქტის ზეწოლისაგან.

* * *

როგორც წინა ვარჯიშისას ღრმად მოეშვით. შეეცადეთ ჩაწვდეთ იმას, თუ რატომ არ გინდათ შეცვალოთ ურთიერთობა, როგორი წნეხით მოქმედებს მასზე თქვენი ხასიათის გარკვეული თვისებები და დაინახეთ მისი საქციელი, როგორც ამ თქვენი ხასიათის თვისებების მიმართ მისი ნეგატიური რეაქცია.

* * *

ამის შემდეგ განაცხადეთ თქვენი გადაწყვეტილება ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ და როდესაც სრულ მზადყოფნაში იქნებით, ის მეორე, თქვენს ცხოვრებაში თქვენთან პირისპირ აღმოჩნდება. გადაეხვიეთ მას, მადლობა გადაუხადეთ ცხოვრების გაკვეთილებისათვის და უთხარით: “მიყვარხარ და გათავისუფლებ ჩემგან. მიყვარს საკუთარი თავი და მივდივარ შენგან”.

* * *

გაწყვეტეთ უხილავი ძაფი მზისწნულის დონეზე და გაშორდით მას ისე, რომ უკან აღარც კი მოიხელოთ.

* * *

თუ ამ ვარჯიშთა შესრულების შედეგად თქვენ მაინც ვერ გამოიტანთ გაკვეთილს, რომელიც შესაბამისი სიტუაციიდან უნდა გამოგეტანათ, მაშინ ისარგებლეთ ხერხით რომელსაც ინტუიტიური პასუხი ჰქვია.

* * *

ამ ხერხის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ მედიტაციის მდგომარეობაში, ანუ ღრმა დაფიქრების მდგომარეობაში შედიხართ და სიტუაციისდა შესაბამისად დასვამთ შეკითხვას. ამის შემდეგ მოდიან პასუხები და თქვენ იწერთ თქვენს ყველა აზრს რომელიც თქვენს გონებაში იბადება, მხოლოდ უაღრესად გულწრფელად.

* * *

ამის შემდეგ განიხილეთ და გაიაზრეთ ყველაფერი ის, რაც ჩაწერეთ და თქვენ გექნებათ საშუალება ღრმად გაიაზროთ მედიტაციაში მოსული ფრაზები, სიტყვები, აზრები და სიმბოლოები.

* * *

სავსებით შესაძლებელია, რომ უკვე პირველივე მედიტაცია მოგიტანთ შედეგს, ყოველ შემთხვევაში გარკვეული დროის შემდეგ თქვენ მიხვდებით ყველაფერს.

* * *



ყოველმა ადამიანმა თვითონ იცის, თუ რა ცოდნა სჭირდება მას იმისათვის რომ ეწოდეს მისაღებ, კმაყოფილებით აღვსილ, ბედნიერ და ეფექტურ ცხოვრებას.

* * *

ეხლავე, ამავე წუთში გაქვთ ამის განხორციელების უნარი და ირწმუნეთ საკუთარი თავი. საქმე მხოლოდ რწმენაშია, რადგან ურწმუნობა გვბოჭავს, გვკეტავს და არ გვაძლევს მოქმედების საშუალებას...

* * *

მნიშვნელობა არა აქვს იცით ეს თუ არა, მაგრამ ყველაფერი უკვე აქვეა, ეხლავე და ამ წუთში. ყველაფერი ის რაც ხდება, მომხდარა და მომავალში თქვენს ცხოვრებაზე ზეგავლენის უნარიანია – ამ წუთში აქ, თქვენს ხელთაა და ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

* * *

ხატოვნად რომ ვთქვათ, არსებობს აზროვნების მიმდინარეობა, რომელიც არასდროს არ ჩერდება და აზრთა ნაკადი მუდამ არსებობს – მართალია იგი პოტენციურია, მაგრამ მაინც სრულია და რეალური.

* * *

თუკი ჩვენ ჩავუღრმავდებით აზროვნების ამ ნაკადს, მაშინ ყოველი პასუხი, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება, ამ აზრთა დინებაშია და იქვე გვეძლევა ჩვენ.

* * *

თქვენ ვერ შეძლებთ მოიგონოთ ისეთი კითხვა, რომლის პასუხიც არ არსებობს.

* * *

ყოველი დილა ამ რჩევებით შეგიძლიათ დაიწყოთ ისე, როგორც პატარა რიტუალი, რათა გაეხსნათ საკუთარ სულს. შეგიძლიათ აანთოთ სანთელიც, დაწვათ ნეტარსურნელებაც, ან ხელში დაიჭიროთ თქვენი საყვარელი კრისტალი. მისაღებ ღოცვად შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი სიტყვები: “მე ამ დილით შესანიშნავი განწყობით გავიღვიძე, მტკიცედ მახსოვს ის თუ ვინა ვარ, კარგად ვიცი ისიც, რომ მე თვით სიყვარული და სინათლე ვარ.”

* * *

ამ დღეს, მე ჩემი სულიერი დიდი “მე“-ს ამაღლებას ვუძღვნი და მსურს კავშირში შევიდე უზენაეს სულთან რათა ურთიერთობა დავამყარო მასთან, რამეთუ დღევანდელი დღის სიყვარულსა და სიხარულში გატარება მსურს .

მედეა

* * *

თქვენ შეგიძლიათ ამოიწეროთ სიბრძნისა და სიცოცხლის განმამტკიცებელი გამონათქვამები და თითო გამონათქვამით ყოველ დღით შთააგონოთ საკუთარი თავი, რაც მთელი დღის განწყობასა და წარმატებას უზრუნველყოფს. მაგალითად ასეთი გამონათქვამი: "თუ ჩვენ ჩვენი თავი ღირსებების გამო გვიყვარს, მაშინ ჩვენი ცხოვრება წარმატებული გახდება."

* * *

ჩვენ მიმდინარე მომენტში ცხოვრება უნდა ვისწავლოთ.

* * *

საკუთარი თავის მიმართ რწმენა, სასიკეთოდ მიმართულ საკუთარ საქციელთა გამართლება, – ეს უკვე საკუთარ ამადლებულ გარდაქმნათა ხანგრძლივი პროცესის გარანტიაა.

* * *

სიცოცხლე ფრიად მარტივი მოვლენაა: რასაც გავცემთ, იმასვე ვღებულობთ.

* * *

მე მოწესრიგებული ვარ, მიყვარს საკუთარი თავი. ეს დღე ყველაზე ბედნიერია ჩემს ცხოვრებაში. რისი გაგებაც მსურს – აუცილებლად გავიგებ.

* * *

არც ერთი სურვილი არ გვეძლევა ჩვენ, მისი განხორციელებისათვის საჭირო ძალის გარეშე.

* * *

იმისათვის, რომ რაღაც სიახლე მოვიზიდოთ ჩვენს ცხოვრებაში, წარმოვიდგინოთ, რომ ის უკვე მოხდა.

* * *

ყოველი ჩვენთაგანი დაჯილდოვებულია იმ ძალაუფლებით, რომლის მეშვეობითაც ჩვენ თვითონ დავადგებით ჯანმრთელობისა თუ სნეულების გზას, ვღებულობთ სიმდიდრეს თუ სიღარიბეს, თავისუფლდებით თუ მონობას. ყოველივე ამის არჩევანს ჩვენ თვითონ ვაკეთებთ და არავინ სხვა.

* * *

არ არსებობენ ისეთი პრობლემები, რომლებსაც სიკეთე არ მოჰყვება, რადგან პრობლემებში, თუკი მათ დავძლევეთ, ის ნობათია ჩადებული, რომელიც ჩვენთვისაა განკუთვნილი.

* * *

მედეა

ყოველი მნიშვნელოვანი საგანი შექმნილია სიხარულისა და ჭეშმარიტებისაგან, და არა მინისა და თექასაგან.

* * *

ყოველი ადამიანი და ყოველი მოვლენა იმიტომ ჩნდება თქვენს ცხოვრებაში, რომ ისინი თქვენთვის მიიზიდეთ. რას მოიმოქმედებთ მათ მიმართ, ან რა დამოკიდებულებას გამოავლენთ, ეს თქვენი გადასაწყვეტია.

* * *

თუ გსურთ ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრება, შეწირეთ მას თქვენი მოწყენილობა.

* * *

და ბოლოს, მუდამ გახსოვდეს ბრძენთა გამონათქვამი: სიყვარული ყვავილია, – თუკი მან შენში გაიხარა – იგი სხვას უნდა გაუზიარო და გასცე უხვად, რაც მეტს გასცემ, მით უფრო მეტი ყვავილი აღმოცენდება შენს გულში.

* * *

თუ გაცემას გააგრძელებ, დადგება ჟამი, როდესაც სიყვარულის უშრეტ, უსასრულო წყაროდ გადაიქცევი.

(გამოყენებულია ცნობილ ადამიანთა აზრები და გამონათქვამები.)

/ალბერტ რომანოვი/

სიყვარულის 10 საიდუმლოება

საიდუმლოება მეორე – პატივისცემის ძალა

(დასაწყისი წინა ნომერში)

ახალგაზრდა კაცის სიაში მეორე, ქალბატონი მილლი ჰოპკინსი იყო. დოქტორი ჰოპკინსი ქალაქის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი გახლდათ, უნივერსიტეტის ისტორიაში პირველი ქალბატონი პროფესორი. როგორც პედაგოგი იგი კარგი სახელით იყო ცნობილი და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა როგორც სტუდენტებში, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს შორის.

მისი ხმის ინტონაციით იოლი მისახვედრი იყო, რომ მას გაუხარდა ახალგაზრდა კაცთან მომავალი შეხვედრა. მან მტკიცედ მოითხოვა მეორე დღესვე შეხვედრა თუნდაც მოკლე დროით. შეხვედრა დაითქვა ხუთი საათისათვის უნივერსიტეტის შენობაში, უშუალოდ ქალბატონ ჰოპკინსის კაბინეტში.

მიუხედავად თავისი 64 წლის ასაკისა, იგი პირველკურსელი სტუდენტი გოგონას ენთუზიაზმსა და ენერჯიას აფრქვევდა. როდესაც ახალგაზრდა კაცმა ჩინელი ახსენა, ქალბატონის ხმაში აღელვება და ენერჯიულობა გამოჩნდა.

იგი ტანმორჩილი, განიერი თეძოებით, კარგად შეკრული ქალბატონი გახლდათ. მოხდენილად ეცვა კლასიკური მუქი ღურჯი კოსტუმი, თეთრი ბლუზკით რაც მას ელეგანტურობას ანიჭებდა. ოქროსფრად მოელვარე წაბლისფერი თმები მხრებამდე ჰქონდა ჩამოშლილი, რომელიც მოხდენილად იყო დამაგრებული კეფახე ლამაზი სამაგრიტ. მართალია სახეზე უკვე ნაოჭები ეტყობოდა, მაგრამ გულითადი და მეგობრული გამომეტყველება ჰქონდა.

– მე ოცი წლის წინ შევხვდი მოხუც ჩინელს – მიუგო მან ახალგაზრდა კაცს, – მაშინ მე სულ სხვა ადამიანი... მოხეტიალე ნარკომანი ვიყავი.

გაოცებისაგან ახალგაზრდა კაცს ყბა ჩამოუვარდა.

– თქვენ ალბათ ხუმრობთ, არა? – ნერვიულად იკითხა მან.

– არა უპასუხა ქალბატონმა ყოველგვარი დარცხვენისა და გაწითლების გარეშე. საავადმყოფოში მე ხშირად ვარ ნამყოფი ნარკოტიკების ზედმეტი დოზით მიღების გამო. შემდეგ მე ქუჩა მელოდებოდა და ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა.

– ერთხელაც საავადმყოფოს საწოლში გამეღვიძა კუჭის ამორეცხვის შემდეგ და ჩემს გვერდში იჯდა ექიმი. მას ჩემი ხელი ეჭირა. კეთილი სათნო სახე ჰქონდა და გულწრფელი სიყვარულით მესაუბრებოდა. იგი პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ჩემს მიმართ ინტერესი გამოიჩინა და ჩემში პიროვნება დაინახა. ამდენი წლის შემდეგ, ვიღაც პირისპირ მესაუბრებოდა როგორც ადამიანს, ამიტომ ვერასოდეს დავივიწყებ იმ მოხუც ჩინელს.

– ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ. მე მას ყველაფერი ვუამბე – ჩემი ოჯახის შესახებ, ჩემს ბავშვობაზე, ჩემს ქუჩის ქალობაზე, აბსოლუტურად ყველაფერზე და იცით, უბრალოდ ყველაფერ ამაზე საუბარმა უკეთესად გამხადა. მან მითხრა, რომ ჰყავს მეგობრები, რომლებიც მე დამეხმარებიან. მან მათი სახელები და ტელეფონის ნომრები მომცა და მე შევხვდი ყოველ მათგანს. დიდება უფალს რომ შევხვდი, რადგან მათ მასწავლეს მე ის, თუ როგორ შეიძლება ცხოვრების ხელახალი აშენება.

– თქვენ ჭეშმარიტი სიყვარულის საიდუმლოებებს გულისხმობთ? – იკითხა ახალგაზრდა კაცმა.

– დიახ. მე შევიტყვე ის ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც ჩემს ცხოვრებას სიყვარული აკლდა. მე არ მიყვარდა საკუთარი თავი. აი რატომ იყო ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი ჭეშმარიტი სიყვარულის მეორე საიდუმლოება... პატივისცემის ძალა.

– იცით რა? მე არავის და არაფერს პატივს არ ვცემდი და თუ პატივს არა სცემ, მაშინ არ გიყვარს. თუ კი გინდა ვიღაც ან რაღაც შეიყვარო, ჯერ პატივისცემა უნდა ისწავლო. უპირველესად ყოვლისა კი ჯერ საკუთარ თავს უნდა სცე პატივი. თუ საკუთარ თავს პატივს არა სცემ, ვერც საკუთარ თავს შეიყვარებ და თუ საკუთარი თავი არ გიყვარს, სხვისი სიყვარული ძალიან ძნელია. ჩვენ ხომ მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ ბედნიერებას როდესაც ვხედავთ ჩვენს მიმართ პატივისცემას, ასე არაა? – იკითხა ქალბატონმა მილლიმ და თვითონვე უპასუხა თავისსავე კითხვას. – ჩვენ ყოველთვის როდი ვართ თანმიმდევრულად პრინციპულნი, განა ჩვენ არ გამოვთქვავთ პროტესტს და აღშფოთებას თუ კი სხვისგან უპატივცემულობას ვგრძნობთ? რათქმაუნდა, მაგრამ საკუთარი სულის სიღრმეში რომ ჩავიხედოთ, განა საკუთარი თავის პატივისცემა მართლა გაგვაჩნია? თუ ეს ასეა, მაშინ საიდან საკუთარი თავის მიმართ ამდენი შეურაცხმყოფელი საქციელი? დიახ, ჯერ საკუთარ თავს უნდა სცემდე პატივს და მაშინ შეიყვარებ სხვას.

ახალგაზრდამ რაღაც ჩაინიშნა, მილლი კი განაგრძობდა:

– და აი ამაში იყო ჩემი მთავარი პრობლემა. მე არ მიყვარდა საკუთარი თავი და არც პატივისცემას ვგრძნობდი საკუთარი თავის მიმართ.

– კი მაგრამ, რატომ?

– ვფიქრობ რომ ამის მიზეზი ჩემს ბავშვობაშია, – აუხსნა ქალბატონმა. მე უკანონო შვილი ვიყავი. მე სამი წლის ვიყავი, როდესაც დედაჩემი გათხოვდა. დედას ყოველთვის რცხვენოდა ჩემი და მამინაცვალს ჩემგან უცნობი მიზეზების გამო, აშკარად ვძულდი. მახსოვს ექვსი წლისა ვიყავი, როდესაც დედაჩემმა ჩემს დებს მოხვია ხელები და მეც მივირბინე რათა მეც ჩავხუტებოდი დედას და... უხეში მუჯღუგუნისაგან წავიქეცი, - ეს ჩემი მამინაცვალი იყო. ვერასოდეს დავიფიქვებ მის სიძულვილისაგან დაღმეჭილ სახეს, როდესაც ამბობდა: „შე გონჯო, მახინჯო ეგ ეხლა ჩემი გოგონების დედა...“

– და დედათქვენმა რა უპასუხა? – იკითხა ადელევებულმა ახალგაზრდა კაცმა. – იგი ძალით იჯერებდა ამ დაუჯერებელ სიმახინჯეს.

ახსოვს უტურად არაფერი. მან ყურადღებაც არ მომაქცია და ჩემი დებით ისე იყო გართული, რომ თითქოს მე საერთოდ არც კი ვარსებობდი. მართლაც ხომ ძნელი დასაჯერებელია ასეთი სასტიკი მშობლების არსებობა?

მაგრამ გარწმუნებთ, რომ მე მინახავს ისეთი ადამიანები, რომლებსაც მშობლები უფრო მეტი სისასტიკით ექცეოდნენ, ვიდრე მე. არ ვიტყვი რომ მე ხშირად მცემდნენ, მაგრამ სამაგიეროდ მე საერთოდ არც სიყვარული და არც აღერსი მერგო... ასეა თუ ისე, ჩემი საკუთარი მშობლები არ მაქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას და ნელ-ნელა სრულიად გარიყული დავრჩი. თავს მოკვეთილად ვგრძნობდი, არავის ვუყვარდი და სიცოცხლევ შემძულდა და იცით, ეს ალბათ ძალზედ გავრცელებული პრობლემაა: ძალზედ ბევრ ადამიანს არა აქვს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა. მათ არ მოსწონთ საკუთარი გარეგნობა, ხმა ან ინტელექტი და ამიტომ, მათ საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა არ უჩნდებათ, სხვებთან შედარებით თავს



არასრულფასოვნად თვლიან. აი რატომ იყო საჭირო, რომ მე საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა მესწავლა და თავი შემეყვარა ვიდრე სხვა ვინმეს სიყვარულს დავიმსახურებდი.

მაგრამ საკუთარი თავის მიმართ სიყვარული როგორ შექმელით? – კვლავ იკითხა ახალგაზრდამ. – არა მგონია ეს იოლი იყოს.

ქალბატონმა მიღღიმა გაიღიმა.

– მართალი ბრძანდებით. ეს ყოველთვის იოლი შესასრულებელი როდია, მაგრამ შესაძლებელია. უნდა მიიღო საკუთარი თავი და დააფასო იგი იმისდა მიუხედავად თუ რას ლაპარაკობენ ან რა შეხედულებები აქვთ სხვებს თქვენზე. უნდა გავაცნობიეროთ ის უბრალო ფაქტი, რომ ყველას თავისი ადგილი უჭირავს ამ ცხოვრებაში, რომ ყოველი ადამიანი უნიკალურია და განუმეორებელი. მაგალითად, თქვენ შესანიშნავად იცით, რომ არავინ ყოფილა თქვენნაირი და არც არასოდეს იქნება მომავალში. მხოლოდ ამისათვის შეიძლება რომ დააფასოთ ადამიანი - მდიდარი იქნება ის თუ ღარიბი, ზანგი თუ თეთრი, ქალი თუ კაცი – ყველა დასაფასებელია. მაგალითად იუდაიზმში ცნობილია ერთი ასეთი ანდაზა: „ის ვინც ერთ სულს გადაარჩენს, მთელს ქვეყანას გადაარჩენს“-ო, ეს იმას ნიშნავს რომ ყოველი ადამიანი ფასდაუდებელია, კანის ფერის, რჯულის თუ ეროვნების მიუხედავად. ყოველ ადამიანს აქვს უფლება სიცოცხლისა და კიდევ ერთი, - არასოდეს დაუყენებია ბედნიერებას ადამიანი ისეთ სიმაღლეზე, რომ იგი სხვა ადამიანთა საჭიროებას არ განიცდიდეს.

– ყველაფერი ეს კარგად უღერს თეორიულად, მაგრამ ცხოვრებაში სულ სხვაგვარად ხდება, – თქვა ახალგაზრდა კაცმა.

– რატომ უნდა, რომ ასე თქვენ ყველაფრის მიმართ იქნებით მართალი, -თავის მხრივ უპასუხა მიღღიმა. – მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ეს საერთოდ შეუძლებელია და თუკი მე ჩემს მდგომარეობაში ეს მოვახერხე, დარწმუნებული ვარ ყველა შესძლებს იგივეს. საჭიროა მხოლოდ მოძებნოთ ხასიათის თვისება რომელსაც საკუთარ თავში და სხვებში აფასებთ და პატივს სცემთ. მაგალითად ისეთი თვისება როგორცაა სიკეთე: ყველაფრის წინაშე გაძლებს ადამიანი, ქედს არ მოიხრის და არ დაემორჩილება არავის და არაფერს, მაგრამ ყველანი ერთად მაინც ვემორჩილებით სიკეთეს.

ვერ გავიგე, რა გინდათ რომ სთქვათ? – იკითხა ახალგაზრდამ.

იცით რაშია საქმე, ჩვენი ტვინი საოცარი მანქანაა და დღესაც კი მედიცინისა და მეცნიერების წარმატებათა მიუხედავად, ჩვენ მხოლოდ მის უმცირეს შესაძლებლობებს ვიცნობთ. ტვინის ერთი მეტად გამოგონებელი თვისება არის ის, რომ ნებისმიერ კითხვაზე იგი პოულობს პასუხს. სინამდვილეში მოხუცმა ჩინელმა მე ასეთი შეკითხვა დამისვა. თავდაპირველად ვუპასუხე, რომ არც არაფერი მომწონდა ჩემში და არც არაფერს ვცემ პატივს მეტი.

მაშინ მან ასე მიპასუხა: „ვიცი მაგრამ ეს რომ შესაძლებელი იყოს, შენ რას დააფასებდიო?“

მე ცოტა ხანს კიდევ ვიფიქრე და გონებაში რამდენიმე აზრმა გამიელვა. მე ვიცოდი რომ ძალზედ ნათელი გონება მაქვს, მე ყოველთვის საუკვეთესო ვიყავი სკოლაში, მე შეამაყებოდა რომ მარტოხელამ გადავიტანე ცხოვრება და მიუხედავად ჩემი უმძიმესი მდგომარეობისა არც არავინ მომიტყუებია და არც არავინ გამიძარცვავს. თანდათანობით საკუთარი თავის დაფასება ვისწავლე.

ახალგაზრდა კაცმა კვლავ რაღაცეები ჩაინიშნა თავის წიგნაკში, რის შემდეგაც კვლავ თვალებში შეხედა დოქტორ ჰოპკინსს.

– ასე რომ, ეკითხებოდე საკუთარ თავს იმას, თუ რა გიყვარს შენში და რას აფასებ, – ეს ის ხერხია, რომლის მეშვეობით საკუთარი თავის პატივისცემასაც იგრძნობთ და გააძლიერებთ კიდევ მას.

ყოველ შემთხვევაში მე ეს ძალიან გამომადგა და მე თუ გამომადგა, მაშასადამე გამოადგება ყველას. თუ თქვენ შეეკითხებით საკუთარ თავს თუ რა მოგწონთ საკუთარ პიროვნებაში, ტვინი იმწამსვე მოგაწვდით პასუხს.

– და თუკი არაფერი მაქვს ისეთი?

– ნუ დარდობთ, ყოველთვის არის რაღაც და გონება სხვათა შორის ერთს კი არა, რამოდენიმე თვისებას აღნიშნავს. მაგალითად თქვენ შეიძლება პატიოსანი ბრძანდებით, გაქვთ სამუშაო, რეგულარულად მუშაობთ. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას იპოვით, მთავარია რომ თქვენ ეს თვისებები გაქვთ და ამ თვისებებმა საკუთარი თავის პატივისცემა უნდა მოგიტანოთ. იგივე კითხვის დასმა მეტად სასარგებოა სხვა ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით კი იმათ მიმართ ვინც არ გიყვართ.

– ღმერთო ჩემო! კი მაგრამ, ეს რატომ, ეს რატომ? – აღშფოთდა ახალგაზრდა კაცი.

– იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი გონება შეეცადა დაენახა ის, რასაც ჩვენ პატივს ვცემთ და არა ის, რაც მათში არ მოგვწონს, და როცა ამას დაინახავთ, თქვენ მათდამი პატივისცემის გრძნობა, ან იქნებ სიყვარულიც კი განიცადოთ.

– როცა თქვენ ამბობთ სიყვარულსაც ისწავლით, ამ დროს რას გულისხმობთ?

– მოექცით მათ ყურადღებითა და სიყვარულით. ხშირად შეგიძინევიათ ალბათ, რომ ბევრი ადამიანი სხვას ექცევა სრული ამპარტავნებითა და მედიდურობით, – განაგრძო ქალბატონმა ჰოპკინსმა, – მაგრამ განა ერთი მამისაგან არა ვართ? ყველა ხომ მისი ხატება და მსგავსება ვართ? შეცდომათა შორის უმძიმესი, რაც კი რამ შეიძლება დაუშვათ ამ ცხოვრებაში, ეს არის ერთი რომელიმე ადამიანის ძლევა მოსილების შეუფასებლობა ან მისი დაუნახავობა. ყველას შეუძლია სამყაროს შეცვლა და ის მართლაც ცვლის მას თავისებურად. როდესაც ადამიანის ჭეშმარიტ ღირებულებას ვაფასებთ, ჩვენ მასთან უკვე სხვანაირად მოპყრობას ვიწყებთ.

მახსოვს იმ დროიდან, როდესაც მე ქუჩაში მეძინა, ღამით სადარბაზოში გავიღვიძე იმისგან, რომ პოლიციელი პირდაპირ ჩემს სახეზე შარდავდა.

– რაო?! – შეჰკვივლა ახალგაზრდას. – როგორ... როგორ გააკეთა ეს, – ყვიროდა ახალგაზრდა და აღშფოთებისაგან სულს ვერ ითქვამდა.

– ჩემნაირ ადამიანთა მიმართ მას უბრალოდ პათოლოგიური ზიზღი ჰქონდა, – უპასუხა აღელვებულ ახალგაზრდას დოქტორმა ჰოპკინსმა. – იგი არანაირ პატივისცემას არ გრძნობდა ჩემს მიმართ და არასოდეს დამავიწყდება როგორ მადგა თავზე და იცინოდა. მისთვის ეს ყველაზე საუკვეთესო ხუმრობა იყო. ეს მისი, ჩემს მიმართ უპირატესობა იყო, მაგრამ საბრალო პოლიციელმა განა რა იცოდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთადერთი უპირატესობა ერთი ადამიანისა მეორის მიმართ –

ს ი კ ე თ ე !

მე დარწმუნებული ვარ, რომ პრობლემათა უმეტესობა ამ ქვეყანაზე გაჩენილია საკუთარი თავის მიმართ, ადამიანთა მიმართ, თავისი სიცოცხლის მიმართ უპატივცემულობით. შედეგად ამისა ჩვენ აღარ გვრჩება სიყვარული. აი ამის შედეგია მთელს დედამიწაზე რომ ჩანს არაბები და ებრაელები, ზანგები და თეთრები, პროტესტანტები და კათოლიკები. თუ კი ჩვენ ერთმანეთის პატივისცემას ვისწავლით, მაშინ ერთმანეთის სიყვარულსაც შევძლებთ.

– რატქმაუნდა, რომ ჯერ საკუთარი ღირებულება უნდა შეიცნო, თუ გინდა რომ სხვისი ღირებულება შეიტყო და ამ ცოდნის შედეგად სხვისი პატივისცემაც და სიყვარულიც შეძლო. თავდაპირველად ეს იწვევს მეგობრობას და თუ მართლაც ნამდვილი მეგობრობაა მიღწეული, მაშინ არც ერთი არ გრძნობს რომ დავალებულია და არც მეორე ფიქრობს იმას რომ სიკეთე ჩაიდინა. აი ასეთი დამოკიდებულებაა

ნამდვილი მეგობრობა და ნამდვილი სიყვარული. ეს რომ ვისწავლე, ადამიანებთან ურთიერთობა შემიყვარდა და თავსაც ბედნიერად გრძნობ.

ახალგაზრდა კაცი რაღაცას იწერდა და თავის აზრებს უღიმოდა. მართლაც რომ გონივრულია ყოველივე ეს და ამასთან ერთად ესოდენ მარტივი, მაგრამ აქამდე რატომ არასოდეს მიფიქრია ამაზე? პატივისცემა ხომ უპირველესია, უამისოდ აბა სიყვარული როგორ იქნება?

– იცით რა, იკითხა მან, – იმის შემდეგ რაც ქუჩაში იყავით, პროფესორი როგორ გახდით?

ლოქტორმა ჰოპკინსმა გაიღიმა.

– ერთ-ერთი იმათაგანი, რომელიც ჩინელის მიერ მოცემულ სიაში იყო მინიშნებული, მონაზონი იყო. ამ წმინდა ქალბატონმა წარმოუდგენელი დახმარება გამიწია. ქუჩიდან ამიყვანა და მონასტერში შემიკედლა. ჩვენ ასე მოვილაპარაკეთ: მე მონასტერში ვიცხოვრებდი, სამაგიეროდ საჭმლის კეთება, ბაღის მოვლა, დალაგება მევალებოდა. ყველაფერს ვაკეთებდი. პირველივე დღიდან მე სრულფასოვანი წვერი გავხდი, როგორც ოჯახის წვერი. ისინი არასოდეს მიყურებდნენ როგორც დაცემულ



ლტოს ან ზნედაცემულ ქალს. მათთვის მე ვიყავი ის მოყვასი, რომელიც მათ დახმარებას საჭიროებდა და დამეხმარნენ კიდევ. ჩემთვის ეს სიცოცხლის ახალი წახნაგი გახდა, პირველად ჩემს ცხოვრებაში მე ვიგრძენი რომ ვიღაცას ვჭირდები. ზუსტად ამ მონაზონმა მირჩია განათლების გაგრძელება, მან დამარწმუნა, რომ შესანიშნავი გონებითა ვარ დაჯილდოვებული და უნდა გამოვიყენო იგი. მანამდე ესე არავის წავუხალისებია. დავიწყე სიარული საღამოს სკოლაში. მონასტერში ყველა მხარს მიჭერდა და შვიდ წელიწადში პირველი ხარისხის ფრიადოსნის დიპლომი მივიღე. შემდეგ წელიწადს მაგისტრის წოდება

მივიღე და სამი წლის შემდეგ უკვე დოქტორი გავხდი. ეს ყველაზე ღირსშესანიშნავი და ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მონასტრის ყველა მონაზონი დაესწრო ამ ცერემონიას და რა დამავიწყებს იმას, როდესაც ჩემი სახელი ამოიკითხეს და სცენაზე ავედი დიპლომის მისაღებად. როცა დიპლომი გადმომცეს, შემოვბრუნდი და დავინახე მომღიმარი ოცი მონაზონი როგორ მიკრავდა ტაშს. როცა ჩამოვდიოდი სცენიდან, ერთი ადამიანი შევნიშნე აუდიტორიის მეორე მხარეს, ეს მოხუცი ჩინელი იყო, მან ხელებაღმართულმა დამიკრა ტაში და გაიღიმა.

იმავე საღამოს ახალგაზრდა კაცმა შეაჯერა თავისი ჩანაწერები, რომლებიც გააკეთა ქალბატონ მილლი ჰოპკინსთან:

* * *

ჭეშმარიტი სიყვარულის მეორე საიდუმლოება – პატივისცემის ძალა. ვიდრე შეიყვარებ ვინმეს, ჯერ მისი პატივისცემა ისწავლე.

მედეა

* * *

უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს უნდა სცე პატივი. რათა საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა შევიძინოთ, საჭიროა ხშირად შევეკითხოთ საკუთარ თავს: „რათვისებებია ჩემში პატივისცემა?“

* * *

სხვების მიმართ პატივისცემის გრძნობის შესაძენად იმ აღამიანებთანაც მიმართებაში, რომლებიც არ მოგწონთ, ჰკითხეთ საკუთარ თავს: „რა არის პატივისცემა მათში?“

(თარგმნა თ. თავაძემ)

ერთხელ...



იყო ისეთი კუნძული, რომელზედაც ადამიანის ყველა თვისება ცხოვრობდა: კარგი განწყობა, სევდა, სიბრძნე და... მრავალი სხვა დანარჩენი, სიყვარულის ჩათვლით.

ერთხელ მათ განეცხადათ, რომ კუნძული ჩაიძირებოდა.

ყველა თავ-თავის ნავში ჩაჯდა და წასასვლელად გაემზადა. მხოლოდ სიყვარული ვერ ელეოდა საყვარელ კუნძულს.

როცა კუნძული იმდენად ჩაიძირა, რომ მასზე დარჩენა უკვე შეუძლებელი გახდა, ყველა თავ-თავის ნავში ჩაჯდა და გასცილდა მას. მხოლოდ სიყვარული აღმოჩნდა მოუმზადებელი და ამიტომ სხვების იმედიღა დარჩენოდა.

პირველმა კუნძულს სიმდიდრემ ჩაუარა ყველაზე მდიდრული ნავით. სიყვარულმა შველა სთხოვა, მაგრამ ამაოდ, – სიმდიდრემ ასე უპასუხა: “იცირა, გეთაყვა, აქ იმდენი ოქრო-ვერცხლი მიდევს, რომ შენი ადგილი აღარა მაქვსო...”

მაშინ სიყვარულმა სიამაყეს მიმართა, რომელიც ლამაზი ნავით მოცურავდა: “სიამაყე, გემუდარები, ჩამსვი შენს ნავში!”

– “ვერა, ვერ წაგიყვან საყვარელო, აქ ყველაფერი ისე ლამაზად მაქვს მოწყობილი, რომ შენი ადგილი აღარ დამრჩენიაო.”

მაშინ სიყვარულმა სევდას მიმართა, რომელიც იქვე ახლოს მიცურავდა კუნძულის გაუჩინარების ტრაგედიით ესოდენ დამწუხრებული: “სევდა, შენც ჩემსავით გყვარებია ეს კუნძული და შენ მაინც შემიბრალო!”

მედეა

– “ყველაზე მეტად კუნძული მებრალება და მარტო დარჩენა მირჩევნია, იქნებ ეს სევდა როგორმე გადავიტანო.”

მალე კარგმა განწყობილებამ ჩაუარა კუნძულს, მაგრამ ისეთი გახარებული იყო გადარჩენით, რომ არც კი გაუგონია, რომ ვიღაც შველას ითხოვდა...

უეცრად ვიღაცის ხმა ჩაესმა, – მე გიშველიო!

ვინც ეძახდა, – მოხუცი კაცი იყო...

სიყვარული იმდენად გახარებული იყო გადარჩენით, რომ როცა ნაპირს მიაღწენ და ნაპირზე გადმოვიდნენ, მოხუცი მაშინდა გაახსენდა, როცა ის უკვე კარგა ხნის წასული იყო...

შეწუხებული სიყვარული ეძებდა ვინმეს, ვინც მას მისი გადამრჩენის სახელს ეტყოდა და... “მე ვიცი მისი სახელიო,” – სთქვა ცოდნამ და დასძინა, – ეს იყო **დრო!**

“მაგრამ ასე როგორ გამოვიდა რომ, მხოლოდ დრომ რო დამაფასა?” – იკითხა სიყვარულმა.


ცოდნამ, რომელიც სიბრძნით იყო აღვსილი, ასე უპასუხა: – “იმიტომ, რომ მხოლოდ დროს შეუძლია შეაფასოს და დაინახოს ის, თუ რაოდენ აუცილებელია სიყვარული სიცოცხლისათვის!..”

* * *

ლაუგზავნე მეგობრებს ეს გზავნილი, რათა იცოდნენ, რარიგად საჭირონი არიან ისინი შენთვის...



ინტერვიუ ღმერთთან



ერთხელ დამესიზმრა თითქოს ინტერვიუს ვართმევედი ღმერთს.

– “მაშ შენ გინდა ინტერვიუ ჩამომართვა?” – მკითხა ღმერთმა.

“თუკი შენ გაქვს დრო საამისოდ!” – ვთქვი მე...

ღმერთმა გაიღიმა.

– “ჩემი დრო მარადიულობაა”

– “რა შეკითხვები გაქვს ჩემთან?”

– “ყველაზე მეტად რა გთრგუნავს ადამიანში?”

და ღმერთმა მიპასუხა...

– “მათ სწყინდებათ ბავშვობა, ჩქარობენ გახდნენ ზრდასრულნი, მერე ისევ ბავშვობაზე ოცნებობენ”

– “ისინი კარგავენ ჯანმრთე-ლობას ფულის გაკეთებისას და მერე კარგავენ ფულს მის აღსადგენად.”

“იმდენს ფიქრობენ მომავალზე, რომ ავიწყდებათ მყოლობა... ავიწყდებათ, რომ არ ცხოვრობენ არცა მყოლობაში და არცა მომავალში...”

მან აიღო ჩემი ხელი და ჩვენ გარკვეული დროით დავდუმდით...

და მაშინ ვიკითხე...

– “როგორც მშობელს, ცხოვრების რომელი გაკვეთილები გსურს, რომ ვისწავლოთ ჩვენ, შენმა შვილებმა.”

– “დაე იცოდნენ, რომ ვერავის აიძულებენ რომ შეგიყვარონ... ერთადერთი რაც მათ შეუძლიათ რომ გააკეთონ, – გახდნენ საყვარელნი.”

“დაე შეიგნონ, რომ ძალზედ ცუდი საქციელია სხვების მიმართ თავისი თავის შედარება.”

- “ისწავლონ პატიება, პატიებით.”
- “ახსოვდეთ, რომ საყვარელი ადამიანის გულის ტკენას სულ რამოდენიმე წამი ესაჭიროება, მაგრამ იარის მორჩენას მრავალი წელი დასჭირდება”
- “გახსოვდეთ, რომ არსებობენ ადამიანები რომლებსაც თქვენ უყვარხართ... უბრალოდ, მათ ჯერ ვერ ისწავლეს საკუთარი გრძნობების გამოხატვა...”
- “შეიგნონ, რომ ორი ადამიანი ერთსა და იგივეს, სხვადასხვანაირად ხედავენ.”
- “კარგად დაიმახსოვრონ, რომ ერთმანეთის პატიება ცოტაა... უპირველეს ყოვლისა საჭიროა საკუთარ თავს აპატიო.”
- “გმადლობ შენი დროისათვის.” – ვუთხარი მე გაუბედავად...
- “არის კიდევ რაიმე ისეთი, რისი გადაცემაც გსურს, შენი შვილებისთვის? დმერთმა გაიღიმა და სთქვა...
- “დაე გაიგონ რომ მე აქა ვარ მათთვის...

აქ და ყოველთვის!!!

მადლობის წერილები



ჩვენ ვაგრძელებთ მაღლიერ ადამიანთა წერილების გამოქვეყნებას. საყურადღებოა ის, რომ ჩვენს პრაქტიკაში არ არსებობს განუკურნებელი დაავადებანი, არამედ არსებობენ განუკურნებელი ადამიანები, რომლებიც არ ღებულობენ თვითგანკურნების იდეას და როდესაც დიაგნოზი, ხშირ შემთხვევაში უიმედოა, არ იყენებენ თვითგადარჩენის შანსს. აქ ხომ შანსზეა საუბარი და 25 წლის განმავლობაში ასეთი შანსი რემდენიმე ათასმა ადამიანმა სცადა და გაიმარჯვა. დაავადებათა სპექტრი კიბოიდან და შიდსიდან დაწყებული და დამთავრებული ეპილეფსიით თუ მუკოვისციტოზით, ანუ ეპიდემიური თუ უიშვიათესი განუკურნებელი დაავადებანი ემორჩილებიან ქართულ იოგას, – *ოქროს საწმისის სამკურნალო სისტემას* და ჩვენ დღესაც ვაქვეყნებთ ჩვენი სისტემით განკურნებულ ადამიანთა მაღლიერების წერილებს.

ნ.ტო ბე...შვილის მადლობის წერილი.

ცხოვრება მშვენიერია, ეს სიტყვები მესმოდა მე ექვსი წლის წინ, როდესაც მედიცინის მუშაკებმა მითხრეს, რომ სიცოცხლე მოზომილი მქონდა და გამიხნდა საოცარი პროტესტის შეგრძნება, რატომ??? რისთვის???

წონის კლება, საოცარი სისუსტე, ტკივილი მუცლის არეში, უმადობა, უფერული სახის კანი და ცხოვრების ინტერესის დაკარგვა. მაგრამ ამავედროს ამ მდგომარეობასთან შეუგუებლობის სასტიკი გრძნობა.

ბედისწერამ შემახვედრა პიროვნებასთან, რომელმაც დამანახა ამ სიტუაციიდან გამოსავალი გზა, გზა ჯამრთელობისაკენ.

ათი წლის წინ დედის გარდაცვალების გამო დიდ დეპრესიაში ჩავვარდი და ბოლოს მივიღე საშინელი შედეგი.

ადამიანის ორგანიზმი ერთ აღუწერელი შესაძლებლობების მქონეა. ადამიანს მხოლოდ ევალება ეს პოტენციალი აღმოაჩინოს, კარგად შეისწავლოს და შემდეგ თავისსავე ჯამრთელობის სამსახურში ჩააყენოს. ამის დადასტურებაა ის საოცრება რომელიც მე გადაამხდა და არა მარტო მე, მრავალი განკურნებული ადამიანია მადლიერი ბატონი თამაზ თავაძისა. საუბედუროდ ჩვენი ყოფა სტრესებითა და ნერვიულობითაა სავსე. ადამიანმა უნდა შეძლოს მისივე ემოციები მოთოკოს და მართოს, რომ გაიხანგრძლივოს ცხოვრება. ეს კი შესაძლებელია ფსიქოლოგიური ზემოქმედებით საკუთარ თავზე, ანუ ფსიქოლოგიური ვარჯიშებით. თუ შეიძლება ადამიანმა დარდით თავი მოიკლას, რატომ არ შეიძლება სიხარულით ცხოვრება გაიხანგრძლივოს? გაიხანგრძლივოს როგორც სიცოცხლე ასევე გაიკაუოს ორგანიზმი. ყველაფერი ადამიანის თავიდან მოდის. ადამიანის ტვინი, გული და ხერხემალი – აი ესაა ფსიქოლოგიური ვარჯიშების დაუშრეტელი წყარო, – სამი უმნიშვნელოვანესი ნაწილი ჩვენი სხეულისა.

სერიოზული დაავადებები განპირობებულია სამი ძირითადი ფაქტორით, ესენია: ვაცეება, ნერვიულობა და ტრავმა ანუ ყველა ის ფაქტორი, რომელიც ორგანიზმის სპაზმს იწვევს. როგორც გამდინარე წყალში ჭაობი არასოდეს გაჩნდება, ასევე ორგანიზმი, რომელშიც სპაზმი არ არის და სისხლი ყველა ორგანოს თავისუფლად მიეწოდება, დაცულია ყველა სერიოზული დაავადებისაგან – **ეს უნდა გაითავისოს ყველა ადამიანმა.** გარდა ამისა მრავალი ვირუსი ებრძვის ადამიანის ორგანიზმს, მრავალი უცხო დაავადება იჩენს თავს, ამიტომ საჭიროა თავის დაცვა, იმუნური სისტემის მოწესრიგება და გაძლიერება ეს კი შესაძლებელია არა მარტო ფსიქოლოგიური, არამედ საკმაოდ ეფექტური ფიზიკური ვარჯიშებით, რომლის სამსახურში დგას ჩვენი მკურნალი, და არა მარტო მკურნალი, – არამედ არაჩვეულებრივად გულისხმიერი პიროვნება რომელიც სხვის ტკივილს თავისად აღიქვამს, – ბატონი თამაზ თავაძე, რომელიც მთელი გულით ემსახურება კაცობრიობას.



რაიონი

ჩემო ძვირფასო ანგელოზ-ადამიანნო! თქვენთან, ყველა შესაბამისი პროცესის თანხლებით, გარდაქმნის მოვლენები მიმდინარეობს – და ყოველივე ეს სავსებით ნორმალურია.

ამ გზაზე, მე ჩემი თანამშრომლის, – “მ“-ის თხოვნით ვიძლევი იმისათვის, რომ თქვენთვის გასაგები გახდეს ტერმინი “გაახალგაზრდაება”, რომელიც ისმის ყველგან და თქვენი ძველებური წარმოდგენების თანახმად ნიშნავს სხვას არაფერს, თუ არა თქვენს ძველებურ, ორგანიზმის, ასე ოცი ან მეტი ხნის წინანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას. მაგრამ ჩვენ, გაახალგაზრდაებაში სულ სხვა შინაარსი გვესმის.

აბა დაფიქრდით და სთქვით ის, თუ რა გსურთ თქვენ თქვენი თავისათვის, იმ ზოგადი საერთო გაგებით, რასაც გაახალგაზრდაებას ეძახით? უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდეთ? – რა თქმა უნდა! იყო აღნაგოვანი და ლამაზი როგორც გარკვეული ხნის წინ? – კი! ხომ არაფერს იტყოდით იმაზეც, რომ სრული ჯანმრთელობაც რომ მიგელოთ? მაგრამ იყავით კი სრულიად ჯანმრთელი იმ ასაკში, რომლის დაბრუნებასაც ასე ნატრულობთ? ბევრი მათგანი ვინც დღეს ამდღეების ნაკადში მტკიცედ მიაბიჯებს, იტყვის – არა! და გამოდის ის, რომ რაღაც კი გვინდა რომ დაგვიბრუნდეს და რაღაც კი – არა.

მაგრამ საჭიროა კი წარსულ მდგომარეობაში დაბრუნება? დედამიწაზე ხომ ყველაფერი იცვლება – მისი სტრუქტურაც, მისი სინათლის სხეულიც, მაგნიტური ველიც, მისი ჩაკრამები უკვე ხომ სულ სხვანაირად მუშაობენ და მრავალი და მრავალი მსგავსი რამ... ასეთ ვითარებაში წარსულში დაბრუნებას როგორღა აპირებთ? პრინციპში ეს ხომ შეუძლებელია. ამიტომაც რომ თქვენს გაახალგაზრდაებაში, ჩვენ სულ სხვა შინაარსს ვდებთ.

უპირველესად ყოვლისა მე უნდა აგიხსნათ თქვენ ის, თუ რატომაც რომ ბევრი ადამიანის სხეული არც ისე სახარბიელოდ იცვლება, რადგან არასასურველი მიმართულებით ირღვევა ანატომიური და ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობა. ეს თქვენში მიმდინარე პროცესების ხარკია. მე არა ერთგზის მითქვამს თქვენთვის იმის შესახებ, რომ თქვენ დაგეწყებათ (ზოგიერთ ადამიანში კი ეს ინტენსიური პროცესის სახით ხდება დღეს) სხეულთა გარდაქმნა, ყოველი სხეულის გარდაქმნასთან ერთად. ეს აუცილებელია იმათთვის ვისაც დედამიწაზე სურს გარდაქმნის გზის გაგლა ისე, რომ არ დასჭიდეს უზენაეს სფეროებში წასვლა რეინკარნაციისათვის. ეს ძალზე ძნელი პროცესია და მხოლოდ ზოგიერთები ბედავენ მის მიღებას. მაგრამ თავად ეს პროცესი მეტ-ნაკლებად, ინტენსიურად მიმდინარეობს ყოველ ადამიანში. ამიტომაც რომ მათ, ვინც ცნობიერად ღებულობს გადაწყვეტილებას დარჩეს ამ დედამიწაზე და განვლოს გარდაქმნის ყველა გარდამავალი პროცესების ეკლიანი გზები, თავდაპირველად არც ისე სასიამოვნო გარეგნობის სხეულები აქვთ ამ ცვლილებათა გამო. რა თქმა უნდა რომ თქვენ პირველ რიგში გაშინებთ ფიზიკური სხეულის გარეგნული მდგომარეობა, მაგრამ ცვლილებები ხომ ყველა სხეულში მიმდინარეობს და ეს ყველაფერი ისაა, რაც ასე არასახარბიელოდ აისახება ფიზიკურ სხეულზე.

ეხლა ვნახოთ რატომ იცვლება წელი, იზრდება წონა, სხეულის საერთო მოცულობა და ადამიანებს ხშირად აქვთ ისეთი გრძნობა თითქოს იბერებიან. ბევრისათვის დამახასიათებელია მუცლის შებერვა, საჭმლის მოუნელებლობა, ძილის მოშლა და მრავალი სხვა მსგავსი სიმპტომი, რომელზედაც მე მოგახსენებდით 31 დეკემბრის 2010 წლის რიგაში ჩატარებულ ჩვენელინგზე. ბევრს ან საერთოდ არა აქვს მადა, და ზოგიერთს კი მეტად მოჭარბებული, თანაც ისეთი, რომელიც სრულებითაც არ ესადაგება სხეულის მოთხოვნილებებს. ადამიანები საკვების სულ სხვანაირ სახეობაზე გადადიან, რაც მიმდინარე დროის მოთხოვნილებებითაა ნაკარნახევი. მე ბევრჯერ მითქვია ცხოველური საკვების, ამ მომენტისათვის, მავნებლობის

შესახებ. ძალიან ბევრი ადამიანი ბუნებრივად და იოლად ეთხოვება ხორცს, მაგრამ ზოგნი კიდევ უფრო მეტად ამძიმებენ თავიანთ ვიბრაციებს ცხოველური საკვების მიღებაში გაჯი-
შტებით. ამგვარი მკვეთრად განსხვავებული წარმოდგენები მეტად გავრცელებულია ამჟამად
და ყოველივე ამას თავისი ახსნა აქვს. ამჟამად, თქვენი ორგანიზმის კოსმიური ენერგიებით
მომარაგების პროცესებში, მრავალი გადახრა არსებობს. თქვენთვის ცნობილია, თუ რაოდენ
ძლიერი ენერგიები მოედინებიან დედამიწისაკენ, ისეთები რომლებიც ადრე არც კი ყოფილან
ჩვენთან, აქ, ამ პლანეტაზე. ამ პირობებში თქვენი სხეულები ისევე იცვლება, როგორც
იცვლებიან პლანეტა და მასში არსებული პირობები. ამას ზოგჯერ მოჰყვება ენერგეტიკული
არსების გადატვირთვა ისეთი ენერგიებით, რომელთა მიმართ თქვენი სხეულები ჯერ
მიუხეველნი არიან. ყოველივე ეს სასიკეთოა. მაგრამ ყველაფრის მიმართ საჭიროა ადაპტაცია.
აი ზუსტად ეს იწვევს თქვენი სხეულების გარეგნობის, წონისა თუ წელის მოცულობის, ან
კიდევ სხვა და სხვა ცვლილებებს.

ეხლა კი ვნახოთ ის, თუ რატომ ხდება ყოველივე ეს და რა შინაარსი უნდა ჩაიდოს
სიტყვა “გაახალგაზრდავებაში?”

განსაკუთრებით ეხლა, თქვენ უნდა გაიგოთ ის, თუ როგორ უნდა მიხედოთ თავს, რათა
თქვენი სხეულების გარდაქმნა საკმარისად ჰარმონიულად მიმდინარეობდეს და თქვენ,
სინამდვილეში მართლაც გაახალგაზრდავდეთ. მაგრამ რამდენად და რა მიმართულებით?

აი ესაა როგორც უმთავარესი საკითხი, ასევე საკუთარი თავის მიმართ დახმარების
სწორი გაწვევის ასევე სწორი ცოდნაც.

უპირველესად ყოვლისა თქვენ უნდა იცოდეთ ის, თუ რა პროცესები მიმდინარეობს
პლანეტაზე და მის შიგნით, მაშასადამე ჩვენშიც. თქვენ განუყოფელი ხართ პლანეტისაგან.
ელაპარაკეთ საკუთარ სხეულებს და ააწყვეთ დ.ნ.მ-თან ხმოვანი კავშირი თქვენს სხეულებში
და მოახდინეთ პლანეტაში მიმდინარე პროცესებთან სინქრონიზაცია.

მეორეა ის, რომ შეეცადეთ და ჩაწვდით იმას, რომ დაიწყება გაახალგაზრდავების
ზუსტად ის პროცესი, რომელზედაც ოცნებობს ყოველი თქვენთაგანი. მაგრამ თავისი
მექანიზმებითა და არსით, იგი უკვე სულ სხვანაირი იქნება, რადგან ეხლა პლანეტარული
პროცესები მიმდინარეობენ (მაშასადამე თქვენიც), იმ ინფორმაციის შესაბამისად, რაც
კოსმოსიდან მოდის და თქვენი პლანეტის ახალი ევოლუციური მდგომარეობისათვისაა
გათვალისწინებული.

მესამე ისაა, რომ, – როგორც ამას ზოგჯერ უწოდებენ, – “კარმის წრის” აკრეფა
მიმდინარეობს. თქვენი კარმიული დავალიანებების ნაწილი ჩვენ უკვე დაფარეთ და
ნაწილობრივად კი საშუალებას გაძლევთ დაჩქარებულ რეჟიმში გადაიხადოთ ის ვალი,
რომელიც თვითონ თქვენ უნდა დაფაროთ. ეს იწვევს კამათსა და დაძაბულობებს არა მხოლოდ
ოჯახსა და სოციალურში, არამედ თქვენს ჯანმრთელობაშიც იმ სერიოზულ დაძაბულობებს
იწვევს, რომლებიც სხვა და სხვა მიმართულებით ვალის დაფარვას ესაჭიროება. ეს
გარდამავალი მოვლენაა, მაგრამ დაჩქარებულია და ჩვენ ყველას ვეხმარებით, ვინც კი
მოგვემართავს დახმარებისათვის, თუ კი სერიოზულად და მთელი შეგნებით დებულობს ამ
გამოცდებს. ამას შეუძლიან თქვენს სხეულებში სერიოზული ცვლილებები შემოიტანონ.
მაგრამ წმინდა მისწრაფებებით, საკუთარ სინათლესთან მუშაობით და ამ პროცესის გაცნობი-
ერებით, თქვენ არა მხოლოდ კარმიული დავალიანებების გადახდის მაღალ ხარისხს მიაღწევთ,
არამედ საკუთარი ახალი სხეულების აშენებასაც შეუდგებით, თუკი შესაბამისად იმუშავებთ,
ამ შემოქმედების მიმართ გამოთქვამთ სურვილს და საკუთარ თავს წმინდა მისწრაფებებით
დაუჭერთ მხარს.


მეოთხეა ის რომ სულ მალე თქვენ გაგიჩნდებათ საკუთარი სხეულების განწმენდის
კრიტერიუმი. იგი მყისვე გიჩვენებთ ფიზიკური თუ სხვა რომელიმე სხეულის სიწმინდეს. ასეთი

ხელსაწყო უკვე გამოგონებულიცაა და მრეწველობის მიერ გამოშვებულიც. იგი არა მხოლოდ ფიზიკური სხეულის სიწმინდეს გიჩვენებთ, არამედ უჯრედების დონეზე მის განწმენდასაც კი აწარმოებს. ეძიეთ! იგი უკვე არსებობს. ორგანიზმის განწმენდის გარეშე ადგილიდანაც კი ვერ დაიძრებით. განწმენდა სინათლით უნდა მოხდეს. ამისათვის მრავალი ტექნიკა არსებობს. აირჩიეთ, გამოსცადეთ, აკეთეთ.

მეხუთე. ამჟამად, ჩვენ და თქვენ, თუმცა შეუმჩნეველად, მაგრამ მაინც გავდივართ უფრო მაღალ სიხშირეზე არსებობის გადასვლის პროცესებს. ეს, მიწიერ, სამგანზომილებიან სივრცეში ყველაზე კარგად აღიქმება დროის აჩქარების შეგრძნებით. მაგრამ მათთვის ვინც უკვე აითვისა მეოთხე და მეხუთე განზომილებები დრო ისევ ნელა იწყებს თავის დინებას. ჩნდება სიმშვიდისა და სიჩუმის, ჰარმონიის შეგრძნება, ყველა საქმე თითქოს თავის თავად ხდება. ეს დამატებითი ცვლილებები, რომლებიც თქვენს ცხოვრებაში უზენაესი განზომილებების მეშვეობით ხდება, ბევრ ადამიანში იწვევს თავბრუსხვევასა და თავის ტკივილებს, გულის რევის შეგრძნებებს, უმიზეზო აგზნებებსა და შფოთვას; თვალის ბროლის კატარაქტას (ბროლი ვერ უძლებს გაზრდილ ვიბრაციებს), სისხლძარღვოვან ცვლილებებს და სხვა მრავალ ისეთ ფაქტორს, რომლებიც დროის აჩქარების გამო გაჩნდნენ. **ამის შესახებ უნდა იცოდეს ყველამ და საამისოდ ცნობიერად უნდა მოემზადნონ საკუთარი სხეულების ქსოვილთა ვიბრაციების ამალღებისათვის და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იფიქრონ ის, რომ თითქოს ეს ყველაფერი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.** ზუსტად ამით, თქვენ მინიმუმამდე დაიყვანთ თქვენივე სხეულების დესტრუქციულ ცვლილებებს და მოახდენთ ახალი, სწორი გარდაქმნების ხელშეწყობას. ისინი (თქვენი სხეულები), ელოდებიან თქვენს მითითებებს!

ამის შემდეგ მსურს მივიქციო მათი ყურადღება ვინც დიდი ხანია რაც მძლავრად მიაბიჯებს ამალღების ნაკადში, ვინც დიდი ხანია ააშენა ახალი ტიპის სინათლის კონსტრუქციები. სინათლის სხეულების ნებისმიერ ზრდას ჯერ ფიზიკური სხეულის “ზრდა” მოჰყვება იმიტომ, რომ ამ ახალი მაღალი სიხშირის მქონე სინათლის კონსტრუქციას სჭირდება სტაბილიზაცია და დასაყრდენი. ფიზიკური სხეულის მასის გარკვეული ზრდის გარეშე მისი განხორციელების შენარჩუნება ძნელია. აი ამიტომაც, რომ სინათლის მსახურნი, განსაკუთრებით ქალები, მტკივნეულად განიცდიან თავისი გარეგნობის ცვლილებებსაც და ფიზიკური წონის ზრდასაც. მიანიჭეთ საკუთარ თავს სინათლით სიდიადის სიხარული! და ნუ მოინელებთ საკუთარ თავს უსაფუძვლოდ სინდისის ქეჯნით, საკუთარი სხეულის არ არსებული დანაშაულის გამო. მაგრამ ესეც დროებითი მოვლენაა. ასეთი ადამიანების სხეულთა გაახალგაზრდავება უფრო სწრაფად მიმდინარეობს ვიდრე სხვებისა. ყოველი სხეულის (იგულისხმება ეთერული, ასტრალური და მენტალური სხეულები) ვიბრაციებით ამალღება, ფიზიკურ სხეულებს უფრო სწრაფად გარდაქმნიან, ვიდრე სხვა ადამიანების სხეულები, რადგან, პირველ- შემთხვევაში, – მკვრივი ასტრალური სხეულისაგან ახალი სხეულების აშენება ხდება. და ეს უკვე სხვა სხეულები იქნება, მაგრამ ვიზუალურად ფიზიკურის მიმართ იმდენად განსხვავებულები, რომ თვითონაც კი ვერ მიხვდებით მომხდარ ცვლილებებს.

და აი აქ მე გადავდივარ ყველაზე მთავარზე – როგორი დამოკიდებულება გამოვიჩინოთ ამ მიმდინარე დროის მიმართ? ზუსტად ისეთი, როგორსაც მოგახსენებდით. თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ წარსულში ახალგაზრდობის გარკვეული ასაკისაკენ მისწრაფება – უაზრობაცაა და მაწინააღმდეგე. პლანეტისა და მიმდინარე დროის მდგომარეობა ისეთია, რომ ისინი გვეკარნახობენ ჩვენ ახალ პროცესებს – ყოველი თქვენი სხეულის გარდაქმნას ახალ სხეულებად, რომლებიც უპასუხებენ არსებობის ახალ პირობებს. ამიტომ იმისდა მიხედვით, თუ როგორ გადაეწყობა თქვენი დ.ნ.მ-ის მუშაობა, თქვენს სხეულებში მრავალი რამ შეიცვლება. თქვენ მართლაც გაახალგაზრდავდებით სინამდვილეში, უფრო მსუბუქი,



აღნაგოვანი, მხიარული, ახალგაზრდულები გახდებით და თანდათანობით დაგავიწყდებათ თქვენი წარსული ახალგაზრდობა იმიტომ, რომ თქვენ იმდენად მშვენიერნი იქნებით ახალ სხეულში, რომ აზრიც კი არ გაგიჩნდებათ წარსულში დასაბრუნებლად.

და ესლა კი მინდა უმთავრესი დარიგებით დავასრულო. ყოველივე ეს რომ სინამდვილეში მოხდეს, თქვენ ძალიან ბევრი უნდა იმუშაოთ. იმუშაოთ როგორც სინათლის თანამშრომლებმა. იმუშაოთ როგორც სინათლის მატარებლებმა, და წაიღოთ ეს ცოდნა არა მხოლოდ საკუთარი თავისათვის, არამედ სხვათათვისაც. იმუშაოთ მაკრო ამოცანებზე და მხოლოდ ამის შემდეგ იმუშაოთ საკუთარ თავზეც, – ასე სწორიც იქნება და უფრო სწრაფიცა და ევოლუციურიც, და, რაც მთავარია, ყველამ, ვისაც ამის მიღწევა სწადია ამ განსხეულებაში, ეს მიზანი მკვეთრად უნდა დაისახოს საკუთარი თავის წინ, გამოსატოს მკვეთრი გადაწყვეტილება და გვთხოვოს დახმარება. და აღარასოდეს აღარ მიატოვოს დასახული გზა. ეს მეტად რთული ამოცანაა, სამაგიეროდ, კოსმოსში იგი მიჩნეულია სულიერების ჭეშმარიტ გზად. გაიგეთ, რომ ფიზიკური გეგმილის მიტოვება და შემდგომი დაბრუნება, ესლა გაცილებით უფრო იოლია. მაგრამ ამ გარდასახვის დედამიწაზე განხორციელება და სხვების წინ გაძლოლა – მძიმეცაა და საპატიოც. არჩევანი თქვენზეა, პლანეტაზე არსებული შესაძლებლობები კი – განუსაზღვრელი.

სიყვარულით, ყოველი მაძიებლის მიმართ, ვინც სინათლით გარდაქმნის გზით მიდის და იმათ მიმართაც, ვინც სხვა გზას აირჩევს. მე მიყვარს უცვლელად ყველა.

/თქვენი კრაიონი/

ეს ჟურნალი განკუთვნილია სკოლების, უმაღლესი
სასწავლებლებისა და საქართველოს მთელი
ინტელიგენციისათვის...

* * *

ჩვენ გვჭირდება მეცენატების, გნებაუთ სპონსორების
თუ სხვა ნებისმიერი სახელის მქონე ადამიანთა თუ
ორგანიზაციათა მხარდაჭერა. თუ ჟურნალის მკითხველს
გაუჩნდება ჩვენი თანადგომის სურვილი, მაშინ ჩვენს
ანგარიშზე:

BANK CODE- TBCBGE 22

BEN'S ACCOUNT - GE02 TB71 2733 6512 5000 02

ნებისმიერი თანხის გადმორიცხვა, ჩვენი მხარდაჭერა იქნება

* * *

გვაქვს საქმიანი წინადადებები ბიზნესმენებთან: ჩვენს
სამკურნელო მეთოდს უკვე ეზიარა მრავალი
მაღალკვალიფიციური ექიმი და მათ ბაზისზე შეიძლება
უძლიერესი სამკურნალო ცენტრის ამოქმედება რომელიც
იმუშავებს კლასიკური მედიცინისა და ოქროს საწმისის
ფუნდამენტალურ მეთოდებზე ჩემი და ბიზნესპარტნიორის
ხელმძღვანელობით, ხელშეკრულების თანახმად. ეს ნიშნავს
იმას რომ მსოფლიოს ვთავაზობთ განკურნებას ყველა
განუკურნებელი სნეულებებისაგან და საქართველოს
ტურიზმს შეემატება პაციენტების ტურიზმის ტოლფასი
რადიკაციის ნაკადი, რაც სახელმწიფოს განსაკუთრებულ
სიკეთეს მოუტანს და რა საკვირველია, რომ სამკურნალო
ცენტრის ბიზნესიც წარმატებული იქნება.

* * *

ISSN 1512-2794



9771512279000